ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

!( 2 @) vfbcb7 @)!@

1118 (5808)

afcb5 #) stshb

!( ვფბცბლფყ

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+

ჯონ ლე კარე

მკვლელობა ჯენტლმენურად

შემდეგი — ჰაინერ რანკი

მწვანე მორჩვენება

წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი



# მარიკა ლორთქიფანიძე: დავით გარეჯი ყოველთვის საქართველოს ნაწილი იყო!



გვ.3

რის სანაცვლოდ თმობდა აზერბაიჯანი სადავო ტერიტორიას



გვ.4

## ქართველმა მესაზღვრეებმა დეპუტატები სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არ შეუშვეს

## სოსო ჯაჭველიანი: გეიაღლუმი ხელისუფლებამ პროვოკაციისთვის მოაწყო

გვ.4



## პეტრე მამრაძე: სააკაშვილი ინვესტორების საფრთხობელად იქცა

გვ.2





## სააკაშვილის გახსნილი საავადმყოფოები რესტორნებად და კაზინოებად გადაკეთდება?!

გვ.6



გვ.2

ISSN 1987-9385

## ვაფრთხილებთ სააკაშვილს და მის ბიძას, რკინიგზას ჩამოვართმევთ!



გვ.5

## ვინ შექმნის საქართველოში მესამე ძალას

კევ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ

# ვაფრთხილებთ სააკაშვილს და მის ბიძას, რკინიგზას ჩამოვართმევთ!

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტები ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს სტრატეგიული ობიექტების ოკუპანტი რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცევას აპროტესტებენ და დანაშაულებრივს უწოდებენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიას მიერ „საქართველოს რკინიგზის“ აქციების 25%-ის ლონდონის ბირჟაზე განთავსებას.

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში არაერთხელ დადგა დღის წესრიგში რკინიგზის გასხვისების საკითხი, რაც საზოგადოებაში მუდმივად მტკივნეულად აღიქმებოდა. ხელისუფლებამ ადრე ეს ნაბიჯი ვერ გადადგა, ახლა კი, როგორც პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, ხელისუფლება შპს „საქართველოს რკინიგზას“ თავის პოლიტიკურ ინტერესებს შესწირავს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, გუშინ, ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა პრესკონფერენცია გამართა.

– ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის უკანასკნელი ფორპოსტი, „საქართველოს რკინიგზა“ უკვე გატანილია და დადებულია გასაყიდად ლონდონის ბირჟაზე, რომლის დაპატრონებასაც აპირებს მიხეილ სააკაშვილის ბიძა – თემურ ალასანია, რომელიც დღემდე არაფორმალურად კურირებდა რკინიგზას. ამ აფიორის განხორციელებას აპირებენ ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიის მეშვეობით, რაც საუკუნის დანაშაულის ტოლფასია, – განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელი, ამ არცთუ მისაღები გადაწყვეტილების გაპროტესტებისას, გარკვეულ გაფრთხილებას ხელისუფლებასაც აძლევს.

– ვაფრთხილებთ სააკაშვილს და მის ბიძას, როგორც კი საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება, ყველა სტრატეგიული ობიექტი, უპირველესად კი რკინიგზა, ჩამოერთმევათ. ამიტომ წყალში ნუ გადაყრით ფულებს, – განაცხადა სოსო შატბერაშვილმა. მისი თქმით, ამ ობიექტის გაყიდვას და რუსეთზე გადაცემას ლობირებს აგრეთვე შარანგიების კლანი.

– შარანგიები, მოგეხსენებათ, გახლავან შევარდნაძის მძახლები. ეს, კიდევ ერთხელ, ადასტურებს იმას, რომ ერთი ბიზნეს-ინტერესებით მოქმედებდნენ და დღესაც მოქმედებენ, – აღნიშნა შატბერაშვილმა.



როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ხელისუფლება ჯერჯერობით აცხადებს, რომ „საქართველოს რკინიგზის“ აქციების მხოლოდ 25%-ს ყიდის ლონდონის ბირჟაზე, მაგრამ ეს არავინ არ უნდა დაიჯეროს. იმიტომ, რომ ასე გაიყიდა ფოთის პორტი, ბათუმის პორტი, თბილისის აეროპორტი, ბათუმის აეროპორტი, ჭიათურმანგანუმი, ოქროს საბადო, „ენგურჰესი“, „ჟინვალჰესი“ და ა.შ.

– საერთოდ, ყველა სტრატეგიული ობიექტი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში იყო, ასე დაისაკუთრეს ალასანიების, სააკაშვილების და შარანგიების კლანებმა. ჯერ 25% ყიდიდნენ, შემდეგ საკონტროლო პაკეტს ყიდიდნენ, ხოლო შემდეგ მთლიანად ეპატრონებოდნენ. ასე რომ, „ვარდების რევოლუციის“ ლოზუნგი, რისთვისაც სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, რომ ეს კლანი, რომელიც დღეს მართავს, დაპატრონებოდა საქართველოს სტრატეგიულ ქონებას და სიმდიდრეს, სამწუხაროდ, წარმატებით ხორციელდება, – განაცხადა სოსო შატბერაშვილმა, რომელმაც მოკლე ექსკურსია გააკეთა საქართველოს რკინიგზის დაარსებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ რკინიგზის დაბადების წლად ითვლება 1872 წელი, ანუ 140 წლისაა საქართველოს რკინიგზა. ამ წელს პირველმა მატარებელმა გაიარა თბილისიდან ფოთამდე.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, საქართველოს კავკასიის რეგიონში დიდი უპირატესობა აქვს იმ მხრივ, რომ ის ფლობს რკინიგზას, რომელსაც მსოფლიო ოკეანეზე აქვს გასასვლელი.

– „საქართველოს რკინიგზა“ არის ჩვენი სახელმწიფოს საკუთრება, მისი გეოპოლიტიკური სიმდიდრე და მას აქვს საშუალება, რომ ეს ტვირთები გაიტანოს შუა აზიიდან, ცენტრალური აზიიდან, სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის ქვეყნებიდან მსოფლიო ოკეანეზე. ანუ, „საქართველოს რკინიგზა“ არის ევროპის და აზიის შემაერთებელი პატარა მონაკვეთი, მაგრამ უაღრესად სტრატეგიული. სწორედ, ეს უაღრესად სტრატეგიული ქონება უნდათ რომ ჩამოართვან საქართველოს და ეს ვერაგული გეგმა წარმატებით ხორციელდება, – აღნიშნა სოსო შატბერაშვილმა. მისი თქმით, განხორციელდება რუსეთის სტრატეგიული ოცნება, რასაც მას თემურ ალასანია და შარანგიების კლანი შეუსრულებენ. სანაცვლოდ, ისინი მიიღებენ ასობით მილიონს, შეიძლება მილიარდებიც კი მიიღონ, მაგრამ სამაგიეროდ, გაიყიდება მათი სამშობლო. თუმცა, შარანგიებს და თემურ ალასანიას სამშობლო არ გააჩნიათ.

ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი იმედოვნებს, რომ შესაძლოა, საქართველოში რკინიგზა არ იყიდოს რომელიმე წარმატებული ქვეყნის კომპანიამ, მაგრამ, როგორც წესი, მას აუცილებლად იყიდის ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული რომელიმე უცხოური კომპანია, რომელიც შეიძლება სულ რაღაც ორი-სამი თვის წინ დარეგისტრირდა. ეს კომპანია სოსო შატბერაშვილის თქმით, იქნება თემურ ალსანიასი.

– თემურ ალასანია დიდი ხანია ცდილობს და წარმატებით ასრულებს ყველა სატრანსპორტო და სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩაგდების პროგრამას. მოგეხსენებათ, ასე ჩაიგდო ხელში თემურ ალასანიამ თბილისის და ბათუმის აეროპორტები, რომლებიც თურქებზე გაასხვისა. ამ კომპანიებში ალასანიას წილია. ბათუმის აეროპორტი თურქეთის შიდა აეროპორტად ითვლება და თურქეთის დროზე მუშაობს. ამ ნაბიჯით ალასანიამ ფაქტობრივად სამშობლო გაყიდა. ასევე გაასხვისა პრეზიდენტის ბიძამ არაბებზე ფოთის და ბათუმის საზღვაო პორტები, ასევეა გასხვისებული ჟინვალჰესი და ენგურჰესი. ჟინვალჰესი არაბებზეა გასხვისებული. ენგურჰესი კი წაგებული ომის შემდეგ რუსებზე გაასხვისა თემურ ალასანიამ, როდესაც მისი დისშვილი მიხეილ სააკაშვილი თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა გორიდან. ახლა გასასხვისებელი დარჩა ერთადერთი ფორპოსტი საქართველოს რკინიგზა, რომელსაც უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ეს ობიექტიც მოკლე ხანში, როგორც ჩანს, შარანგიების და ალასანიას წყალობით, რუსებს გადაეცემათ, – განაცხადა ბოლოს სოსო შატბერაშვილმა. მისი ტქმით, იყიდება ობიექტი, რომელიც უდიდესი ფინანსური შემოსავლების მომტანია და არის ქვეყნის დამოუკიდებლობის ერთერთი ფორპოსტი.

## ნატო-ს სამიტის წინ, აშშ-ს კონგრესში საქართველოს მხარდამჭერი განცხადება გაკეთდა

ნატო-ს ჩიკაგოს სამიტის წინ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში, ალიანსში საქართველოს გაწევრიანების მხარდამჭერი კიდევ ერთი განცხადება გაკეთდა.

კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ილეანა როს-ლექტინენის განცხადებით, საქართველომ არაერთხელ დაამტკიცა, რომ სანდო მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორია.

მისი თქმით, დროა შეერთებულმა შტატებმა ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების მხარდაჭერით მკაფიოდ წამოაჩინოს ვალდებულება საქართველოს თავდაცვისა და სუვერენიტეტის მიმართ. ამასთან, ამ ქვეყანას უდიდესი წვლილი შეაქვს ავღანეთში ნატო-ს მისიაში, რომელშიც 1 000-მდე ქართველი სამხედრო მონაწილეობს, საქართველოს 2 000-მდე სამხედრო მონაწილეობდა ერაყის მისიაშიც.

ილეანა როს-ლექტინენმა ხაზი გაუსვა, რომ 2008 წელს საქართველოში რუსეთის სამხედრო ძალები შეიჭრნენ და ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის მიერ კვლავ ოკუპირებულია.

კონგრესმენი მოუწოდებს ამერიკის ადმინისტრაციას ჩიკაგოს სამიტზე აქტიურად იმუშაოს მოკავშირეებთან, რათა რაც შეიძლება მალე მოხდეს ალიანსში საქართველოს სრულუფლებიანი წევრობის უზრუნველყოფა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანების მიმართ მხარდაჭერაზე, ასევე, ნათქვამია წამომადგენელთა პალატის რეზოლუციაში, რომელიც შეერთებული შტატების კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტის ევროპისა და ევრაზიის ქვეკომიტეტებმა აბსოლუტური მხარდაჭერით მიიღეს. კონგრესი მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიის უკანონო ოკუპაცია და უპირობოდ შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ვალდებულებები.

ამერიკელი კანონმდებლები მოუწოდებენ რუსეთის ფედერაციას, ვენესუელას, ნიკარაგუას, ტუვალუსა და ნაურუს საქართველოს ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმებისკენ. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი აფაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან, საკუთარი მიწა-წყლიდან, კვლავ ძალისმიერი გზითაა გამოდევნილი. ასევე, საუბარია ოკუპირებულ ტერიტორიებზე როგორც მათი, ასევე საერთაშორისო მისიების დაბრუნების აუცილებლობაზე.

ნიუსპრესი

# პეტრე მამრაძე: სააკაშვილი ინვესტორების საფრთხობელად იქცა

ქეთი ხომერიკი

**დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გარშემო არსებული ვითარება კვლავ მძიმეა, რაც ხელისუფლებას ოპოზიციისგან და საზოგადოებისგან განსხვავებით დიდად არც ადარდებს. როგორ აფასებს დავით გარეჯის გარშემო შექმნილ ვითარებას და რა საფრთხეებს ხედავს „ახალ თაობას“ ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წარმომადგენელი პეტრე მამრაძე ესაუბრა.**

პეტრე მამრაძე:

– მე ვიცი, ეს პრობლემა, რადგან ეს იგი ახალი არ არის, მაგრამ დღევანდელი ვითარება, ვგულისხმობ იმას, მორწმუნეებსა და ტურისტებს რომ არ უშვებენ, რაღაც მარშიც რომ მზადდება და შესაძლოა, რომ დაიძაბოს სიტუაცია. ამაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება სააკაშვილსა და მის წარმომადგენლებს და ამას ხაზს ვუსვამ. აზერბაიჯანის მხარეს აქ ვერ დაემდურები და პრეტენზიებსაც ვერ წაუყენებ. ახლა რაშია საქმე – საბჭოურ წლებში, როდესაც რესპუბლიკებს შორის საზღვარი იყო სრულიად სიმბოლური და ოფიციალური. დიალოგი იყო იმაზე რომ ერთი სახელმწიფო ვართ და საზღვრები ადმინისტრაციულია და არა პოლიტიკური. მაშინ მეც მახსოვს, რომ რაღაც ნაწილი მოხვედრილი იყო აზერბაიჯანის ტერიტორიის მხარეს. მოლაპარაკების დროს აზერბაიჯანის მხარემ თქვა, რომ გადახედვა ტერიტორიისა, თუნდაც მცირე ნაწილისა, მიუღებელიაო. ესეც გასაგებია, რადგან ქვეყანა, რომელსაც აქვს უდიდესი პრობლემა, ყარაბახი გაიხსენეთ, გადაწევა-გადმოწევის პრეცენდენტს ვერ შექმნის, ყოველ შემთხვევაში, ძალიან გაუჭირდება. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებას დემარკაცია-დემილიტაციის პროცესში, რომელიც, როგორც ვიცი, დასრულებულიც კი არ არის, სწორად და კარგად რომ ემუშავა დიდ მეგობარ აზერბაიჯანთან, (დიახ, დიდი მეგობარი საქართველოსი, ეს არის მეგობრობა ხალხებს შორის), არ გაუჭირდებოდა იმის მოგვარება, რომ მისვლა-მოსვლა სრულიად თავისუფალი ყოფილიყო დემარკაციადემილიტაციის პროცესში, თუ მისი დამთავრების შემდეგ და, რომ არავითარი დაძაბულობა არ გამოეწვია.

***– მაშ, რატომ ვერ უზრუნველყო ეს საქართველოს ხელისუფლებამ, რატომ მიიყვანა საქმე აქამდე?***

– საგარეო საქმეთა სამინისტრო დიდი ხანია რაც, საერთოდ, პარალიზებულია, რეალური მუშაობა არ მიმდინარეობს და კეთდება მხოლოდ ის, (როგორც წესი), რაზეც დაინტერესებულია პირველი პირი და მისი უშუალო გარემოცვა. ანუ ის, რაშიც პირდაპირ ინტერესს ხედავენ, პიარ ინტერესს, დანარჩენი სხვა პარალიზებულია. იმდენი რამე უნდა კეთდებოდეს ყოველდღიურად და მე ეს ვიცი, ჯერ კიდევ იმ წლებიდან, როცა კანცელარიაში ვმუშაობდი და ვხედავდი, რაც ხდებოდა. რატომ უნდა იყოს მეგობარ ქვეყნებს შორის მსგავსი რამ ? მხოლოდ იმის გამო, რომ ცუდად, ძალიან ცუდად მუშაობენ.

***– სხვების მსგავსად თქვენც ხომ არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებამ უდაბნოს მონასტრის ტერიტორია ფინანსური სარგებლის სანაცვლოდ დათმო?***



– დიახ, ამაზე მინდა გადავიდე და რა მხრივ იცით, ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია და თქვენ იცით, ჩემი მიდგომა როგორიცაა, პირველი – ობიექტური და სამართლიანი, მეორე – პროფესიონალური, ამის ამბიცია, ნამდვილად, მაქვს. ახლა რაშია საქმე, პირველი და მთავარი – ამის გამორიცხვა შეუძლებელია. ვერავინ ვერ გამორიცხავს ამას, ისეთი ჯგუფია დღეს ხელისუფლების სათავეში და იმდენად უკონტროლოა ამ ჯგუფის მოქმედება. იმასაც კი ვერ გებულობს ჩვენი საზოგადოება, როგორ განხორციელდა, სიტყვაზე, პარლამენტის შენობის აშენება ქუთაისში, ანუ ტენდერი გამოცხადდა თუ არა, ვინ გაიმარჯვა, რატომ, როგორ, ყველაფერი უნდა იყოს საჯარო, არადა გასაიდუმლოებულია. როცა ენგურჰესის ხელშეკრულება დადებულია ოკუპანტებთან, რომელსაც ყოველდღე სააკაშვილი უწოდებს პირსისხლიან ოკუპანტებს და ლანძღავს იმ ოპოზიციას, რომელიც, მისი თქმით, ჩექმებს ულოკავს, მაგრამ თვითონ კი აწერს ხელს საიდუმლო ხელშეკრულებას ოკუპანტებთან. აი, ამის შემდეგ, მეც გამიგია მსგავსი რამ, მე არავითარი მტკიცებულება არ მაქვს, მაგრამ გამიგია, რომ ერთი წლის წინ ის მიწები, დავით გარეჯის გარშემო უკვე რეალიზებული იყო. უკვე მოხდა გარიგება, ფული იქნა აღებული, მაგრამ ვიმეორებ, მსმენია ამის შესახებ ჟურნალისტებისგან და დამამტკიცებელი დოკუმენტები არ მაქვს. მეტიც, ვისაც პრივატიზებული ჰქონდა მიწა და რეესტრში ჰქონდა აღნიშნული, უკვე ეუბნებიან, ეს თქვენი მიწა არ არის და არ გაბედოთ ლაპარაკიო. ასევე საუბრები იმაზე, რომ დაგვიჭირეთ მხარი და უთხარით ეთნიკურად აზერბაიჯანელებს, რომ მოგვცენ ხმა, ანუ ხმების სანაცვლოდ რაც გინდათ ქენითო. ეს ყველაფერი მუსირებს საზოგადოებაში და უბედურება არის ის, რომ ამის გამორიცხვა არ შეიძლება. ვერაფერს გამოვრიცხავ იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი. როდესაც ვგებულობ, რომ თურქეთში ძებნილად გამოცხადებული ადამიანი, ძებნილად იმის გა-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# მარიკა ლორთქიფანიძე: დავით გარეჯი ყოველთვის საქართველოს ნაწილი იყო!

ნათია ხურცილავა

**დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოში, როგორც მოსალოდნელი იყო, მკვეთრი რეაქციები გამოიწვია.**

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ნინო კალანდაძის, განცხადებით, ამ დროისთვის ბაქოსა და თბილისს შორის 66 პროცენტი შეთანხმებულია. შეუთანხმებელ 34 პროცენტს კი გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის ნაწილიც მიეკუთვნება. 6 მაისის შემდეგ, გარეჯის უდაბნოში მომლოცველებსა და ტურისტებს აღარ უშვებენ.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესი დღემდე მიმდინარეობს.

– სახელმწიფოთაშორისი სადელიმიტაციო კომისიების მიერ ამ დროისათვის საზღვრის 66%-ია შეთანხმებული. შეუთანხმებელ მონაკვეთთა შორის არის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის დაახლოებით 2%, მათ შორის უდაბნოს მონასტრის სენაკები და მასთან მისასვლელი ბილიკები, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის ხსენებული 2% საბჭოთა კავშირის დროიდან მოყოლებული, ადმინისტრაციული დაყოფით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონტროლქვეშ მოექცა. შესაბამისად, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დანარჩენი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზეა, – ნინო კალანდაძემ ასეთი განმარტება პირველი ოფიციალური განცხადების შემდეგ სოციალურ ქსელში გააკეთა.

ამ საკითხზე ინტერვიუ აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძეს ვთხოვეთ:

***– ქალბატონო მარიკა, ერთ-ერთ კომისიაში, რომელიც სწორედ აზერბაიჯანთან არკვევდა, კონკრეტულად, ბერთუბნის მონასტრის საკითხს, თქვენც შედიოდით. ქრონოლოგიურად რომ გვითხრათ, რაზე შეთანხმდით მაშინ და რა ხდება დღეს?***

– ეს იყო ჯერ კიდევ საბჭოთა დროს, ჯუმბერ პატიაშვილის „ცეკას“ პირველი მდივნობის დროს. როგორც ჩანს, მოლაპარაკება იყო მასა და მის აზერბაიჯანელ კოლეგას შორის. დავით გარეჯის კომპლექსის ერთ-ერთი მონასტერი – ბერთუბანი ნამდვილად არის აზერბაიჯანის საზღვარში. ბერთუბანი მე–12 საუკუნის ბოლოსა და მე–13 საუკუნის დასაწყისის პერიოდის ქართული ეკლესიაა, რომელზეც თამარ მეფისა და ლაშა–გიორგის ფრესკები იყო.

***– იმ დროინდელი კომისიის მოლაპარაკების დეტალებზე რომ გვითხრათ?***

– ჩვენ შევთავაზეთ აზერბაიჯანულ მხარეს ტერიტორიის გაცვლა. რაც გულისხმობდა, ტერიტორიას, სადაც მდებარეობს ბერთუბანი (ირგვლივ ქვა–ღორღი იყო) იმის სანაცვლოდ ორმაგი რაოდენობის ტერიტორია იქვე შეგვეთავაზებინა, რომელიც სამიწათმოქმედოდ იქნებოდა ვარგისი ან საძოვრებად. კომისია იკრიბებოდა, მერე დაიშლებოდა, აზერბაიჯანული მხარე გვეუბნებოდა, ეს წინადადება უნდა შევათანხმოთ ჩვენს ხელისუფლებასთანო. საბოლოოდ უარი მივიღეთ. იმის შემდეგ ვფიქრობ, რომ რაც არ უნდა სთხოვო, რაც არ უნდა შესთავაზო აზერბაიჯანულ მხარეს, არაფერს არ გააკეთებენ. ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. რადგან ჩვენ ბევრად უფრო მომგებიან წინადადებას ვთავაზობდით აზერბაიჯანელებს. მათ რათ უნდათ ჩვენი ქართული მონასტერი, ქვა–ღორღიანი მიწა, როდესაც საძოვრისთვის თუ მიწათმოქმედებისთვის იქვე კარგ მიწას ვთავაზობდით, მაგრამ ერთი საკითხი იჩენს თავს: მათი პოზიციაა, რომ ეს იყო ალბანეთის ტერიტორია თავის დროზე და აქ უნდათ ალბანური კულტურის კვალის ძიება. მაგალითად, გიშის მონასტერს გუმბათი სხვანაირად დააშენეს, რაღაც ნაწილი მიაშენეს და ზედ წააწერეს – ალბანური კულტურის ძეგლი. არაფერი ალბანური კულტურიდან ჩვენამდე არ შემორჩენილა. ტყუილია, როდესაც ალბანურ ნიმუშებზე საუბრობენ.

***– ალბანურ წარმომავლობაზე მკვეთრ აქცენტებს სვამენ აზერბაიჯანელები, თქვენ, როგორც ისტორიკოსი, რას უკავშირებთ ამას, მათ უნდათ წაშალონ ქართული კვალი თუ ისინი მხოლოდ მათ წარმომავლობაზე საუბრობენ, რომ ალბანელების მემკვიდრენი არიან?***

– ერთიც და მეორეც. ქართული კვალი უნდა წაშალონ და შემდეგ უნდათ დაადასტურონ, რომ ამ აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ძალიან ძველი ისტორიული ფესვები აქვს.

***– რომელიც თითქოს ალბანურ კულტურას უკავშირდება?***

– დიახ. როდესაც ალბანეთი არაბებმა დაიპყრეს, იქ თავისი სამხედრო ბაზები შექმნეს. იმ დროიდან იწყება იქ მაჰმადიანობის შესვლა. შემდეგ, მე–11 საუკუნეში მოვიდნენ თურქ–სელჩუკები და ისინი დასახლდნენ იქ. ალბანელები მთლიანად არ გაწყვეტილან, იბრძოდნენ დამოუკიდებლობისთვის, მაგრამ, ალბათ, ნაწილი გაწყდა, ნაწილი შეიძლება სხვაგან წავიდა. რაღაც, სავარაუდოდ, მიიღეს, მაგრამ რა? როგორია ეს? ამის შესახებ არავითარი ცნობა არ არის, არც ქართულში და არც უცხოურ წყაროებში, მაგრამ მათ უნდათ თავიანთი ისტორიის უკან გადაწევა და ალბანურ კულტურასთან დაკავშირება.

***– ისევ სადავო ტერიტორიას რომ დავუბრუნდეთ, რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ამ ბორცვს? როგორც აზერბაიჯანული მხარე ამბობს, ეს ბორცვი მათთვის სტრატეგიული მნიშვნელობის არის. თქვენი კომისიის მუშაობის დროს იყო ამაზე ყურადღება გამახვილებული?***

– რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანისთვის ვერ გეტყვით, მაგრამ მაშინვე შეიქმნა აზრი, რომ მათ რაღაც სიმაღლეების დაკავება უნდათ, რაღაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მათთვის, მაგრამ კონკრეტულად რა, ვერ გეტყვით.

***– ჩვენი კულტურისთვის რა მნიშვნელობა აქვს დავით გარეჯს, როგორც კულტურულ, საგანმანათლებლო, სასულიერო კერას და როგორც სასაზღვრო ზოლს?***




– მე–6 საუკუნეში, საქართველოში სამონასტრო მოძრაობა დაიწყო, როდესაც ასურელი მამები ჩამოვიდნენ საქართველოში. მკვლევარების ნაწილი ამბობს, რომ ასურელი მამები ქართველები იყვნენ და მათ მხოლოდ იმიტომ ეწოდათ ასურელები, რომ სირიაში მიიღეს განათლება. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ სირიელები იყვნენ. თუმცა, ახლა ამას მნიშვნელობა არ აქვს. ათცამეტი ასურელი მამა ჩამოვიდა და ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს ქრისტიანობის განმტკიცების საქმეში. მე–4 საუკუნეში წმინდა ნინომ ჩვენთან და ალბანეთში ერთნაირად იქადაგა ქრისტიანობა, მაგრამ შედარებით ცენტრიდან მოშორებულ, მთიან რეგიონებში ასე ადვილად არ ვრცელდებოდა ახალი რწმენა. დავითი, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც მოვიდა საქართველოში. ყოველი მათგანის მოღვაწეობისადმი მიძღვნილია აგიოგრაფიული თხზულება. დავითი ჯერ მამა დავითზე დაემკვიდრა, შემდეგ დღევანდელ ქაშვეთში, მაგრამ ბერობისთვის აუცილებელია ასკეტურად, დასახლებული ადგილიდან შორს მძიმე პირობებში ყოფნა. ამიტომ, მამა დავითი წავიდა და გარეჯის უდაბნოში დაემკვიდრა. განდეგილი გახდა, მოწაფეები გაიმრავლა და თანდათან მონასტრებიც გამრავლდა. მე–6 საუკუნიდან მოყოლებული, სულ იყო სამონასტრო ცხოვრება და თან ვითარდებოდა. როგორც ყველა ქრისტიანულ მონასტერში, დავით გარეჯშიც დიდი სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობდა. სხვადასხვა ენიდან თარგმნიდნენ ქრისტიანულ ლიტერატურას, ადგილობრივი თხზულებები იწერებოდა. მაგალითად, დემეტრე პირველი, „შენ ხარ ვენახის“ ავტორი, ერთი პერიოდი იქ იყო ბერად აღკვეცილი. ასევე, მე–13 საუკუნეში ცნობილი მნიშვნელოვანი მოღვაწე.

1265 წელს მონღოლები შემოვიდნენ, ბექა ყაენმა დავით გარეჯი დაანგრია, შემდეგ ისევ აღადგინეს. ჩვენი წინაპრების სისხლსა და ძვლებზეა აგებული დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. როდესაც მონღოლები ცოტა შესუსტდნენ, მეფე გიორგი მეხუთე ბრწყინვალემ აღადგინა. შემდეგ თემურ–ლენგი შემოესია და იმანაც დაანგრია. მერე, მე–15 საუკუნეში ალექსანდრე პირველმა აღადგინა. ასევე შაჰაბასმა დაანგრია და შემდეგ თეიმურაზ მეფემ აღადგინა. მიუხედავად ასეთი შემოსევებისა და აწიოკებისა, მაინც მუდმივად მიმდინარეობდა ცხოველი სამონასტრო მუშაობა. შენდებოდა მონასტრები, შესანიშნავი ფრესკებია მე–9 საუკუნიდან შემორჩენილი. როდესაც რუსეთის ხელისუფლება დამყარდა, შემცირდა სამონასტრო მოღვაწეობა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლების დროს ეს ტერიტორია მთლიანად საქართველოს შემადგენლობაში იყო. მაშინ ადმინისტრაციული რეფორმა ჩაატარეს, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიად დაიყო.

***– დავით გარეჯი რომელ გუბერნიაში შედიოდა?***

– თბილისის გუბერნიაში შედიოდა. ჩვენამდე საბედნიეროდ მოაღწია რუსეთის მიერ შედგენილმა რუკებმა. იმ რუკებზე, იმ დროინდელ წყაროებშიც ასეა დადასტურებული. საბჭოთა ხელისუფლების დროს, მოგეხსენებათმ როგორი დამოკიდებულება იყო ეკლესია–მონასტრების მიმართ. მიუხედავად ამისა, თითო–ოროლა ბერი დავით გარეჯში ყოველთვის იყო. ახლა დგება საკითხი ასე: როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მაშინ თითქოს საზღვრები რესპუბლიკებს შორის გაივლო, მაგრამ რეალური საზღვარი სახელმწიფოს აქვს. მართალია ფორმალურად ყველა რესპუბლიკა სახელმწიფოდ ითვლებოდა, მაგრამ სახელმწიფო არც ერთი არ იყო. ამიტომ მესაზღვრეები ისე, მოლაპარაკებით იდგნენ.

***– მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმებით, რომ პირობითად აქ გადის საზღვარი?***

– არა, გეტყვით, საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ ერთადერთი ნორმალური საზღვარი გვაქვს თურქეთთან იმიტომ, რომ ის იყო საზღვარი საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის. ჩვენ ვერც აზერბაიჯანთან, ვერც სომხეთთან ვერ გავარკვიეთ საზღვარი. 1921 წელს იყო ბუდუ მდივანი და მისი აზერბაიჯანელი კოლეგა, ვითომ დაიდო საზღვარზე ხელშეკრულება. შემდეგ 1929 წელს, 1934 წელს დაიდო ხელშეკრულება. ამდენად, მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება არ ყოფილა. ისტორიისთვის დოკუმენტებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ დოკუმენტს ფასი უნდა ჰქონდეს.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ იმ დოკუმენტებს არავითარი ფასი არ აქვს. რადგან საზღვრის დადგენისთვის აუცილებელია ისტორია, დემოგრაფიული მდგომარეობა, სად და როგორ შეიძლება საზღვარი გაიდეს. დღეს, ბევრი გაიძახის, ისტორიას რა მნიშვნელობა აქვსო, მაგრამ ბოდიში, მასე არ არის. ისტორიასაც მნიშვნელობა აქვს და ბევრიც სხვა საკითხია. კომისიები სწავლობენ, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში მიმდინარეობს. ბუდუ მდივანი ვილაცასთან შეთანხმდა, ორჯონიკიძე პირდაპირ ამბობდა, რა საჭიროა რესპუბლიკებს შორის საზღვრები, ძალიან მალე ეს იქნება ერთიანი სახელმწიფო, ერთი ენითა (რასაკვირველია რუსული ენა იგულისხმებოდა) და საზღვრითო. მართალია ეს დოკუმენტები არსებობს, მაგრამ არც ერთს იურიდიული ძალა არ აქვს, არც საერთაშორისო აღიარება. როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ უდაბნოს მონასტერი საბჭოთა დროსაც აზერბაიჯანის მხარეს იყო და რა არის სადავოო, მე მაშინვე გამიჩნდა ეჭვი, რომ უკვე რაღაცაზე ხელი მოწერილია, მაგრამ მოგვიანებით განაცხადა, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობსო. თუ მოლაპარაკება მიმდინარეობს, მაშინ ასეთი განცხადება რატომ გააკეთა? რომ უდაბნო საბჭოთა დროსაც მათ მხარეს იყო და ახლაც ასეაო. გარეჯის კომპლექსი მთელი თავისი არსებობის მანძილზე იყო და არის ქართული ეკლესია–მონასტრებისა და ქართული კულტურის ცენტრი. არასდროს, არც ადრე და არც საბჭოთა ხელისუფლების დროს, აზერბაიჯანს არავითარი პრეტენზია არაფერზე არ გამოუცხადებია. როდესაც მონასტერი დაზიანდებოდა, ჩვენი რესტავრატორები, ჩვენი სპეციალისტები ატარებდნენ სამუშაოებს, სწავლობდნენ წარწერებს, ფრესკებს. არ ვიცი, ხელოვნურად თუ რატომ, თამარისა და დავითის ფრესკები ჩვენებმა მოხსნეს, ჩამოიტანეს და ახლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია. არავითარი პრეტენზია არც ამის და არც სხვა რამის მიმართ, ვიმეორებ, აზერბაიჯანს არ ჰქონია. რა მოხდა მაინცდამაინც ახლა, ვერ გავიგე.

***– არც ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან საზღვარი არ გვაქვს დადგენილი, როგორც აღნიშნეთ თურქეთის გარდა, საზღვრის დადგენა რთული პროცესია...***

– რთულია, მაგრამ როდესაც ჩვენ მივიღეთ დამოუკიდებლობა, ხელისუფლებას ამ საკითხზე უნდა ეფიქრა. მე დღეს პრეტენზია ჩემი სახელმწიფოს ხელისუფლების მიმართ მაქვს. უნდა მომხდარიყო საგანგებო მუშაობა, რომ საზღვრები დადგენილიყო. ახლა ამბობენ, რომ მიმდინარეობს. თუ მიმდინარეობს ეს სამუშაოები, ძალიან კარგია და დაადგინონ.

***– ქალბატონო მარიკა, სომხეთთანაც სადავო გვაქვს საზღვარი?***

– დიახ.

***– ამ ზოლშიც არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი ქრისტიანული ძეგლები?***

– რასაკვირველია, არის, ძალიან ბევრია სადავო ეკლესიები.

***– თქვენ ამბობთ, რომ აზერბაიჯანელების დათანხმება გაგვიჭირდება, რა შეიძლება გამოსავალი იყოს?***

– თუ ვერაფერზე ვერ დავითანხმეთ, იქნებ გარეჯის სამონასტრო რესპუბლიკა შეიქმნას, როგორც ათონი. ათონი შედის საბერძნეთის სახელმწიფოში, მაგრამ თავისი კოდექსი აქვს. სამონასტრო რესპუბლიკა უნდა შეიქმნას, რომელსაც თავისი უფლებები ექნება. ამ აზრის გამო ვილაცამ დამიწერა: „ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძეს გარეჯი არ ენაღვლება“. შეიძლება თქვან, შემეშალა, ან ვერ გავიგე, მაგრამ „არ მენაღვლება“ ამ ფრაზას ნამდვილად არ ვიმსახურებ მთელი ჩემი ცხოვრებით. ახლაც ვთვლი, რომ ასეთი სამონასტრო რესპუბლიკა შეიძლება შეიქმნას.

***– ეს გამოსავალი იქნება?***

– ჩემი აზრით, კი.

***– ქალბატონო მარიკა, თქვენ განსაკუთრებულ სტატუსზე საუბრობთ?***

– როგორც ათონის სამონასტრო რესპუბლიკაა. მე არაფერს არ ვიშორებ თავიდან, მე მინდა, რომ თავისი საქმიანობა განაგრძოს ამ კომპლექსმა, როდესაც დღეს ეკლესიას არ ებრძვიან, იქნებ ეს იყოს გამოსავალი, რომ არ გვქონდეს მსგავსი სიტუაციები, რასაც ჩემი სტუდენტები შეესწრნენ.

***– რას შეესწრნენ?***

– ჩემმა სტუდენტებმა მითხრეს, რასაც თვითონ შეესწრნენ. აზერბაიჯანელი გიდი ტურისტებს ეუბნებოდა, რომ ეს მისი ტერიტორიაა, რომ მისი სახელმწიფოა, ჩვენი გიდი კი, საპირისპიროს. ორჯერ მოხდა ასეთი დაპირისპირება გიდებს შორის და ჩემმა სტუდენტებმა გააშველეს.

# ედპ ჩიკაგოს სამიტის ნატოს წევრ ქვეყნებს მიმართვას უგზავნის

თამარ ნინიძე

ჩიკაგოს სამიტის წინ ეროვნულ-დემოკრატიულიმა პარტიამ ნატოს წევრ სახელმწიფოთა ელჩებს და ნატოს სამოკავშირეო ოფისს საქართველოში მიმართვა გაუგზავნა.

მიმართვაში ნათქვამია, რომ საქართველოში ევროპული დემოკრატიის დამკვიდრება და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება არის ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების უალტერნატივო გზა. აგრეთვე აღნიშნულია, რომ რუსეთს აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი და მისი საგარეო პოლიტიკის ერთადერთი ინსტრუმენტი სამხედრო მუქარა და ენერგეტიკული შანტაჟია. საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისა და ევროპულ ოჯახში სრულუფლებიანი ადგილის მოპოვებისთვის სწრაფვა რუსეთის მიერ აღიქმება პოტენციურ საფრთხედ. რუსეთის ასეთი დამოკიდებულება მიზნად ისახავს ევროპაში მისთვის სასურველი გავლენის სფეროს დამკვიდრებას, რაც მას შემდეგ უკვე ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე ე.წ. პრივილეგირებული მოთამაშის სტატუსის დაკანონების საშუალებას მისცემს. ეს წარმოადგენს საფრთხეს საქართველოსთვის და მთლიანად ევროპის კონტინენტისთვის.

ამ ვითარებაში მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ მტკიცედ დაუჭიროს მხარი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის დასავლურ კურსს.

ეროვნულ-დემოკრატები მიმართავენ ნატოს წევრ ქვეყნებს, ჩიკაგოს სამიტზე ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი დააჩქარონ და მხარი დაუჭირონ ქართველი ხალხის სწრაფვას დასავლური სამყაროსკენ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ბაჩუკი ქარდავამ ბრიფინგზე აღნიშნა ისიც, რომ სასურველი იქნებოდა, თუ ერთობლივი მიმართვა გაიგზავნებოდა ქართული პოლიტიკური სპექტრის მხრიდან, კერძოდ, იმ პარტიების მხრიდან, რომლებიც დეკლარაციულად და ფაქტობრივად მხარს უჭერენ საქართველოს დასავლურ კურსს და ნატოში მის გაწევრიანებას. ქარდავამ გამოთქვა სურვილი, რომ ინდივიდუალურად მაინც დასავლური კურსის პოლიტიკურმა ძალებმა მსგავსი მიმართვა გაუგზავნონ ჩიკაგოს სამიტის წინ ნატოს წევრ სახელმწიფოთა ელჩებს საქართველოში.

# სოსო ჯაჭვლიანი: გეიაღლუმი ხელისუფლებამ პროვოკაციისთვის მოაწყო

თეა მარხვაიძე



**17 მაისს თბილისში გამართული გეიაღლუმი ჩვენში კიდევ კარგა ხანს იქნება მთავარი სალაპარაკო. მართალია აქ ბევრი პრობლემაა, მაგრამ ამ აღლუმმა დროებით თითქმის ყველა პრობლემა დაავიწყა ხალხს. ამ აღლუმმა ცნობილი მსახიობის სოსო ჯაჭვლიანის ყურადღებაც მიიპყრო. ის ამბობს, რომ არატრადიციული ორიენტაციის ხალხს არაფერს ერჩის. ამასთან მათ რჩევასაც აძლევს და სთხოვს, ასეთ აღლუმებს ნუღარ მოაწყობენ.**

ჯაჭვლიანი მიიჩნევს, რომ საქართველოში არატრადიციული ორიენტაციის ხალხის უფლებებს არავინ არღვევს. შესაბამისად, ასეთ აღლუმებს ეწინააღმდეგება. მისი თქმით, ასეთი აღლუმი მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს.

რაში აწყობს ხელისუფლებას ასეთი აღლუმები, რისი გადაფარვა სურთ ამით, ვის დაუძველდა მეთოდები, რატომ საყვედურობს ამერიკის ელჩს, რა იგეგმება 26 მაისს, ამის შესახებ სოსო ჯაჭვლიანი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

სოსო ჯაჭვლიანი: – არსებულ რეჟიმს ხალხის გამწარების და გადარევის მეთოდები კარგად აქვს დახელოვნებული. მათ კარგად იციან, თუ როგორ არიონ სიტუაცია. მე ახლა არ ვსაუბრობ იმაზე, გამართლებული იყო თუ არა ეს აქცია, მაგრამ ვიტყვი, რომ ამის საჭიროება არ არსებობდა. იმიტომ, რომ საქართველოში მათ უფლებებს არავინ არღვევს. ქართველებს ეს შეიძლება არ მოგვწონს, მაგრამ შეგნებული გვაქვს, რომ ეს საჯდომები მათია და როგორც უნდათ, ისე შეუძლიათ გამოიყენონ. რაც დედამიწა არსებობს, ასეთი ხალხი სულ არსებობს. არავინ მაგათ არაფერს არ უშლის, რაც უნდათ, ის აკეთონ, ოღონდ აღლუმებს ნუ მოგვიწყობენ. ამერიკის პრეზიდენტმა სულ გადამრია.

***– კონკრეტულად რამ გადაგრიათ?***

– ამერიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს ცალსქესიანების ქორწინებას. ეს რა უბედურებაა, ვერ გავიგე.. მაგრამ მთავარი უბედურება ის იყო, როგორ შეხვდა ხალხი ამას. ვიღაც კაცები გამოვიდნენ და ერთმანეთს კოცნა დაუწყეს. ბოდიში ამ გამოთქმისთვის, მაგრამ ეს რომ დავინახე, კინაღამ ვარწყიე. ამას რომ მაჩვენებ, ეს ხომ ჩემი უფლებების დარღვევაა.

***– რატომ არის თქვენი უფლებების დარღვევა?***

– იმიტომ, რომ ხდება ამ ყველაფრის პროპაგანდა. რა საჭიროა ეს ყველაფერი, ვერ გავიგე, ნორმალური ორიენტაციის ხალხი როდის გამოდის ქუჩაში და რამის დემონსტრირებას ახდენს. ესენი გამოდიან და ერთ ამბავში არიან. ხომ ითხოვენ თავიანთი უფლებების დაცვას? კი ბატონო, ვიცავ. როდის ვცემეთ ამის გამო ვინმეს, მაგრამ თავადაც შეიკავონ თავი. მათი სხეული მათ ეკუთვნით და როგორც უნდათ, ისე გამოიყენონ, ოღონდ ჩვენ თავი დაგვანებონ. ნუ ახდენენ ამის პროპაგანდას და ნუ აწყობენ აღლუმებს. ეს ყველაფერი ხელისუფლების დაკვეთით არის გაკეთებული.

***– რატომ გგონიათ, რომ ხელისუფლების დაკვეთით არის გაკეთებული?***

– ასეთი რაღაცები ხელისუფლების ნებართვით კეთდება. ხალხი უკვე კარგად იცნობს ამ ხელისუფლების მეთოდებს. ნაციონალებს მეთოდები ძალიან დაუძველდათ და რამე ახალი უნდა მოიფიქრონ.

***– ვთქვათ, ეს ყველაფერი ხელისუფლებამ მოაწყო. რაში სჭირდებოდა ხელისუფლებას ამის მოწყობა?***

– არსებული ვითარების გადასაფარავად. ქვეყანაში საკმაოდ რთული პოლიტიკური ვითარებაა. ბოლო პერიოდში მათ საშინელებები ჩაიდინეს, 26 მაისს მოწყობილ სასაკლაოს, პოლიტიკური ნიშნით დაწყებულ დაპატიმრებებს, მძიმე სოციალურ ფონს გადაფარვა ხომ სჭირდება. მომდევნო კვირას სახალხო კრებას და ქართულ ოცნებას აქციები აქვთ დაგეგმილი. ხალხის ყურადღება იმათკენაა მიმართული და ამას გადაფარვა სჭირდება. ამ ყველაფერს დავით გარეჯის პრობლემაც დაემატა. არსებული ვითარებიდან სხვა რამეებზე სურთ ყურადღების გადატანა. ამიტომაც მოიფიქრეს ეს გეიაღლუმი. ამ აღლუმებით ვერაფერს მიაღწევენ. მინდა გეიაღლუმის მონაწილეებს რჩევა მივცე.

***– რა რჩევა?***

– უმჯობესი იქნება თუ ასეთი ღონისძიებების მოწყობას თავს დაანებებენ. აქამდე თქვენთვის ხომ არავის არაფერი არ დაუშავებია. ამ პარადებს რომ ატარებენ, ხალხს აღიზიანებენ. ამას კი ძალიან ცუდი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. მერე ამას ძალადობას და ჰომოფობიას დაარქმევენ. დამანებე კაცო თავი და არც ჩვენ შეგეხებით. აღლუმებს თუ არ შეეშვებიან, ხალხის რისხვა არ ასცდებათ. მერე ყველაფერი ხელისუფლებას დააბრალონ, რომელიც ამათ აქციებისკენ უბიძგებს და ძალიან ცუდ დღეში აგდებს. მივმართავ ტრადიციული და არატრადიციული ორიენტაციის ხალხს, ამ პროვოკაციებს აწყობს ხელისუფლება. ამით ხალხის გაღიზიანება და არსებული პრობლემების გადაფარვა სურთ. ვიღაცები გაჰყვირიან, ეს მათი უფლებააო, კი ბატონო, არის. ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც ყველა ადამიანის უფლებაა. ქუჩაში რომ გამოვიდე და ბუნებრივი მოთხოვნილებები დავიკმაყოფილო, ხომ დამაპატიმრებენ? ამის გაკეთება არ შეიძლება, ასევე არ შეიძლება გეიაღლუმების მოწყობა. ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს ორიენტაციას და ხელს არ გიშლით. თქვენც პატივი გვეცით და ამ ყველაფრის პროპაგანდას ნუ ახდენთ.

***– თქვენ ზემოთ თქვით, რომ ხელისუფლებას ამ აღლუმით ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაფარვა სურდაო. ფაქტია, რომ ვერაფერი გადაფარეს.***

– ვერ გადაფარეს, მაგრამ ხალხი გააღიზიანეს. გაღიზიანებული ხალხი კი ძალიან საშიშია. ხელისუფლება კი ხალხის წყობილებიდან გამოყვანას ცდილობს. სწორედ ამ მიზნით მოხდა სოსო მანჯავიძის დაკავება. ხედავთ, რა მეთოდები აქვთ? ყველანაირად ცდილობენ, რომ ფული შეაგროვონ. მონღოლებს არ გაუკეთებიათ ასეთი რამ. გადასახადი და ხარკი მათაც ჰქონდათ დაწესებული, მაგრამ ასეთი არც დასიზმრებიათ. ყველა მეთოდით ცდილობენ დაგაკავონ, მერე საპროცესოზე ფული რომ გამოგართვან. გეიაღლუმიც შეიძლება ამიტომ გაიმართა. ისინი, რომ მაგრად ვინმეს ეცემა, ხომ დაიჭერდნენ. ამიტომ ვურჩევ ამათაც, თავისთვის იყვნენ და მაინცდამაინც რუსთაველზე ნუ ჩაივლიან გამომწვევად. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მე არატრადიციულებს არაფერს ვერჩი. არც ის მაინტერესებს, ჩაკეტილ ოთახში რას გააკეთებს. მთავარია საზოგადოებას ნუ მოახვევს თავის ორიენტაციას.

***– იმ აქციის მონაწილეებს ვიღაცები ფიზიკურად გაუსწორდნენ. ეს არ არის მათი უფლებების დარღვევა?***

– ახლა მე გეკითხებით, თავის ორიენტაციას რომ მახვევენ, ეს არ არის ჩემი უფლებების დარღვევა. ამ აღლუმით ძალიან ბევრი ადამიანის უფლება დაირღვა.

***– არასამთავრობოებმა, დეპუტატებმა და ამერიკის ელჩმა თქვეს, რომ აღლუმის მონაწილეების უფლება დაირღვა.***

– ამერიკისგან სხვას რას ელოდით? მაგათი პრეზიდენტი გამოვიდა და ცალსქესიანების ქორწინება დააკანონა. ამერიკას რატომ ვბაძავთ მაინცდამაინც, ეგ სულ სხვა ქვეყანაა. იქ ძალიან ბევრი კარგი, ტრადიციული და სანიმუშო ოჯახია, მაგრამ მაინც თავისებური ხალხია. რაღა ამაში ვბაძავთ ამერიკას. გადავხედოთ ევროპას. იქაც არ არის ასეთი პროპაგანდა. ყველგან არიან, მაგრამ ასე „იავნად“ არსად არ გამოდიან. მე არც ჩვენი საზოგადოების ნაწილის რეაქცია მომეწონა. ამბობენ, რომ არატრადიციულების უფლებები დაირღვა. თუ დაირღვა, გააპროტესტე, მაგრამ თუ აპროტესტებ, მაშინ ტრადიციულების უფლებების დარღვევაც უნდა დაგმო.

***– ტრადიციულების უფლებები ირღვევა საქართველოში?***

– ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით ასეთ დარღვევებს. ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი არის მართლმადიდებელი, მაგრამ საქართველოში ყველაზე შევიწროებული ეს რელიგიაა.

***– რატომ არის შევიწროებული?***

– საკმარისია მართლმადიდებლებმა რამე თქვან, რომ ერთი ამბავი ატყდება. საუბრობენ რელიგიურ შეუწყნარებლობაზე და ა.შ. ელჩები როცა რაღაცას აპროტესტებენ, ახმოვანებენ თავიანთი ქვეყნის პოზიციას. სანამ რამეს იტყოდნენ, მოდი, ჩვენც დაგვეკითხონ. საქართველო, იცით, რამ მიიყვანა დაღუპვის პირას? ჩვენ ყოველთვის ვიღაცების ინტერესებს ვითვალისწინებდით. ეს ვიღაცა ხან რუსეთი იყო, ხან ამერიკა, ხან თურქეთი, ხან ბიზანტია. ეს უნდა დამთავრდეს. საქართველოს ქართულად მოაზროვნე ადამიანები სჭირდება, რომლებიც საქართველოსთვის საჭირო და აუცილებელ პოლიტიკას გაატარებენ. მსოფლიოში არსებული თანამედროვე ტენდენციებიც უნდა გაითვალისწინო, ოღონდ ისინი ქართულ მენტალობას უნდა მოარგო. დანარჩენმა მსოფლიომ რომ ნახოს, როგორ ვარჯიშობენ ქართველი სპორტსმენები, გადაირევიან.

***– რა კუთხით გადაირევიან?***

– ყველა იტყვის, ამ ვარჯიშით მსოფლიო ჩემპიონები ვერ გახდებიანო, მაგრამ ხომ ხდებიან. ხდებიან იმიტომ, რომ მათი ვარჯიში ქართულ მენტალობასაა მორგებული. ყველამ უნდა დაგვანებოს თავი. ვერც ჩვენს პრობლემებს აგვარებენ და ექსპერიმენტებს ატარებენ ჩვენზე. დაგვანებონ თავი! იმაზე რატომ არ იღებენ ხმას, განსხვავებული აზრი რომ იდევნება? აქ განსხვავებული აზრი თუ გაქვს, მორჩა, მკვდარი ხარ. დღეს ყველა რუსეთს ლანძღავს. ბევრ რამეში კრიტიკას იმსახურებენ, მაგრამ რუსეთმა ჩვენს ფაშისტურ ხელისუფლებას აჯობა.

***– რითი აჯობა?***

– იქ პოზიციონერსაც და ოპოზიციონერსაც ბიზნესი აქვს. ესენი კი რა ბოროტები არიან. ქართველს თუ განსხვავებული აზრი აქვს, ბიზნესს გააკეთებინებენ? მოკლავენ და დაანგრევენ. რამდენი ადამიანია საქართველოში, რომელსაც ქონება წაართვეს და გაანადგურეს და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ადამიანები განსხვავებული აზრის მატარებლები იყვნენ. ძალიან საწყენია, ამას იგივე ამერიკის ელჩიც რომ ვერ ხედავს. კარგი იქნებოდა, მას ასეთივე პროტესტი გამოეხატა შარშანდელი 26 მაისის დარბევის გამო. იმ ამბების თვითმხილველი გახლავართ და საკუთარი თვალით ვნახე ის საშინელება. დასაგმობი, აი, ეს იყო. ეს აღარავის აღარ ახსოვს. სამაგიეროდ, ჩვენ გვახსოვს და სათანადოდაც გავიხსენებთ.

***– სათანადოდ გახსენებაში რას გულისხმობთ?***

– 26 მაისს გაიმართება ღონისძიება, სადაც მოვიწვევთ სტუმრებს. მოხდება იმის განხილვა, თუ რა მოხდა ამ ერთი წლის განმავლობაში. ორშაბათიდან დაიწყება მთელი რიგი ღონისძიებები. ბათუმშიც იგეგმება ღონისძიება. იქაც სასტიკად დაარბიეს შარშან ხალხი. ამის გარდა, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სამების საკათედრო ტაძარში გადავუხდით პარაკლისს იმ ადამიანებს, რომლებიც 26 ამისს დაიღუპნენ და დაზარალდნენ.

***– ამ ღონისძიებაზე ვინ გყავთ მიწვეული?***

– ვისაც სურვილი აქვს, ყველას შეუძლია მოვიდეს. იქ მოვა ის ხალხი, ვისაც სამშობლოზე გული შესტკივა. გეტყვით იმასაც, რომ 26 მაისს დაღუპულ პოლიციელსაც გავიხსენებთ. მისი გარდაცვალება ჩვენთვის უდიდესი ტკივილია. რა მნიშვნელობა აქვს, რას აკეთებდა ის? ის იყო საქართველოს მოქალაქე და ამით ყველაფერია ნათქვამი. ხელისუფლებისგან განსხვავებით, ქვეყნის მოქალაქეებს ჩვენიანებად და სხვისიანებად არ ვყოფთ. იმედი მაქვს, რომ ბევრი ხალხი მოვა. ის, რაც შარშან 26 მაისს მოხდა, ყველას ტკივილია. ისევე, როგორც საქართველოში დატრიალებული ყველა ტრაგედია თუ ხელისუფლების ჩადენილი უსამართლობა. ის წყალდიდობაც რა საშინელება იყო, რომელმაც ორთაჭალაში 5 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამის შემდეგ იყო გამგებლის აღმაშფოთებელი ქმედებები, როდესაც გამგებელმა მოსახლეობას ჩხუბი დაუწყო. ეს კადრები ყველამ ნახა. ძალიან აღვშფოთდი იმ ადამიანის ქმედების გამო, მაგრამ იმან უფრო აღმაშფოთა ამ კაცზე, რომ დაწერეს, სვანი გამგებელიო.

***– თქვენ მხედველობაში ბესიკ გაზდელიანი გყავთ?***

– იმაზე მოგახსენებთ.

***– მერე რატომ გეწყინათ, მასზე სვანი რომ თქვეს, გაზდელიანი ხომ სვანია?***

– სვანია, სვანი! ოღონდ ის ვერ გავიგე, რა საჭირო იყო მისი წარმომავლობის მითითება. თუ ასეა, მაშინ სხვებზეც მიუთითონ: მეგრელი ჩინოსანი, იმერელი პოლიციელი, ხევსური გამგებელი და ა.შ. ასე გამოჩნდება, რომ სვანებში ყველაზე ნაკლები ნაძირლები არიან. იცით, რაზე მწყდება გული? ვიღაცამ თუ დააშავა რამე, გამოაცხადებენ, სვანი კრიმინალიო. ვიღაცა სვანმა თუ მოიგო რაიმე, მაშინვე იტყვიან ქართველი სპორტსმენიო. ასე როგორ შეიძლება? სვანი თუ გინდა გააბრაზო, უნდა უთხრა, ქართველი არ მეგონეო. სვანი, სვანია, მაგრამ ქართველია!!!



# გია ცაგარეიშვილი: გვითხრას სააკაშვილმა, რაში გაცვალა დავით გარეჯი



**ქართველმა მესაზღვრეებმა დეპუტატები სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არ შეუშვეს**

თეა მარხვაიძე

დავით გარეჯთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. 18 მაისს გვამცნეს, რომ იქ ვითარება გამოსწორდა. გვითხრეს, რომ სადავო ტერიტორიაზე მომლოცველებსა და ტურისტებს თავისუფლად ატარებდნენ. საპარლამენტო ფრაქციის „ერთობა სამართლიანობის“ წევრები იქ შექმნილი ვითარების სანახავად წავიდნენ. იქ ნანახით დეპუტატები აღშფოთებული დარჩნენ.

– იქ ვითარება არის უცვლელი. ტერიტორიაზე, სადაც საუკუნეების განმავლობაში აღესრულებოდა წირვა-ლოცვა, ქართველებს აღარ უშვებენ, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა.

ის ადასტურებს ინფორმაციას, რომ მონასტრის ტერიტორიაზე აზერბაიჯანელი მესაზღვრეები აღარ დგანან. სამაგიეროდ ახლა ქართველი მესაზღვრეები ქმნიან პრობლემებს.

– აზერბაიჯანელი მესაზღვრეები იქ არ გვინახავს. სამაგიეროდ ქართველმა მესაზღვრეებმა არ გაგვატარეს. ეს კიდევ უფრო ცუდია. ფაქტიურად აქ გაავლეს საზღვარი. ჩვენ ავედით ჩიჩხიტურის თხემამდე. იმის იქეთ აღარ გაგვიშვეს. ვერ მივედით ბერთუბნის მონასტრამდე, სადაც კელიებია, – ამბობს აღშფოთებული ცაგარეიშვილი.

ის ხელისუფლებისგან სიმართლის თქმას მოითხოვს.

– გამოვიდეს ხელისუფლება და თქვას, რაში გაიცვალა ეს ტერიტორია, – კითხულობს დეპუტატი.

მას ყველაზე მეტი პრეტენზიები საქართველოს პრეზიდენტთან აქვს.

– იმის მაგივრად, რომ მილანში იშოპინგოს, სააკაშვილი აქ უნდა იყოს. უნდა ავიდეს მესაზღვრეებთან და გაარკვიოს რა ხდება. თუ ყველაფერი გარკვეულია, მაშინ ღიად გვითხრას, რაშია საქმე, – ამბობს ცაგარეიშვილი.

ის პირობას დებს, რომ ამ საქმეს ასე არ დატოვებს.

– ტყუილად ჰგონია ვინმეს, რომ ეს ამბავი ასე ჩაივლის. ამაზე აუცილებლად აგებენ პასუხს კალანდაძე, რურუა, სააკაშვილი, – აცხადებს დეპუტატი.

ამ თემასთან დაკავშირებით განცხადებების გაკეთებას ფრაქციის წევრები მომავალ კვირასაც აპირებენ. ამის გარდა ფრაქციის გაფართოებული სხდომაც გაიმართება, სადაც ისტორიკოსები, კარტოგრაფები და მესაზღვრეებიც იქნებიან მიწვეული.

# ვინ შექმნის საქართველოში მესამე ძალას

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის ხელმძღვანელ, კონფლიქტოლოგ ალექსანდრე რუსეცკისთან



***— ქართულ პოლიტიკურ სპექტრში შექმნილ დაძაბულობაზე მინდა გკითხოთ. როგორ ფიქრობთ, თავდასხმები ქართული ოცნების მხრიდან ბურჯანაძისა და ნათელაშვილის მისამართით ხელოვნურად არის შექმნილი თუ სერიოზული საფუძველი აქვს?***

— მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობას მივაღწიეთ, პოლიტიკური დაძაბულობა პოლიტიკურ ცხოვრებას თან სდევს. საქართველოში ბევრი უცხოური ფონდი აფინანსებს ტოლერანტობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროექტებს. ეს პროექტები ემსახურება ეთნიკური, სექსუალური, რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას. რაც შეეხება პოლიტიკურ ტოლერანტობას, მე არ ვფლობ ინფორმაციას ასეთი პროექტების დაფინანსების შესახებ. განსხვავებულ აზრს ვერ ვეგუებით და ეს მავნე ტრადიცია ტოტალიტარული აზროვნების შედეგია. არსებობდა მონო პოლიტიკური სისტემა. მონიზმი იყო დომინანტი იდეოლოგია, სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანი აღქმული იყო როგორც მტერი, რომელიც უნდა გაანადგურო. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომ სხვადასხვა იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის პოლიტიკური პარტიები ვერ ახერხებენ ერთად სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობას. ამიტომ იქმნება ე.წ. ხელოვნური ოპოზიცია, რომელიც თამაშობს ოპოზიციის როლს. ის გარე მომხმარებელს, საერთაშორისო საზოგადოებას აჩვენებს, რომ ამ ქვეყანაში არის დემოკრატია, ტარდება არჩევნები და არის პოზიტიური ცვლილებები. სინამდვილეში ეს არის ილუზორული დემოკრატია, უბედურება ის არის, რომ ჩვენ ამ ტყუილს ვეგუებით. ამ ტყუილის მონაწილეები ვართ.

***— თქვენ ერთ-ერთ წერილში საინტერესო შეხედულებები განავრცეთ. ციტატას მოვიყვან „ბურჯანაძე სატელიტის როლს ვერ შეასრულებს. დისტანცირებულია ორივე პოლიტიკური ცენტრიდან, აქვს საკუთარი გრავიტაციული ძალა და იმის შანსი, რომ პოლიტიკური ტრიუმვირატის საკვანძო ფიგურა გახდეს.“ აქედან გამომდინარე ამბობთ, რომ საქართველოს უსაფრთხოებისთვის მესამე ცენტრის შექმნა აუცილებელია. იქნებ განმარტოთ, რა გაქვთ მხედველობაში და ვინ შეიძლება შექმნას მესამე ცენტრი?***

— ჩვენი მთავარი ფსიქოლოგიური პრობლემა არის მონიზმი, ეს არის სწორედ ეგოცენტრიზმის საფუძველი. აზროვნების მეორე დონე არის დუალისტური აზროვნება. აქ ორი პოლიტიკური ელემენტია. შესაძლოა ერთი იყოს უფრო ძლიერი, მაგრამ არა იმდენად, რომ მეორე იყოს თამაშგარე მდგომარეობაში. ჩვენ გაჩხერილი ვართ მონიზმსა და დუალიზმს შორის. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, საით უნდა მიმდინარეობდეს ჩვენი განვითარება, რათა მივიდეთ მდგრადი დემოკრატიული სისტემის მშენებლობის პროცესამდე. ეს შეუძლებელია, თუ მიზნად არ დავისახავთ ტრიალისტურ ანუ სამი ელემენტის სისტემას. დუალისტურ სისტემას უნდა მივაღწიოთ. ეს ნიშნავს პარლამენტში ორი განსხვავებული მსოფლმხედველობის სისტემის თანაარსებობას. ამის მისაღწევად უფრო დიდი ზემიზანი უნდა გვქონდეს. ზემიზანი არის სამი კომპონენტი. თუ არ გვექნება პროგრესისა და განვითარებისკენ სწრაფვის სურვილი, მუდმივად რეგრესისკენ ვიქნებით მიდრეკილი. ამის თვალსაჩინო გამოხატულებაა სამოქალაქო ომი.

პოლიტიკური ტრიალიზმი არის პლურალიზმის პირველი მერცხალი. თუ გვინდა შევქმნათ პლურალისტური დემოკრატია, სადაც ადამიანის აზრს პატივს სცემენ, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ტრიალიზმის დონეს. ჩვენ დუალიზმის სისტემაც კი ვერ შევქმენით. დუალისტი აღიარებს, რომ ის არის სხვა აზროვნებისა და ინაწილებს ძალაუფლებას მეორე ძალასთან ერთად. თუმცა, ცდილობს, რომ პროცესებში მესამე ძალა არ იყოს ჩართული. პლურალისტური დემოკრატიის პირობებში თანაარსებობენ მრავალი მოსაზრებისა და პოზიციის ადამიანები. ადამიანური რესურსი დიდი კაპიტალია, პოლიტიკა კი ამ კაპიტალის ეფექტური მართვაა. უნდა ვეძებოთ ეროვნული რესურსი, რომელიც გაგვაჩნია. უნდა ვეცადოთ პლურალიზმისკენ განვითარებას. ვიმუშაოთ მესამე პოლიტიკურ ცენტრზე, რომელსაც გააჩნია თავისი გრავიტაცია. მომავალში მეოთხე პოლიტიკური ცენტრის შექმნაც არ უნდა გამოვრიცხოთ.

***— რომელმა პოლიტიკურმა ძალებმა შეიძლება შექმნან მესამე ცენტრი?***

— აქ უნდა ვილაპარაკოთ პიროვნულ და ორგანიზაციულ პოტენციალზე. ორასზე მეტი პოლიტიკური პარტიაა საქართველოში, მაგრამ ორგანიზაციული და ლიდერობის თვისებებით ეს ორგანიზაციები არ წარმოადგენენ ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც სამომავლოდ ცენტრალური სუბიექტები გახდებიან. დღეს პოლიტიკური ლიდერებისგან გამოვყოფ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, შესაბამისად, „დემოკრატიულ მოძრაობას“. მათ გააჩნიათ პირველ რიგში ინტელექტუალური რესურსი, რომელიც არ უნდა იყოს იმ მდგომარეობაში, რაშიც დღეს არის. „დემოკრატიული მოძრაობის“ მონაწილეობა ქვეყნის მართვაში, მიმაჩნია, რომ აუცილებელია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვამ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. რაც მეტი ელემენტი იღებს მონაწილეობას, მით უფრო მაღალია ლეგიტიმურობა. რაც უფრო მაღალია ლეგიტიმურობა ხელისუფლების და პოლიტიკური სისტემისა მთლიანად, მით უფრო მდგრადია განვითარება.

***— ამ სისტემისთვის მიუღებელი იქნება გამონათქვამი — „შუა უნდა გაიკრიფოს“.***

— რა თქმა უნდა. ამიტომ დღეს ის ადამიანები, ვისაც არ გააჩნიათ ადმინისტრაციული, მატერიალური რესურსი, მაგრამ გააჩნიათ ადამიანური რესურსი, უნდა მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში. არა მარტო ინტელექტს ვგულისხმობ, შეიძლება არ იყოს ღრმად ინტელექტუალური ის ადამიანი, მაგრამ იყოს პროფესიონალი. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ ადამიანური რესურსი პოლიტიკაში იყოს მაქსიმალურად გამოყენებული. საზოგადოებამ უნდა შეუქმნას თანაბარი პირობები ყველა პოლიტიკურ ელემენტს. მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსი და ფინანსური კაპიტალი არ უნდა წყვეტდეს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლებას.

***— როგორ ფიქრობთ, დღეს რომ „ქართული ოცნების“ ლიდერები გამუდმებით აკრიტიკებენ ბურჯანაძეს, ნათელაშვილს, თავს ესხმიან მათ, ეს გამოწვეულია კონკურენციით თუ სხვა რაიმე მიზეზია?***

— არა მგონია, სიტყვა „თავდასხმა“ სწორი იყოს ამ შემთხვევაში. არის პოლიტიკური ასპარეზი და ადამიანები გამოხატავენ თავიანთ შეხედულებებს.

***— ძირითადად გაისმის ბრალდებები, რომ ბურჯანაძე და ნათელაშვილი ხელისუფლების სატელიტები არიან, საინტერესოა, ეს პოლიტიკოსები შეიძლება საზოგადოებამ სააკაშვილის ჯიბის ოპოზიციონერებად ჩათვალოს?***

— ბრალდებები, სადაც არ არის დამტკიცება, კიდევ ერთხელ ადასტურებს პოსტტოტალიტარულ აზროვნებას. ბრალდებების შეფასება იოლად შეგვიძლია და კარგად გავარკვევთ, რომელ ლიდერში უფროა გამჯდარი ტოტალიტარული აზროვნება, კერძოდ, კი ხალხის მტერი, რუსეთის აგენტი და სხვა მსგავსი დეფინიციები. კულტურული ადამიანი დილით დგება თუ არა, პირს იბანს და კბილებს იწმენდს, თუ მორწმუნეა, სულსაც უფრთხილდება და ლოცულობს. ასევეა პოლიტიკური ჰიგიენაც. სანამ რამეს ვიტყვით, ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ.

***— ხელისუფლება თავის თავს დასავლური კურსის მხარდამჭერად მიიჩნევს, ოპოზიციას რუსეთის აგენტებად და მტრებად მოიხსენიებს. ასეთი დამოკიდებულება რამდენად სწორია პოლიტიკური ოპონენტების მიმართ?***

— თუ ოპოზიციური ძალები დაკავშირებული არიან რუსეთთან, ეს კვლევის საგანი უნდა იყოს. მე შემიძლია მთელი სია ჩამოვთვალო წამყვან თანამდებობებზე მყოფი ადამიანებისა, რომლებიც რუსეთის მოქალაქეები იყვნენ, თუნდაც ბენდუქიძე, გრიგოლ ვაშაძე და სხვები. ჟურნალისტური კვლევის საგანია, ვინ მეტად და ვინ ნაკლებად არის დაკავშირებული რუსეთთან. რეალურ სურათს რაც შეეხება, არსებობენ გეოპოლიტიკური ცენტრები და ნებისმიერმა პარტიამ უნდა განსაზღვროს თავისი პოლიტიკა.

***— თქვენს წერილში, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა ინტერპრესნიუსში, აღნიშნეთ, რომ „ვაშინგტონი-ბრიუსელი-მოსკოვი“ ამ ცენტრებისთვის ბურჯანაძე ერთნაირად მისაღებია. დაბალანსებული პოლიტიკა გასაგები იქნება როგორც ქართველებისთვის, ისევე საერთაშორისო საზოგადოებისთვისო. კიდევ რომელ პოლიტიკურ ლიდერს მიიჩნევთ, რომელსაც შეუძლია, დავუშვათ, ბურჯანაძის მსგავსად იყოს მისაღები ამ გეოპოლიტიკური სამკუთხედისთვის?***

— ბურჯანაძესაც და ივანიშვილსაც გააჩნიათ მიმღებლობის ხარისხი. შეუძლიათ ჩასვლა ვაშინგტონშიც, მოსკოვშიც და ბრიუსელშიც. არც ქალბატონი ნინო და არც ბატონი ივანიშვილი არ არიან მიუღებელი ფიგურები დასავლეთისთვის, არც ის პერსონები არიან, რომლებიც მიუღებლები არიან მოსკოვისთვის. არსებული ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ ჩადიან მოსკოვში, დასავლეთშიც ისე ველარ ჩადიან, როგორც ჩადიოდნენ ადრე. თუ მდგრად პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, სიმდგრადე და პოლიტიკური ლეგიტიმურობა შედგება ორი ვექტორისგან — შიდა და გარე პოლიტიკური ლეგიტიმურობისგან. მიმაჩნია, რომ ოპოზიციურ ძალებს საგარეო ლეგიტიმურობის ხარისხი არანაკლები აქვთ, ვიდრე არსებულ ხელისუფლებას. ხელისუფლებას მოსკოვთან დიალოგის საშუალება მეტი ჰქონდა აგვისტოს ომამდე. რაც შეეხება შიდა ლეგიტიმაციას და იმ ნდობას, რომელიც შიგნით არის, ნაცმოძრაობა დღეს მისთვის სასარგებლო მდგომარეობაში არ არის. დასაწყისში მაღალი ნდობა და რეიტინგი ჰქონდათ. შეიძლება ეს იმით გავამართლოთ, რომ ტარდება სერიოზული რეფორმები, ამ პროცესში ხელისუფლების რეიტინგი ვარდება, მაგრამ რეფორმების პარალელურად არის უარყოფითი პროცესებიც, რაც ხელს უწყობს მათი რეიტინგის ვარდნას და აძლიერებს ოპოზიციურ ძალებს. სხვა საკითხია ის, რომ ოპოზიციური ძალები სათანადოდ ვერ იყენებენ იმ შეცდომებს, რომელიც აქვს ხელისუფლებას. არ არის სისტემური ანალიზი არც საგარეო, არც საშინაო პოლიტიკის. არც ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები და პრიორიტეტებია გაანალიზებული. ოპოზიცია ედავება ხელისუფლებას ადამიანის უფლებების დარღვევებზე, ეს საკითხი მნიშვნელოვანია, მაგრამ ასეთი პოლიტიკა ოპოზიციის მხრიდან ხელისუფლების მობილიზაციის და აგრესიულობის ხარისხს ზრდის. ხელისუფლება არ არის ერთიანი ორგანიზმი, ხელისუფლებაში არიან სხვადასხვა ადამიანები და დაჯგუფებები. მათი აღრევა და ერთნაირად დადანაშაულება არის შეცდომა. მაშინ რით განსხვავდება ეს ოპოზიცია ხელისუფლებისგან? მე არა მაქვს გარანტია, რომ ოპოზიცია მოვა ხელისუფლებაში და ამათზე უარესად არ მოიქცევა. ისინიც ვინც დღევანდელ ხელისუფლებაში არიან, აკრიტიკებდნენ წინა ხელისუფლებას. ისინიც უშუალოდ აგროვებდნენ მასალას კორუფციაზე, დანაშაულზე, ადამიანის უფლებების დარღვევებზე, რითი განსხვავდება მაშინ დღევანდელი ოპოზიცია? მან საზოგადოებას ახალი აზროვნების სტილი უნდა შესთავაზოს.

***— მაგალითად, რას გულისხმობთ ამაში?***

— ოპოზიციას დიდი რესურსები და გამოცდილება გააჩნია, მათ შორის არა მარტო კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და „დემოკრატიულ მოძრაობას“, არამედ მემარჯვენეებს. რამდენ მხარდამჭერს მიიყვანს აქციაზე, ეს არ უნდა იყოს ოცდამეერთე საუკუნის საქართველოსთვის გადამწყვეტი. მუშტების ქნევით ვერ შევძლებთ ტრანსფორმაციას. თუ არ ჩავაქსოვეთ ამ პროცესებში ინტელექტუალური და კრეატიული მომენტი, ვერაფერს მივაღწევთ. ჩვენ, ყველანი, დამნაშავეები ვართ თუ უდანაშაულონი, ერთი სისტემის შვილები ვართ, იმ სისტემისა, რომელსაც საქართველო ჰქვია. ხვალ თუ საზღვარზე რაღაც პრობლემა გაჩნდება, გვინდა თუ არა, იძულებული ვიქნებით, რომ ერთად დავიცვათ ქვეყნის ინტერესები. ამიტომ სეპარატისტული პოლიტიკური აზროვნება, რომლის შინაარსი არის ხელისუფლების სრული მონოპოლიზაცია, დამღუპველია. ვინც ახალ პოლიტიკურ აზროვნებას და კრეატივს მოიტანს, ის გახდება მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერი.

***— ზოგიერთი სოციოლოგიური გამოკითხვით, რომელიც სტუდენტებს შორის განხორციელდა, მოულოდნელი შედეგი იყო, გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა რუსეთს ასახელებდა ყველაზე კეთილმეზობლურ სახელმწიფოდ. შეიძლება თუ არა ხელისუფლების არასწორი საგარეო პოლიტიკა იყოს იმის შედეგი, რომ ქვეყანაში პრორუსული განწყობილებები იზრდება?***

— მე ვასწავლი ერთ-ერთ უნივერსიტეტში, მყავს სტუდენტები და არა მგონია ამ სტუდენტებს მიეღოთ მონაწილეობა იმ სოციოლოგიურ კვლევაში, რის მონაცემებსაც მეუბნებით. უაზრო და უსაფუძვლო ლანძღვა, მეორე მხრივ კი ეკონომიკურად აქტიური თანამშრომლობა, ეს უზნეობის აპოგეუმია. ერთი მხრივ, არის მტრის უარყოფა და მეორე მხრივ, სადაც მატერიალური ამონაგებია, ყველანაირ კომპრომისზე წასვლა. ეს არ შეეხება მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან პოლიტიკას, ეს ეხება სხვა საგარეო ფაქტორთან ურთიერთობასაც. მაგალითად, ნორვეგია არის საინტერესო მაგალითი, აფხაზეთის შელფთან დაკავშირებით მოლაპარაკებები და მეორე მხრივ, ინვესტიციები ქართულ ენერგეტიკაში. მონიზმის ფსიქოლოგიაა, როცა მხოლოდ ერთ გეოპოლიტიკურ ცენტრზე ვართ დამოკიდებული და მნიშვნელობა არა აქვს იმას, ხვალ ეს იქნება მოსკოვი, პეკინი თუ ნიუ-იორკი. მონისტი საშინაო პოლიტიკაშიც მონისტია და საგარეო პოლიტიკაშიც. მონისტი არის მონიზმის მონა. ეს არის უბედურება. შეიძლება იყოს განათლებული ადამიანი, მაგრამ ის არის მონა და მძევალი ამ მონისტური ფსიქოლოგიის. თავად ისპობს თავისუფლების ხარისხს. მონიზმის ალტერნატივა პლურალიზმია.

# პეტრე მამრაძე: სააკაშვილი ინვესტორების საფრთხობელად იქცა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მო, რომ ნასამართლევია და ციხეში ნამყოფია ისლამური რადიკალიზმის გამო და ეს ადამიანი არის გიული ალასანიას უპირველესი პარტნიორი ამ უნივერსიტეტებში, რაღას გამოვრიცხავ. ფულიანი კაცია და თავშესაფარი იპოვა. აი ასე, თურქეთში ძებნილს აქ აქვს ასპარეზი და ვისი მხრიდან ? პრეზიდენტის ოჯახის მხრიდან, ამიტომ გასაკვირი და გამორიცხული არაფერია.

***— ხომ არ დაიძაბება ვითარება? აგერ, ,,წინააღმდეგობის მოძრაობა“ რამდენიმე დღეში დავით გარეჯის ტერიტორიაზე კარვების გაშლას, თბილისში კი პერმანენტული აქციების გამართვას გეგმავს...***

— ეს სავსებით შესაძლებელია და ვისურვებდი, რომ ეს არ მოხდეს იმიტომ, რომ დავით გარეჯის თემა მტკივნეული და მგრძნობიარე თემაა. ეს იყო პოლიგონი და ერთ-ერთი თემა, რის გარშემოც თავის დროზე მოხდა ეროვნული ძალების გაერთიანება, გადავარჩინოთ გარეჯი. ამიტომ ამან რომ ჰპოვოს რეზონანსი, ნამდვილად, არ გამოვრიცხავ და მთავარია, ამ ჩვენი უგუნური რეჟიმის ხელში არ მოხდეს ვითარების გამწვავება მეგობარ აზერბაიჯანთან, ეს ჩვენთვის იქნება ყელის გამოჭრა.

***— რაც რუსეთს აძლევს ხელს, ითქვა, აქ კრემლის ხელიც ურევიაო...***

— რუსეთს აძლევს ხელს, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოში დღეს ბევრად გადაჭარბებულია ჩვენი მნიშვნელობა რუსეთისთვის თუ აშშ-თვის. რუსეთში მას შემდეგ, რაც სააკაშვილს მისივე ხელით გააკეთებინეს ყველაფერი რაც უნდოდათ ასეთ დიდ მნიშვნელობას საქართველოს არ ანიჭებენ. ლანგარზე დაუდო სააკაშვილმა პუტინს ცხინვალსა და აფხაზეთში უძლიერესი ბაზების განთავსების საშუალება, ოკუპაცია, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება. საქართველოს გამთლიანების პერსპექტივამ ძალიან გადაიწია სააკაშვილის ავანტიურის შემდეგ.

***— სააკაშვილის განცხადება აფხაზეთზე როგორ გეჩვენებათ ? ამბობენ, რუსეთს მესიჯი გაუგზავნაო...***

— სასწაული თქვა! რა თქმა უნდა, მესიჯი გაუგზავნა და ეს დიდი ხანია ასეა. ცნობილია კიდეც, ჯერ კიდევ 2-3 წლის წინ მესიჯი მესიჯზე იგზავნებოდა, ოღონდ დამტოვეთ ხელისუფლებაში და ნებისმიერი თქვენი ინტერესი იქნება დაკმაყოფილებულიო.

***— დატოვებენ ? ნუთუ, მართლაც აწყობს პუტინს სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნა ?***

— შეგახსენებთ, როცა 26 მაისს, შარშან, ალექსანდროვმა, ცნობილმა მეცნიერმა და კავკასიის სპეციალისტმა ინტერვიუ მისცა, სადაც განაცხადა, — სააკაშვილი ყველაფერს გაუძლებს იმიტომ, რომ ის იდეალურად აწყობს პუტინს. რა თქმა უნდა, ახლაც ასეა, უკეთესს ვერ იპოვნიან. მერე გამოვა მერაბიშვილი და იტრაბახებს, რუსული ბიზნესია შემოსული, ინვესტიციებიაო, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ცუდია, როცა ექსკლუზიურად მხოლოდ რუსეთი შემოდის. სხვები რატომ დავკარგეთ? სად არის ამერიკული ინვესტიციები? ფრანგული, გერმანული, ბრიტანული ინვესტიციები, რატომ არ არის, რატომ არის ნულის ტოლი? იმ პოლიტიკის შედეგად, რომელიც სააკაშვილმა გაატარა, იგი დიდი ხანია იქცა იმ საფრთხობელად, ბოსტანში რომ დგას და ნებისმიერ ინვესტორს აფრთხობს. კაცი, რომელიც 2008 წლის ავანტიურის შემდეგ კვირაში ერთხელ აცხადებდა, რომ ომი აწი უნდა დაიწყოს, ყველა სოფელი დასაცავია და ყველამ — ქალმა და კაცმა უნდა აისხას იარაღიო, აი, იმ ქვეყანაში უცხოელი ინვესტორი შემოვიდოდა ან შემოვა? იმ ქვეყანაში შემოვა მხოლოდ ის ინვესტორი, რომლის ტანკებიც დგას თბილისიდან 30 კილომეტრში!

# სააკაშვილის გახსნილი საავადმყოფოები რესტორნებად და კაზინოებად გადაკეთდება?!

შალვა ჯოხაძე

ცოტა ხნის წინ, მიხეილ სააკაშვილი ლამის დღეში ერთ საავადმყოფოს ხსნიდა. ამის შესახებ ყველანი ხართ ინფორმირებული, რადგან ნაციონალური ტელეარხები თითოეულის გახსნის ცერემონიალს დასაწყისიდან ბოლომდე, სააკაშვილის იქიდან გამომგზავრებამდე აშუქებდა. თუმცა, მას მერე ხელისუფლებიდან არავინ არაფერს ამბობს, რა სიტუაციაა ამ სამედიცინო დაწესებულებებში, როგორ ემსახურებიან პაციენტებს და ა.შ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს" ექსპერტი, ხერარდ დე ბური პერიოდულად აქვეყნებს იმ კვლევის შედეგებს, რომელსაც ის ქვეყანაში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებთან დაკავშირებით ატარებს.

ექსპერტი შეგვახსენებს, რომ სამედიცინო დაწესებულებები 160-170 ახალი საავადმყოფოს გასახსნელად წამოწყებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაიხსნა. ეს პროგრამა, ძირითადად, საავადმყოფოების სახელმწიფო მფლობელობიდან კერძო მფლობელობაში გადასვლას გულისხმობს.

— საავადმყოფოების გახსნის პროცესში დადიოდა ხმები, რომ ყველა საავადმყოფოს სადაზღვევო კომპანიები ფლობენ, მათი მშენებლობისა და აღჭურვის პროცესი დასრულებული არ არის და, შესაბამისად, საავადმყოფოები სრულად არაა ამოქმედებული. ჯანდაცვის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში გადავწყვიტეთ ეს ინფორმაცია გადაგვემოწმებინა.

იმის დასადგენად, შეესებამებოდა თუ არა ზემოთაღნიშნული ხმები სინამდვილეს, საავადმოყოფოების გადამოწმება ადგილობრივი აქტიური მოქალაქეების, მოხალისეების საშუალებით დავიწყეთ. მათ უნდა გაერკვიათ საავადმყოფოების სტატუსთან დაკავშირებული საკითხები და პასუხი გაეცათ მარტივ შეკითხვებზე, დასრულებულია თუ არა საავადმყოფოების მშენებლობის პროცესი და ამოქმედებულია თუ არა ისინი სრული დატვირთვით, — აცხადებს ხერარდ დე ბური.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ" შესამოწმებელი საავადმყოფოების შესარჩევად პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული ახლადგახსნილი საავადმყოფოების ნუსხა იხილა და ბოლო ერთი წლის განმავლობაში გახსნილი 25 საავამყოფოდან 15 შეარჩია.

აღმოჩნდა, რომ უმრავლეს შემთხვევაში საავადმყოფოების მშენებლობისა და მათი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვის პროცესი დასრულებული ან თითქმის დასრულებულია. შესწავლილი საავადმყოფოებიდან მხოლოდ ოთხში




გამოვლინდა რამდენიმე ოთახი და იატაკი, რომელთა განახლება დასრულებლ არ იყო. აქვე უნდა ითქვას, რომ ოთახები სათანადოდ იყო აღჭურვილი მკურნალობის ჩასატარებლად. ძირითადი პრობლემა ხელმძღვანელობისა და სამედიცინო პერსონალის მიერ ორგანიზაციის წარმომადგენელთათვის მიწოდებული ინფორმაციის არაშესაბამისობა იყო.

როგორც სხვადასხვა ვიზიტისას გადაღებული ფოტოებიდან ჩანს, ყველა საავადმყოფოს ფასადი შესანიშნავ მდგომარეობაშია.

— რამდენიმე მოხალისის მიერ აღნიშნულმა ფაქტმა, რომ მათ არ მისცეს ყველა სართულზე შესვლის ნებართვა, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ჩვენს მოსაზრებაზე საავადმყოფოების სტატუსთან დაკავშირებით. დაფიქსირდა შემთხვევები, როცა მოხალისეებს ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა მიეცათ მხოლოდ დაცვის თანამშრომლებისგან, რომლებსაც, ან სამედიცინო ცენტრის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ გააჩნდათ, ან თანამშრომლობის სურვილი. ზოგიერთი საავადმყოფოს მხრიდან ასეთი დამოკიდებულების მიზეზი ვერ დავადგინეთ, მაგრამ დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ცალკეულ შემთხვევებში ჩვენთვის ყველაფრის ჩვენება არ სურდათ. სამწუხაროა, რომ ამის გამო რესპონდენტებს საკუთარი სამედიცინო ინსტიტუტის საუკეთესო კუთხით წარდგენის საშუალება არ მიეცათ, — აცხადებენ ორგანიზაციაში.

ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" სვამს საკითხს — რა მოხდება 7 წლის შემდეგ?

— ჰოსპიტალურ სექტორში განხორციელებული ტოტალური პრივატიზაციის შედეგად, ახლადგახსნილი საავადმყოფოების დიდ ნაწილს სადაზღვევო კომპანიები ფლობენ. ინვესტორებსა და მთავრობას შორის დადებული შეთანხმების სამწუხარო ნაწილი ისაა, რომ საავადმყოფოებმა სამედიცინო პროფილი 7 წლის მანძილზე უნდა შეინარჩუნონ. თავის ადრინდელ ანგარიშებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ" გამოთქვა ეჭვი იმის თაობაზე, რომ 7 წლის შემდეგ, მფლობელი კომპანიები საავადმყოფოების პროფილს უფრო მომგებიანი დაწესებულების სასარგებლოდ შეცვლიან. ძნელი სათქმელია, გააგრძელებს თუ არა რეგიონებში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საავადმყოფოები მრავალპროფილური საავადმყოფოს სახით ფუნციონირებას 7 წლის გასვლის შემდეგაც, რადგან ამის იურიდიული ვალდებულება არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ ინვესტორების უმრავლესობა ბიზნეს ორგანიზაცია, კერძოდ, სადაზღვევო ან ფარმაცევტული კომპანია, რომლებსაც ჯანდაცვის სფეროში საქმიანობის გამოცდილება არ გააჩნია. მათი მთავარი მიზანი მოგების მიღებაა და არა საავადმყოფოების ხელმისაწვდომობისა და ნორმალური ფუნციონირების უზრუნველყოფა. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, პრიორიტეტულია თუ არა ინვესტორებისათვის საავადმყოფოების ხელმისაწვდომობა და მომსახურების ხარისხი.

მართალია, ძველი ინფრასტრუქტურა ახლით იცვლება, რაც აუცილებელი იყო, მაგრამ ჯანდაცვის სექტორი საქართველოში მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ჯანდაცვის ახალი პოლიტიკა გრძელვადიან პერსპქტივაში რისკების შემცველია. აღმოჩნდა, რომ გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ საავადმყოფოების მშენებლობისა და აღჭურვის პროცესი დასრულებული არ არის, სიმართლეს არ შეესებამება, მაგრამ ბევრი პრობლემაა საავადმყოფოების ხელმისაწვდომობის, მათი სიცოცხლისუნარიანობისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით, — დასძენენ ორგანიზაციაში.

არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დასმული საკითხი მართლაც დამაფიქრებელია. ნაკლებად სავარაუდოა, რომ რეგიონებში გახსნილმა საავადმყოფოებმა კერძო კომპანიებს იმხელა მოგება მოუტანოს, რომ მათ გაუქმებაზე არ იფიქრონ. ასე რომ, 7 წლის შემდეგ, შესაძლოა, ისინი რესტორნებად ან კაზინოებადაც კი გადააკეთონ.

# ციხის ჩინოსნებმა პატიმარი ხელკეტით გააუპატიურეს

შალვა ჯოხაძე

პირველი შემთხვევა არ არის, როცა პატიმარი მისი გაუპატიურების შესახებ სკანდალურ განცხადებას აკეთებს. ცნობილი ფაქტია, რომ გაუპატიურება თუ გაუპატიურებით დამუქრება ხათუნა კალმახელიძის უწყებაში აპრობირებული მეთოდია.

„სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" და პატიმართა უფლებების დაცვის საქველმოქმედო ფონდი ქსნის №15 დახურული ტიპის დაწესებულების ხელმძღვანელობის დაუყოვნებლივ დასჯას და იქ მყოფი პატიმრის პეტრე ო.-ს (პატიმრის გვარს, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, შეგნებულად არ დავასახელებთ) დაუყოვნებლივ სხვა დაწესებულებაში გადაყვანას ითხოვენ. ორგანიზაციების წარმომადგენლებმა კოკა კვინიკაძემ და ლადო მაჭარაშვილმა განაცხადეს, რომ პატიმარი პეტრე ო. დაწესებულების ხელმძღვანელობამ ხელკეტით გააუპატიურა. ამ ფაქტის შესახებ ორგანიზაციამ „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" თავად პეტრე ო.-საგან მიიღო წერილი. პატიმარი წერილში ასახელებს დაწესებულების ხელმძღვანელობის გვარებს. მისი თქმით ამ დაწესებულების დირექტორი შოთა თოლორდავა, ლევან ლეჟავა, გიორგი ფანჯიკიძე და დიმა ჩხეიძე უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ დანაშაულში.

კვინიკაძისა და მაჭარაშვილის განცხადებით, ეს ინფორმაცია უკვე მიაწოდეს სახალხო დამცველს და ომბუდსმენის წარმომადგენლების პატიმართან შეხვედრა მოსთხოვეს.

როგორც „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" წარმომადგენელმა კოკა კვინიკაძემ განაცხადა, პეტრე ო.-ს მიმართ განხორციელებული ქმედებების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც შეატყობინებენ. პატიმართა უფლებათა დაცვის საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენლის, ლადო მაჭარაშვილის თქმით, წერილის მიღებისთანავე, ის გაემგზავრა ქსნის №15 დახურული ტიპის დაწესებულებაში და პეტრე ო. მოინახულა, რომელიც მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია და შველას ითხოვს. უფლებათა დამცველების თქმით, პატიმარი თავის მოკვლითაც კი იმუქრება.

„ახალი თაობა" პატიმრის წერილს უცვლელად გთავაზობთ:

— წელს, 24 თებერვალს ქსნის №15 დახურული ტიპის დაწესებულების თანამშრომლები აწარმოებდნენ საღამოს შემოვლას. შემოვლის დროს მე, პეტრე ო.-ს მითხრეს, რომ უნდა გავყოლოდი მათ ადმინისტრაციის შენობაში და მეც გავყევი. იქ მისვლისთანავე დაიწყეს ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, სიტყვიერი შეურაცხყოფა და შემდეგ უკვე ფიზიკური შეურაცყოფა, ანუ ცემა, რაც აქ იშვიათი რამ არ არის და ხშირად ხდება პატიმრების მიმართ. მაგრამ ამ ყველაფერს შეძლებისდაგვარად ვიტანთ იმის გამო, რომ აქაურ თანამშრომლებთან კონფრონტაციის და რაიმე პროტესტის გამოხატვის შემთხვევაში, აბსოლუტურად დაუცველად ვგრძნობთ თავს. მაგრამ ფაქტი, რომელიც ჩემ მიმართ ჩაიდინეს, არანაირი ადამიანური ღირსების საზღვრებში არ თავსდება. კერძოდ: იქ მყოფმა პიროვნებებმა ამ არაადამიანური ცემის შემდეგ ე.წ. დუბინკით მოახდინეს ჩემი გაუპატიურება და თან დამემუქრნენ, თუ ამ ამბავს გავახმაურებდი, ჩემს სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა და ველარ მიშველიდა ველარავინ... შემდეგ ისევ მცემეს, რის შემდეგაც გავითიშე და რომ გამოვფხიზლდი, უკვე გათენებული იყო, მე კი ისევ იმავე ოთახში, ე.წ ნარუჩნიკით გაბორკილი ვეგდე იატაკზე. შემდეგ გადამიყვანეს ე.წ. ზონის შენობაში და ჩამკეტეს მარტო იზოლირებულ საკანში. რამოდენიმე დღის შემდეგ, გადავწყვიტე მიმეყენებინა თვითდაზიანება იმ მიზნით, რომ როგორმე მოექცია ვინმეს ყურადღება, მაგრამ არც ამან გამოიღო არანაირი შედეგი და 16 დღე ვიმყოფებოდი აბსოლუტურ იზოლაციაში და უკიდურეს სასოწარკვეთილებაში.

მოგახსენებთ, რომ ამ დაწესებულების მმართველებს ესენი არიან: ამ დაწესებულების დირექტორი შოთა თოლორდავა, ლევან ლეჟავა, გიორგი ფარჯანაძე და დიმა ჩხეიძე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ ყველაფერში, ამ პირობებში ამის გახმოვანება და გახმაურება, რასაც თქვენ გაცნობებთ, არის თავგანწირვის ტოლფასი და ძალიან გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და ყურადღება ჩემ მიმართ, რათა რაიმე იმედი და გარანტია მქონდეს ამ პიროვნებებისგან დასაცავად, რადგან ესენი რასაც დამემუქრნენ, არანაირი პრობლემას არ წარმოადგენს ამათთვის, ამის სისრულეში მოყვანა და აქ შიგნითაც არ არსებობს რაიმე მექანიზმი, რაც ამათ შეაჩერებს და შესაბამისად მე დამიცავს ამ შემთხვევაში. მოგმართავთ თხოვნით, რომ ეს ამბავი ეცნობოს ყველა ადამიანის უფლებების დაცვის ადგილობრივ თუ საერთაშორისო, არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში არ მრჩება სხვა გზა გარდა იმისა, რომ მივმართო უკიდურეს ზომას...




ამ ფაქტთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების სამინისტრომ გუშინ კომენტარი გააკეთა. ხათუნა კალმახელიძის უწყების ცნობით, ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტი სასჯელაღსრულების სისტემასთან დაკავშირებით შეგნებულად ავრცელებს ცრუ ინფორმაციას, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით, რაც შეურაცხყოფს როგორც პენიტენციური სისტემის მოხელეებს, ასევე ბრალდებულებს და მსჯავრდებულებს.

— უშუალოდ მსჯავრდებულ პ.ო.-ს თაობაზე (რომელიც სასჯელს იხდის ჯგუფური ყაჩაღობისათვის) გავრცელებული ინფორმაციის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულს არცერთხელ არ მიუმართავს სამინისტროს გენერალური ინსპექციისათვის.

სამინისტროსათვის უმნიშვნელოვანესი იქნებოდა ზემოაღნიშნულ საკითხზე შეტყობინების მიღება თებერვალშივე, რათა დაუყოვნებლივ მომხდარიყო საკითხის გამოძიება. უცნაური არის ამის შესახებ სამინისტროს არაპირდაპირი ინფორმირება რამოდენიმე თვით დაგვიანებით, მაშინ, როდესაც სამედიცინო ექსპერტიზით რაიმეს დადასტურება უკვე არის ურთულესი და პრაქტიკულად შეუძლებელი, რაც თავისთვად გარკვეულ ეჭვებს ბადებს.

მიუხედავად ამისა, სამინისტრო მზადყოფნას გამოთქვამს, რომ დეტალურად შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, რადგან მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უფლებების დაცვა სამინისტროს უმთავრესი პრიორიტეტია, — აცხადებენ სამინისტროში.

# ივანიშვილის აქციას უგულავას კაცი დააკვირდება

შალვა ჯოხაძე

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების" მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების აღსანიშნავად 27 მაისს დაგეგმილი მანიფესტაციის ორგანიზატორი ზვიად ძიძიგურია. „ოცნების" ხალხი აცხადებს, რომ აქციაზე ძალიან ბევრ ადამიანს ელოდებიან, იმდენს, რამდენსაც „დინამოს" სტადიონიც კი ვერ დაიტევდა. თუმცა, მათივე ინფორმაციით, მონაწილეების რაიონებიდან ორგანიზებულად ჩამოყვანას არ აპირებენ, ამისი საჭიროება არ აქვთ. „ქართული ოცნების" წარმომადგენელთა თქმით, მანიფესტაცია კანონის სრული დაცვით ჩატარდება.

ზვიად ძიძიგურის ცნობით, 1 მაისს, „შეკრებებისა და მანიფესტაციების" შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, კოალიცია „ქართული ოცნების" მიერ მერიას გაფრთხილება წარედგინა. ამავე კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, მათ მოითხოვეს უფლებამოსილი წარმომადგენელის გამოყოფა კოალიციის მიერ 27 მაისს დანიშნულ აქციასთან დაკავშირებით. თბილისის მერიამ ასეთ პირად გამოყო მალხაზ კუნელაური, რომელიც, ამავე კანონის მე-12 მუხლის მიხედვით, ვალდებულია უზრუნველყოს მერიის მხრიდან აქციისთვის სათანადო პირობების შექმნა.

17 მაისს თბილისის მერიაში შედგა პირველი სამუშაო შეხვედრა აქციის ორგანიზატორებსა და ხელისუფლების წარმომადგენელს შორის.




შეხვედრაში მონაწილეობდნენ კოალიცია „ქართული ოცნების" 27 მაისის აქციის ორგანიზატორი, კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე, ზვიად ძიძიგური, კოალიციის იურიდიული სამსახურის უფროსი ზაქარია ქუცნაშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილი წარმომადგენელი მალხაზ კუნელაური და მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელი.

შეხვედრაზე კოალიციის წარმომადგენლებმა, აქციაში მონაწილების მიღების მსურველ პირთა რაოდენობის გათვალისწინებით, დააყენეს შემდეგი საკითხები:

თავისუფლების მოედანზე სცენის მოწყობისთვის სათანადო დროის გამოყოფა (2012 წლის 27 მაისის 01.00 საათიდან) და შესაბამისი პირობების შექმნა (სამუშაოების წარმოებისათვის გზის გადაღობვა); ელექტროგახმოვანებისთვის ელექტროენერგიის წყაროებსა და რადიოფიცირების სისტემაზე დაშვების საკითხი; ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობაში ხელშეწყობისთვის ამაღლებული სცენების და დაცული ადგილების შექმნა; სხვადასხვა ტექნიკური საკითხები.

ძიძიგურის თქმით, კოალიციის წარმომადგენლებმა მოითხოვეს ცალკე შეხვედრა თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან, რათა 27 მაისს მანიფესტაციისა და შეკრების ჩატარებისას, ქუჩების დროებით გადაკეტვის გამო, მაქსიმალურად იქნას არიდებული ე.წ. საცობები, წინასწარ განისაზღვროს და მიეწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია საზოგადოებრივი თუ კერძო ტრანსპორტის მოძრაობის ალტერნატიული მარშუტების შესახებ.

ზაქარია ქუცნაშვილი აღნიშნავს, რომ 27 მაისს თავისუფლების მოედანზე ყველა ლიდერი იქნება წარმოდგენილი, მათ შორის „ქართული ოცნების" წარმომადგენელი ირაკლი ალასანიაც, რომელიც ამ დროისთვის ზუგდიდიდში იმყოფება.

როგორც ქუცნაშვილმა აღნიშნა, აქცია მშვიდობიანი იქნება, სადაც 70,000-ზე მეტ ადამიანს ელოდებიან. ქუცნაშვილი არ გომორიცხავს, რომ კოალიციის მხარდასაჭერად მოსახლეობა რეგიონებიდანაც საკმაო რაოდენობით ჩამოვიდეს.

— საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, სურს მშვიდობა, ჩვენ გვინდა, ამ აქციით ვაგრძნობინოთ მოქალაქეებს თავისუფლების სიო. ერთიანი ძალებით დავამარცხებთ ყველა პრობლემას, რაც ქვეყანაში არსებობს, — განაცხადა ქუცნაშვილმა.

ქუცნაშვილი დედაქალაქის მერიისაგან სპეციალური წარმომადგენლის გამოყოფის შესახებაც აკეთებს განმარტებას.

— ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, ჩვენი ამ ქმედებით გვსურს, მოქალაქეები პროვოკაციისგან დავიცვათ. იმ შემთხვევაში, თუ ინციდენტს ექნება ადგილი, მასაც ისევე მოუწევს პასუხის გაცემა, როგორც ორგანიზატორს. უფებამოსილი პირი ვალდებულია, დაიცვას ადამიანები და დააფიქსიროს ყველა ფაქტი, — აღნიშნა ქუცნაშვილმა.

# კირა მებუკე: საოცნებო როლი არ დამრჩენია

ეკა ირემაშვილი



ქართული პანტომიმის დედოფალს კირა მებუკეს 19 მაისს 60 წელი უსრულდება. როგორც მსახიობი ამბობს, მისთვის 60 წელი ძალიან ბევრია. ამ წლების განმავლობაში ხელოვანს ბევრი რამ აქვს გასახსენებელი და მისთვის ცხოვრება ნამდვილად მშვენიერია.

იუბილესთვის ქალბატონ კირას შვილებმა სიურპრიზი მოუმზადეს – დედა რესტორანში მიიწვიეს. როგორც ქალბატონი კირა ამბობს, მისთვის გულით მირთმეული ნებისმიერი საჩუქარი ძვირფასია, თუმცა ცნობილია, რომ მას სუნამოები განსაკუთრებულად უყვარს, რაც მემკვიდრეობით მამისგან ერგო.

დღეს კირა მებუკეს მთელი ოჯახი პანტომიმის თეატრში მოღვაწეობს. ქმარი, ორივე შვილი და თვითონ დილიდან საღამომდე ამ თეატრში შრომობენ. მიუხედავად იმისა, რომ გოგონა არ ჰყავს, იუბილარი მსახიობი ბედნიერია, რომ მის ქმარს ბიჭები ამაყად უდგანან მხარში და მის საქმიანობასაც ღირსეულად აგრძელებენ. იუბილარი მსახიობი „ახალი თაობის" სტუმარია.

**კირა მებუკე:**

– მიმაჩნია, რომ 60 წელი ძალიან ბევრია. ამ ხნის განმავლობაში იმდენი რამ გამოვიარე... ახლა, როცა 60 წლის შევსრულდი, მგონია, რომ ბედნიერად ვიცხოვრე.

***– გამორჩეული საჩუქარი გაქვთ?***

– არ მიყვარს განსაკუთრებული საჩუქრები. ჩემთვის ძვირფასია ნებისმიერი რამ, რაც გულით იქნება მოძღვნილი. თუმცა ცნობილი ფაქტია, რომ სუნამოები მიყვარს განსაკუთრებულად. მამაჩემს უყვარდა სიგიჟემდე სუნაოები და დედმამიშვილებიდან მხოლოდ მე გადმომყვა სუნამოების სიყვარული. არასოდეს მინატრია რაიმე განსაკუთრებული. ახალგაზრდობაში უფრო მიყვარდა ჩაცმა და სამკაულები, ახლა ყველაფერმა გადამიარა. შემიძლია ერთი და იგივე სამოსში ძალიან კომფორტულად ვიგრძნო თავი.

***– როგორია თქვენი 60 წლიანი ცხოვრების გზა?***

– იყო ბევრი სიხარულიც, ტკივილიც, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება. ასე მგონია, ის სხვა ცხოვრება იყო, ახლა უკვე სხვა ცხოვრებაში ვცხოვრობ, ეს ჩემთვის მეორე ცხოვრებაა. მაშინ ყოველი დღე იყო დღესასწაული, ყოველ დღე ახალ-ახალი იწყებოდა როგორც სახლში, ისე თეატრში. სულ რეპეტიციები იყო, ლიდით გავდიოდი, ღამე შემოვდიოდი, სულ ვსწავლობდი, პანტომიმაზე დავდიოდი, ამის გამო წითელი დიპლომი არ მომცეს. ჩვენმა მაშინელმა რექტორმა ილია თავაძემ თქვა, ჩვენ პანტომიმისთვის არ ვზრდითო.

***– ეს რას ნიშნავს?***

– დრამის ფაკულტეტი დავამთავრე, მაგრამ დავდიოდი პანტომიმაზე. სანამ ინსტიტუტში ჩავაბარებდი, ამირანთან ერთი წელი დავდიოდი სტუდიაში. მისაღებ გამოცდაზე მომცეს ეტიუდი, ვითომ ქარი გიბერავსო. რომ გავაკეთე, მაშინ მითხრეს, ისე წარმოადგინე ეს ეტიუდი, ჩვენც კი გავგრილდითო. მოგეხსენებათ, მოსკოვში დავიბადე და გავიზარდე. ბოლო ორი წელი ვსწავლობდი საქართველოში. ჩაბარებამდე ერთი წელი ვსწავლობდი ქართულს, ენა საერთოდ არ ვიცოდი და მინდოდა ჩამებარებინა თეატრალურზე. ოცნება ავისრულე და სულ ხუთებზე ვსწავლობდი, მაგრამ წითელი დიპლომი არ მომცეს. თავიდან გული მწყდებოდა ძალიან, რომ წითელი დიპლომი არ მომცეს, მაგრამ ამირანი მამშვიდებდა, რად გინდა წითელი დიპლომი, მთავარია, შენი საქმე კარგად აკეთოო. მართლაც ჩემი დიპლომი არავის არფერში დაჭირვებია. 19 წლის ვიყავი წითელა ბატონები რომ შემხვდა, ჩემი უმცროსი ძმისგან გადამედო. ამ დროს ბოლო სახელწმიფო გამოცდა მქონდა, კომისია მოვიდა და მისინჯავდა გამონაყარს, ხომ არ ვიტყუებოდი. გადამიწიეს გამოცდა და რექტორმა კომისია მოიყვანა 23 კაცი. ჩემს ბილეთს რომ ვუპასუხე, ილია თავაძემ უთხრა, ყველამ სათითაოდ დაუსვით შეკითხვებიო. 23-დან მხოლოდ ერთს ვერ ვუპასუხე, ოთხიანი დამიწერეს და რექტორმაც ამოისუნთქა. წითელი დიპლომი აღარ მეკუთვნოდა.

***– ბავშვობიდან გინდოდათ მსახიობობა?***

– სკოლაში თუკი რაიმე ღონისძიება ტარდებოდა, უჩემოდ არ ჩაივლიდა. ჩემმა მასწავლებელმა ვიოლეტა გასპარიშვილმა მაზიარა ხელოვნებას. ერთხელ მითხრა, აუცილებლად თეატრალურში უნდა ჩააბაროო. ის ჩემს სპექტაკლებზე ყოველთვის დადიოდა. ჩემი დრამატული სპექტაკლებიც კი ნანახი აქვს. თეატრალური მინდოდა ძალიან და თბილისში ჩამოსულებმა, მამას ვუთხარი, მოსკოვში წავალ სასწავლებლად-მეთქი, მაგრამ მამამ არ გამიშვა, ამიტომ ქართულის სწავლა დავიწყე. მსახიობობა მართლა ძალიან მინდოდა. მოსკოვში ყოველ შაბათს ან კვირას თეატრში მივდიოდით, ეს იყო ჩვენი ოჯახის წესი. ბავშვობიდან ყველაფერი ნანახი მქონდა, ამიტომ მიხაროდა შაბათი ან კვირა რომ მოდიოდა. გამორჩეული მსახიობი ან სპექტაკლი არ მქონია. შინაგანად ველოდებოდი, როდის მოვიდოდა შაბათ-კვირა, რომ თეატრში წავსულიყავით.

***– ვინმე გყავდათ წინაპრებში მსახიობი?***

– არავინ.

***– მშობლებმა მოიწონეს თქვენი არჩევანი?***

– არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა მამას, რომ მსახიობი გავმხდარიყავი. მისი სურვილი იყო, ჩამებარებინა სამედიცინოზე, იქ ყველაფერი გაკეთებული იყო. მისაღები გამოცდები ივლისში იყო თეატრალურზე, აგვისტოში – სამედიცინოზე. მამას ვუთხარი, მამა, თეატრალურში, რა თქმა უნდა, ჩავიჭრები, ქართული არ ვიცი და მერე წავალ, ჩავაბარებ სამედიცინოზე-მეთქი. ამით დავამშვიდე მამაჩემი. თეატრალურში გამოცდაზე რომ უნდა გავსულიყავი, ჩემმა მეგობარმა მითხრა, ასე როგორ გახვალ გამოცდაზე, წამოდი საპარიკმახეროშიო. რა უნდა მეთქვა, ბავშვი ვიყავი გრძელი ნაწნავით. ისეთი მანეთნახევრიანი ვარცხნილობა გამიკეთეს, სარკეში რომ ვიყურებოდი, ცუდად ვიყავი. გარეთ რომ გამოვედით, ტირილი დავიწყე, მამაჩემმა ვერ მიცნო, ჩემი მეგობარი ახლოს ცხოვრობდა, წავედით მასთან და თავი სასწრაფოდ ჩამოვიბანე. გავედი გამოცდაზე სველი თმებით და ისევ ჩემი ნაწნავით.

***– პირველივე წელს მოეწყეთ?***

– კი. თეატრალურში ლექსი, იგავ არაკი და პროზა უნდა ჩამებარებინა. ბაბულა ნიკოლაიშვილი იყო მეტყველების კათედრის ხელმძღვანელი და კომისიაშიც იჯდა. გამოცდა პარასკევს მქონდა. რომ წავიკითხე, ბაბულამ თქვა, ამ გოგოსგან არაფერი გამოვაო და გამოვედი ნამტირალევი. მიმიყვანეს ტელევიზიაში ნუგზარ ლორთქიფანიძესთან და სამი დღის განმავლობაში ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა ისე მასწვალა, ორშაბათს კომისია შოკში ჩავარდა. ოთარაანთ ქვრივიდან წავიკითხე დრამატული ეპიზოდი, საშა მიქელაძე იყვანდა ჯგუფს და გაგიჟდა, რომელ აქცენტზე ლაპარაკობთ, მშვენივრად მეტყველებსო. ისე ჩავაბარე ინსტიტუტში, სულ ხუთები მქონდა. სულ ისეთი რომლები მქონდა, სადაც ბევრი სიტყვები იყო, მაგრამ პანტომიმაზე ვიყავი სიგიჟემდე შეყვარებული, ძალიან რთული იყო ჩემთვის, მაგრამ მაინც ვერ ვანებებდი თავს. დრამაზე უფრო გამიადვილდაა და პანტომიმა გამიჭირდა, ამიტომ თავი მოვიკალი. რაღაც მოძრაობები არ გამომდიოდა და ამირანი კულისებთან მაყენებდა ახლოს, რომ არავის შეემჩნია და კულისებში შევსულიყავი, რომ დამთავრდებოდა, ისევ გამოვიდოდი ხოლმე. იმ ზაფხულს გაგრაში წავედი, მოსკოვიდან ჩამოსულები ჯერ გაგრაში ვცხოვრობდით, მერე თბილისში ჩამოვედით. მამაჩემი „გაგრიფშის" დირექტორი იყო. ვითომ დასასვენებლად წავედი. დილის 6 საათზე ვდგებოდი, სტადიონზე ვიწყებდი ვარჯიშს, როცა არაქათი გამომელეოდა, ეგრევე ზღვაში ჩავვარდებოდი. რომ ჩამოვედი, ვერავინ ვერ მიცნო, მოძრაობა რომ დავიწყე, შოკში ჩავარდნენ. ყოველთვის ვიყავი ჟილკიანი, რასაც მოვინდომებდი, აუცილებლად ვაკეთებდი, იმიტომაც ვიყავი ყოველთვის პირველი. დიდხანს არ მიაჩნდათ ამირანის შემოქმედება ხელოვნებად, „ნაიგრიშებს" აკეთებსო. პანტომიმამ მასწავლა, რომ შინაგანი მონოლოგია ყოველთვის მთავარი, თან ამირანი უფრო დრამატულ პანტომიმას დგამს. ფსიქოლოგიურად პანტომიმა უფრო რთულია. ახლა დრამის ფაკულტეტის სტუდენტებს ვასწავლი პლასტიკას. ზოგი არ მოდის, არ გამომდისო, იძახის. მათთვის მთავარი მარტო სიტყვაა, რაც არასწორია. თეატრმა სულ უნდა განიცადოს წინსვლა, მარტო დიალოგი და მონოლოგი აღარ არის საინტერესო.

***– რომელ თეატრში გაგანაწილეს?***

– ჩვენი ჯგუფიდან თეატრში მარტო მე მივყავდი გიგა ლორთქიფანიძეს მუსკომედიის თეატრში. მე და ოთარ მეღვინუთეხუცესს უნდა გვეთამაშა. ბავშვებს მაშინ ძალიან ეწყინათ, სულ ვამშვიდებდი, ნუ გწყინთ, მე არ მივდივარ დრამის თეატრში, მე პანტომიმის თეატრში მინდა მუშაობა-მეთქი. მაშინ ხუთთვიან გასტროლზე მივდიოდით, მთელი რეპერტუარი ჩემზე იყო აწყობილი. გიგამ მითხრა, წადი, მაგრამ რომ ჩამოხვალ, მოდი ჩემთან და დავიწყოთ მუშაობაო, თან 120 მანეთს მაძლევდნენ ხელფასს, ეს ძალიან დიდი ფული იყო ახლადკურსდამთავრებულისთვის. მერე ანეკდოტად ყვებოდა გიგა, მოვიდა კირა, გადაიდო ფეხი ფეხზე და თქვა არა! რა არა? არა, ვრჩები პანტომიმის თეატრშიო! ეს ამბავი მთელ ქალაქში ანეკდოტად დადიოდა. ამიტომაც იყო მთელი ჩემი ცხოვრება ყოველ დღეს რაღაც სასწაული.

***– გამორჩეული სპექტაკლი გაქვთ?***

– არა, ყველა სპექტაკლი თავისებურად მიყვარს. ელექტრას რომ ვთამაშობდით, მასში მაქსიმუმს ვდებდი, ასე იყო სხვა სპექტაკლებიც, ამიტომ გამორჩევა მიჭირს.

***– რთულია პანიტომიმის მსახიობობა?***

– ძალიან. თან მთელი სიცოცხლე ვიყავი დიეტაზე. ჰოლანდიაში ვიყავით ორი თვე გასტროლზე, მთელი ჰოლანდია მოვიარეთ და თუ მსახიობები ჭამდნენ შემწვარ-მოხრაკულს, მე ცალკე სუფრა მქონდა და სულ დიეტური საჭმელი იყო, მწვანე ფოთლის სალათა და მსუბუქი საჭმელები. თან ზურგით ვიჯექი ამათგან, რომ არ დამენახა რას ჭამდნენ. სამაგიეროდ, საღამოს ყოველთვის მქონდა ჩემი საყვარელი სასმელი – წითელი მარტინი და თხილი. სპექტაკლის მერე დაღლილი მარტინს ვწრუპავდი და თხილს ვჭამდი. ყველამ იცოდა, რომ ჩემი იყო და ხელს არავინ კიდებდა.

***– შვილების გამო არ გიჭირდათ მუშაობა?***

– ჩემი შვილები 5 კილოზე ნაკლები არ დაბადებულან. მათი ტარებით ფეხსაცმლის ქუსლებიც კი დაღრეცილი მქონდა, სასწაულად დიდი ბავშვები იყვნენ. ჩემი შვილები ჩემს გვერდით გაიზარდნენ, სულ თეატრში იყვნენ დაბადებიდან, ამიტომაც შეუძლებელია ისინი სხვა პროფესიის გამხდარიყვნენ. ხან მუშტაიდის ბაღში დარაჯს დავუტოვებდი ეტლში დაძინებულს, მაშინ რეპეტიციები იქ გვქონდა, ხან როიალზე ეძინათ, მარტო უყურებდნენ სცენას, ამის მეტი არაფერი უნახავთ. უმცროსი ამირანი 13 წლის სცენაზე დადგა. მაღალი იყო და სიმაღლით შეეფერებოდა მსახიობებს, ბავშვური იერი ჩემს შვილებს არც ჰქონიათ. ალბათ ასე უნდა ყოფილიყო. ბედნიერებაა, რომ ასე არის და ამირანს გვერდში უდგანან მისი შვილები.

***– გოგო არასოდეს გდომებიათ?***

– ყოველთვის მინდოდა გოგო მყოლოდა. უმცროსი ამირანი იმიტომ გავაჩინე, რომ გოგო მინდოდა. ვალერი და გოჩა ჩემთან გაიზარდნენ, დათუჩა რომ გამიჩნდა, გოგო მინდოდა ძალიან. ქვაშვეთის ეკლესიაში ქვემოთ მარინეს ეკლესიაში დავდიოდი. ღვთისმშობლის ხატთან საათობით ვიდექი ორსული და ვეხვეწებოდი, გოგო მაჩუქე-მეთქი. მაშინ ექო არ იყო და წინასწარ არავინ გეტყოდა გოგო გეყოლებოდა თუ ბიჭი. დათო 5 წლამდე არ მაძინებდა, დამჯდარს მეძინა, თან ხელში ბავშვი მეჭირა. მე და ამირანში შუაღამისას მანქანაში ჩავსვამდით და დავატარებდით მთელ ქალაქში, როცა ჩაეძინებოდა, მერე სახლში მოგვყავდა. დათომ ასე რომ გამაწვალა, ღვთისმშობელს ვთხოვდი, მეორე გოგო მინდა-მეთქი. ჩემმა დედამთილმა და ჩემმა მულმა რომ გაიგეს კიდევ ბავშვს ვაჩენდი, საერთოდ არ მომეკარნენ. გაჩნდა უმცროსი ამირანი 5 და 200, უკვე გაზრდილი ბავშვი იყო. მისი ერთი ტირილი არ გამიგია, მოსიყვარულე, ჩუმი, წყნარი ბავშვი იყო. ერთხელ თურმე ბრიტვით გაიჭრა ხელი და წავიდა. ვხედავ, სისხლის კვალი მიყვება ბავშვს. ისე შემეშინდა, აკანკალებული მივედი და ვხედავ, თვითონ იხვევს ჭრილობას, რომ მე არაფერი გამეგო. ისე გაიზარდა, არასოდეს არაფერს მეტყვის, არის თავისთვის და შრომობს, მართლა რაღაცნაირია. როგორც ვთხოვდი ღვთისმშობელს, მართლა ისეთი გამოვდა, მართალია გოგო არ არის, მაგრამ მშვიდი და წყნარია. სამაგიეროდ, გოგონები შვილიშვილები მყავს. უფროსი შვილიშვილი სალომე 14 წლისაა. მისი დედა 15 წლის იყო, რომ გათხოვდა, ჩაუხტა დათუჩას მანქანაში. მართალია ერთამენთს გაშორდნენ, მაგრამ გოგო შვილიშვილი ხომ მყავს? ახლა კიდევ პატარა ნინი მყავს.

***– კარგია, ყველანი ერთ სფეროში რომ ხართ?***

– რა თქმა უნდა. ყველანი ერთ საქმეს ვემსახურებით და ეს მოგვწონს ძალიან. ჩემი მეუღლე დილიდანვე თეატრშია, აქაურობა სიგიჟემდე უყვარს, მეც ლექციები მაქვს, ჩვენი შვილებიც ამ თეატრში მუშაობენ და მთელი დღე ყველანი აქ ვართ.

***– თეატრალური ინტრიგების მსხვერპლი არასოდეს გამხდარხართ?***

– ამირანი სულ გიჟდებოდა ჩემი ხასიათის გამო. ვილაცას რომ ეთქვა, ამ როლის თამაში მინდაო, მივიდოდი ამირანთან და ხვეწნას ვუწყებდი, უნდა ამ როლის თამაში და ათამაშე-მეთქი. ამირანი გიჟდებოდა, არ უყვარდა ასეთი რაღაცეები, ხშირად მე თვითონ დამიყენებია სპექტაკლში ჩემს მაგივრად სხვა მსახიობი, რაც ამირანს არასოდეს მოსწონდა. არ შეიძლება სპექტკლში სულ მე ვიყო.

***– ერთადერთი ქალი პანტომიმისტი ხართ. ეს რას ნიშნავს თქვენთვის?***

– ცოტა უხერხულია ჩემს თავზე საუბარი, მაგრამ მარსელ მარსომ რომ მნახა ელექტრაში და გალაკტიონის მესაფლავის მიხედვით დადგმულ სპექტაკლებში, ამირანს უთხრა, ამ ქალს გაუფრთხილდი, პანტომიმაში ქალი ყოველთვის დამხმარე და მეორადია, ეს ქალი კი სულ პირველი უნდა იყოს და სულ მას უნდა დაუდგა სპექტაკლებიო.

***– ბატონი ამირანის ბრალია პანტომიმა ასე ძალიან რომ გიყვართ?***

– რა თქმა უნდა. თავიდან არ გამომდიოდა, მაგრამ როცა ვიმუშავე ჩემს თავზე, ამირანმაც აღარ გამიშვა ხელი, თან იგრძნო, მაინც წავა დრამაშიო და...

***– და ამით თქვენმა მეუღლემ ორი კურდღელი დაიჭირა – აღარც თეატრიდან გაგიშვათ და არც პირადი ცხოვრებიდან.***

– კი, ასე გამოვიდა. აღმოჩნდა, რომ ვერსადაც ვერ წავიდოდი.

***– მართლა გინდოდათ დრამის თეატრში წასვლა?***

– იყო პერიოდი, როცა ძალიან მომენატრა და მინდოდა იქაც თამაში. პანტომიმის თეატრიდან რომ წავედი, ახლა კი ვარ დრამის თეატრში, ვთამაშობ სპექტაკლებში. პანტომიმა კი ჩემთვის სულ სხვაა.

***– მკაცრი იყო თქვენი მეუღლე რეპეტიციების დროს?***

– კი.

***– გიყვიროდათ?***

– უფ, რა თქმა უნდა. ეს ჩემთვის მისაღები და ნორმალურია, ეს შეურაცყოფა სულაც არ არის. რეჟისორს აქვს თავისი ჩანაფიქრი და მისი განხორციელება მსახიობს უნდა მიახვედროს. არიან მსახიობები, ვისაც სწყინთ, ამხელა ვარ, ამდენი ვიცი და რეჟისორი როგორ მიყვირისო. ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ მაქვს.

***– დარჩა როლი, რომელიც ვერ ითამაშეთ?***

– ყველაფერი ვითამაშე და საოცნებო როლი არ დამრჩენია. როცა კრიმანჭული დავდგით, მაშინ პედაგოგად ვიყავი. შევედი ამ სპექტაკლში წამყვანად და გადავაბი ყველა ნოველა ერთმანეთს. ასეთი რაღაცეებიც მომწონდა და მსიამოვნებდა. აბსოლუტურად არ დარჩენილა როლი, რომლის თამაშიც მინდოდა. ძალიან მიყვარს სპექტაკლი „კიდევაც დაიზრდებიან". ჩვენთან ერთახელ სპექტაკლზე მოსული იყო ერთ-ერთი მამაო. როცა სპექტაკლში ბავშვი კვდება, შინაგანი, დედობრივი სიყვარულით და ემოციებით ამ ბავშვს ვაცოცხლებ. არ ვიცი რა დამემართა, მაგრამ ვიგრძენი, რომ სადღაც ზემოთ ავდივარ. ეს იყო ისეთი შეგრძნება, თითქოს მაღლა-მაღლა მივდიოდი და არ ვიყავი სცენაზე, სადღაც ჰაერში ვიყავი. მერე ასევე ნელა, ჩავეშვი სცენაზე. როცა სპექტაკლი დასრულდა, მოვიდა მამაო და მითხრა, დიდი მადლობა, ყველაფერი დავინახე და ვიგრძენიო. ეტყობა, ეს ჩემი შინაგანი შეგრძნება იყო და იმანაც იგრძნო, რომ სხვა განზომილებაში მოვხვდი. ასე სხვა სპექატკლებზეც ძალიან ხშირად მემართებოდა. ერთ სპექტაკლში გარდასახვა რომ ხდებოდა, ძალიან მიყვარდა. ქართულ პიესებში სხვა შინაგანი სიძლიერე და სულიერებაა, რომელსაც სხვა განზომილებაში გადაყავხარ. ერთხელ გასტროლზე წავედით, ელექტრა გვქონდა ყოველდღე, ტრაგედიის თამაში ყოველდღიურად კი ნამდვილი კოშმარია. ერთხელ რომელიღაც სპექტაკლზე გამოვედი და ვიცინი. ამ სიცილს ვერაფერს ვუშვები, ვხარხარებ, ვხარხარებ და ამირანი გადაირია, ვაიმე, კირა გამიგიჟდაო. ფსიქოლოგიურად გადავიღალე და შინაგანად გამოფიტული ვიყავი. რუსეთში გასტროლზე ჟურანლისტებს ვერაფრით დავაჯერეთ, რომ ზინა პარტნოვასაც და ელექტრასაც მე ვთამაშობდი. ეს შეუძლებელიაო, იძახდნენ. ერთხელ უკვე დამთავრებული მქონდა თეატრალური, სპექტალზე რომ მიმიწვიეს მეოთხეკურსელებმა, სადიპლომო სპექტაკლში ერთი გოგო აკლდათ. უსიტყვო როლი მქონდა და უარი არ მითქვამს. ამბავი საგიჟეთში ხდებოდა. სპექტაკლი რომ დამთავრდა, რექტორმა და პრორექტორმა ვერაფრით დაიჯერეს, რომ მე ვთამაშობდი.

***– რამდენი ხანია პანტომიმის სპექტაკლებში აღარ მდგარხართ?***

– 46 თუ 47 წლის ვიყავი, როცა დავანებე თავი. ძალიან რთულია, მაგრამ ასე იყო საჭირო. ახალგაზრდები მოდიოდნენ და უნდა წავსულიყავი. არადა, მაგარ ფორმაში ვიყავი, მერე მოვეშვი და ამოვარდი ფორმიდან, თორემ... ვიგრძენი, რომ მე უნდა წავიდე.

***– მეუღლემ ადვილად გაგიშვათ?***

– ეს თვითონ ვიგრძენი, დავინახე, რომ ვიღაცა მოეწონა ამირანს, როგორც მსახიობი, თან ახალგაზრდა თაობა წამოვიდა, ალბათ თვითონაც მოუნდა მრავალფეროვნება, მაგრამ სპექტაკლების გასუფთავება დღემდე ჩემი საქმეა. ასე იყო სულ და დღესაც ასეა.

***– სცენა არ გენატრებათ?***

– დრამატულ თეატრში ვარ, მაინც სცენაზე ვთამაშობ და ამით მონატრებას ვინაზღაურებ. თუ რამე დაჭირდებათ, ვეხმარები სხვებს, სტუდენტები მყავს და ამდენი საქმით სცენის მონატრებას ყველანაირად ვინაზღაურებ.

# ქართულ ფეხბურთში სკანდალი მომწიფდა

**ცოტა არ იყოს, მოულოდნელი და სკანდალური განცხადებები გააკეთა „ზესტაფონის" პრეზიდენტმა ილია კოკაიამ, რომელმაც სპეციალური ბრიფინგი მოაწყო.**



– თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (სფფ) ჩემპიონად „მეტალურგს" გამოაცხადებს, ჩვენ „ზესტაფონს" გამოვაცხადებთ, – განაცხადა კოკაიამ.

ცხადია, უკვე მიხვდით რაზეც არის საუბარი – რუსთავულ და ზესტაფონურ კლუბებს ერთნაირი ქულები აქვთ, სფფ-ს ცხრილით, პირველ ადგილზე „მეტალურგია", ხოლო „ზესტაფონი" აცხადებს, რომ ეს დებულების დარღვევაა.

– საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (და არა ალმასკომის) გადაწყვეტილებით, პირველზე „მეტალურგია", რადგან მათ მოგებათა მეტი რაოდენობა აქვთ. მაგრამ ეს რაოდენობა უშუალოდ 8 გუნდს შორის მოგებების მიხედვითაა და არა მთლიანად ჩემპიონატის მიხედვით – ჩემპიონატი კი გასულ ზაფხულს დაიწყო. დებულებაშიც სწორედ ასე წერია – უპირატესობა ენიჭება გუნდს, რომელსაც ჩემპიონატში მეტი მოგება აქვს, – აღნიშნა კოკაიამ.

თუმცა, ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც შემდეგ დაამატა „ზესტაფონის" პრეზიდენტმა.

*ილია კოკაია:*

– დიდი მადლობა დაინტერესებისთვის, რომელიც ამ საკითხისადმი გამოიჩინეთ. ჩვენ ვუყურებთ ალმასკომის მიერ დამტკიცებულ რეგლამენტს და თუ რაიმე უნდა შეცვლილიყო, ეს ალმასკომს უნდა დაემტკიცებინა. ალმასკომს დამტკიცებული აქვს ის დებულება, სადაც წერია, რომ თანაბარი ქულების შემთხვევაში ჩემპიონატში მეტი მოგებაა პრიორიტეტული. ვიმეორებ, ჩემპიონატში და არა 8 გუნდს შორის, ან პლეი ოფში. 15 მარტს მოსული წერილი კი არაფრით არ დგას ალმასკომზე დამტკიცებულ რეგლამენტზე მაღლა. ალმასკომის გადაწყვეტილების შეცვლა შეუძლია მხოლოდ ალმასკომს. მითუმეტეს, მარტში მოსული ეს არაკანონიერი ძალის მქონე წერილიც არ არის დალაგებულად ჩამოყალიბებული, ეს არის მხოლოდ დებულებაში ცვლილებების შეტანის მცდელობა.

***– თუ თანაბარი ქულებით დასრულდება ჩემპიონატი და ფედერაცია „მეტალურგს" ჩემპიონად გამოაცხადებს, რას მოიმოქმედებთ?***

– ასე თუ მიდგება საქმე, ჩვენ ჩემპიონად „ზესტაფონს" გამოვაცხადებთ. დღესვე ვაცხადებთ ამას და არ ვუცდით ბოლო ტურს, რათა შემდეგ არ ეთქვათ, თუ პრეტენზიები გქონდათ, აქამდე სად იყავითო. ამიტომ, დროულად მოაგვარონ თავადაც სიტუაცია, თორემ, შესაძლოა, 26 მაისს საქართველოს თასის ფინალზე სათამაშოდ არ გავიდეთ.

***– ფედერაციაში ახლაც ამბობენ, რომ დაგვიანებულია. ამბობენ, 15 მარტს რომ წერილი მიიღეს, მაშინ რატომ არ გამოხატეს პროტესტი და რაღა ახლა დაიწყეს პროტესტირება, როცა გაუჭირდათო.***

– რას ნიშნავს, გაგვიჭირდა? მეორეზეც რომ გავიდეთ, ჩვენ არ გვიჭირს, მაგრამ ვერ შევეგუებით ამ უსამართლობას. ჩვენ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში გათვლების გაკეთება არ შეგვეძლო. ფედერაციის გადაწყვეტილებას პატივს ვცემთ, მაგრამ დავაკვირდეთ – ფედერაციის გადაწყვეტილებას არა ერთი ან ორი კაცი, არამედ ალმასკომი ამტკიცებს. ალმასკომი ყველაზე მაღალი ორგანოა. სფფ-ის პრეზიდენტის პოზიცია ალმასკომის პოზიციას არ ნიშნავს. ეს იქნება სადავო საკითხი და კიდევ ვიმეორებთ, ამას ჩვენ არ შევეგუებით. „მეტალურგის" გენერალური დირექტორი ბუბა ტყავაძე ამბობს, დილა-ზესტაფონის მატჩს დააკვირდით, რა სუნი ექნებაო. ამას ამბობს იმ კლუბის გენერალური დირექტორი, რომელიც ფართო წრემ მშვენივრად იცის, თუ როგორი მეთოდებით მოქმედებს. ასეთ რამეს ვერ ავიტანთ, მეტისმეტია – გაღმა შეედევე, გამოღმა შეგრჩებაო, ამაზეა ნათქვამი. ერთხელ და სამუდამოდ, ფეხბურთი უნდა გაიწმინდოს სიბინძურისგან. შარშან ყველამ ნახეთ, ჩემპიონატი პატიოსნად ჩატარდა და ვფიქრობ, ქართული კლუბები კარგად გამოვიდნენ ევროტურნირებზე. არ ვამბობ, რომ მათ შორის „ზესტაფონმა" ყველაზე კარგად ითამაშა ევროსარბიელზე, მაგრამ ხომ დამეთანხმებით, რომ შედარებით უკეთესი გამოსვლა იყო მთლიანად ქართული გუნდებისა. ეს ყველაფერი უკან-უკან წავა, როცა ისევ სიბინძურეები დაიწყო. 8 წელია, ფეხბურთში ვტრიალებთ, წინსვლა გარკვეულ მომენტში დაიწყო და აი, ისევ უკუსვლა. შარშან ფეხბურთელებს გარიგებული მატჩებისთვის სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ რეალურად, აისბერგის თავი სხვაგან იყო. სიბინძურეში ცნობილი ადამიანები დაუბრუნდნენ ქართულ ფეხბურთს. დილა-ზესტაფონის მატჩს სულ 300-მდე კაცი დაესწრო. რატომ? იმიტომ, რომ ფეხბურთში ჩახედულმა ადამიანებმა იციან – ჩემპიონატი სუფთად არ ტარდება. ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ მარტვილში გამართული მატჩი „მერანსა" და „მეტალურგს" შორის (რუსთაველებმა 3:2 მოიგეს) გარიგებული იყო.

***– კონკრეტულად რა ცნობები?***

– თუ შესაბამისი ორგანოები დაინტერესდებიან, შემიძლია, მათ ეს ცნობები გადავცე.

***– ვის დონეზე მოხდა გარიგება? ფეხბურთელების, მწვრთნელების თუ?***

– კლუბების დონეზე.

***– იგივე ეჭვები იყო „დილასა" და „მეტალურგს" შორის გამართულ მატჩებზეც.***

– მე მარტვილის მატჩზე მაქვს ცნობები და ვიმეორებ, თუ შესაბამისი ორგანოები დაინტერესდებიან, მზად ვარ, გადავცე. და რაც შეეხება ტყავაძეს, მისი დემარშები უკვე ყელში გვაქვს ამოსული. ფედერაციაში დაურეკავს და ერთი ამბავი აუტეხავს „დინამოსთან" გუშინდელი მატჩის შემდეგ, ცუდად გვიმსაჯეს, ჩვენს წინააღმდეგ იყვნენო... ეს უკვე ყველა ნორმას სცილდება. ვერც იმას ავიტან, როცა ჩვენი გუნდის მწვრთნელებს გასძახის, მსაჯების გუნდი ხართო. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ბუბა ტყავაძე ქართულ ფეხბურთს ჩამოშორდეს, ან ჩვენ ჩამოვშორდებით. ფეხბურთი ასეთი პიროვნებებისგან უნდა გაიწმინდოს.

***– ტყავაძემ „დინამოსთან" მატჩის შემდეგ თქვა, ცუდად გვიმსაჯესო?***

– დიახ. ამ დროს, მარტვილში ჩვენ საშინლად გვიმსაჯეს, ორი პენალტით დაგვსაჯეს, ხოლო „მეტალურგი" მარტვილში რომ ჩავიდა, გარიგებული მატჩი ითამაშა. გეტყვით, რომ წლეულს ჩემპიონატში მხოლოდ სამმა გუნდმა ითამაშა თავიდან ბოლომდე, რასაც სუფთა თამაში ჰქვია – ჩვენ, ქუთაისის „ტორპედომ" და თბილისის „დინამომ". მაპატიონ სხვა გუნდებმა, მაგრამ მხოლოდ იმათზე მაქვს საუბარი, ვინც ევროტურნირებისთვის იბრძოდა. ამიტომაცაა, რომ სამივე გუნდი არაქათგამოცლილია ფინიშისას. ფეხბურთელები არიან და არა – მანქანები. სად ყოველ ოთხ დღეში ბრძოლა და სად გარიგებული თამაში. მაგალითად, „დილას" მადლობას ვუხდი გუშინდელი თამაშისთვის. ვაჟკაცურად იბრძოლეს ჩვენთან და ბოლო წუთზე გატანილი გოლით მოვიგეთ. „დილამ" ორჯერ მოგვიგო ამ სეზონში და ვერაფერს ვუსაყვედურებ მათ. მადლობას ვერ ვეტყვი მათ, რომლებმაც წინასწარ იციან, რომ წააგებენ. ან პირიქით, მოიგებენ. კარგად ვიცი ფართო წრის დამოკიდებულება ჩვენი გუნდის მიმართ. უმეტესობა ამბობს, რომ „ზესტაფონი" ყველაზე გამართული გუნდია საქართველოში, სასიამოვნო ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ ეს ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. საქმე ეხება იურიდიულ საკითხს.

***– იყო ეჭვი, რომ სახელმწიფო სტრუქტურების კლუბების ურთიერთშეხვედრები საეჭვო ხასიათს ატარებდა.***

– ერთ მატჩზე გითხარით. კარგია, რომ სახელმწიფო ფეხბურთით დაინტერესებულია. ამას მივესალმები, მაგრამ სხვა გზით მიდის ქართული ფეხბურთი, ისევ გამოჩნდა სიბინძურეები.

***– ბოლო ტური 20 მაისს გაიმართება. რამდენად გაქვთ იმედი, რომ ჩემპიონი „ზესტაფონი" გახდება?***

– ჩვენ ფედერაციას მივმართავთ, რომ მათ გააგზავნონ წერილი უეფაში, რათა მათ გადახედონ. გაიარონ უეფაში კონსულტაცია და ამის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება.

„ზესტაფონის" პრეზიდენტმა ისიც დასძინა, რომ ფედერაციას გადაწყვეტილებას დაემორჩილება, თუმცა მისთვის ფედერაცია ალმასკომია და კონკრეტული პიროვნებები.

რაც შეეხება საბუთების გადაცემას გარიგებულ მატჩთან დაკავშირებით კონკრეტული ორგანოების დაინტერესების მიერ, აქ ვერ დავეთანხმებით – თუ ასეთი ინფორმაცია არსებობს, მისი დამალვა, არ შეიძლება და სასწრაფოდ უნდა იქნეს გამოძიებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად კოკაია შეუწყობს ხელს ქართული ფეხბურთის უკანსვლას.

# დიდიე დროგბა: თუ ბავარიელებს დავამარცხებთ, ეს სეზონი უდიდესი იქნება ჩვენთვის

**19 მაისს, მიუნხენში „ალიანს არენაზე" ჩემპიონთა ლიგის მორიგი ფინალი გაიმართება, სადაც ერთმანეთს მიუნხენის „ბაიერნი" და ლონდონის „ჩელსი" დაუპირისპირდება.**

ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა ლონდონელთა თავდამსხმელის დიდიე დროგბას ინტერვიუ. დროგბამ წელს უკვე ორ ფინალში ითამაშა – თებერვალში აფრიკის თასზე კოტდივუარის ნაკრები ზამბიასთან დამარცხდა, სულ ცოტა ხნის წინ კი ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში ლონდონელებმა „ლივერპულს" სძლიეს 2:1.

დროგბას ასევე ორჯერ აქვს ნათამაშები ევროთასების ფინალურ მატჩში და ორივეჯერ დამარცხდა. პირველად „მარსელის" შემადგენლობაში 2003-04 წლების სეზონში წააგო უეფას თასის ფინალი „ვალენსიასთან", ხოლო 2007-08 წლებში კი უკვე „ჩელსის" მაისურით „იუნაიტედთან" მოსკოვში „ლუჟნიკებზე" პენალტების სერიაში წააგეს.

***– მომავალ მატჩს შეიძლება, რომ თქვენს კარიერაში საუკეთესო ვუწოდოთ?***

– ეს შეხვედრა, რასაკვირველია, ძალიან მნიშვნელოვანია. „ჩელსის" მაისურით არაერთ დიდ მატჩში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ შაბათის შეხვედრა, რა თქმა უნდა, ჩემს კოლექციაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ჩვენი გუნდი ისტორიაში მეორედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში და ყველაფერს ვიზამთ, რომ ახლა მაინც დაგვრჩეს თასი ჩვენ.

***– „ჩელსიმ" უმეტესად თქვენი დამსახურებით შესძლო ფინალში გაღწევა.***

– დიახ, გარკვეული წვლილი მეც შევიტანე ჩვენს წარმატებაში, თუმცა ეს მთლიანად გუნდის დამსახურებაა და არა ერთი კონკრეტული ფეხბურთელის. მთავარია, სეზონის გადამწყვეტ მატჩამდე მივედით და ახლა თითოეულმა რაც ძალა და ღონე აქვს, იმით უნდა იბრძოლოს!

***– როდესაც თქვენ მოსკოვის ფინალი წააგეთ, ფიქრობდით თუ არა იმას, რომ მეორედ ამ უპრესტიჟულეს ტურნირის ფინალში თამაშის შანსი მოგეცემოდათ?***

– არა, პირიქით, ვფიქრობდი, რომ ამას კიდევ შევძლებდით. მოსკოვის ფინალში დამარცხება ჩვენთვის უდიდესი დარტყმა იყო, თუმცა ახლა ეს ჩავლილი მომენტია. საერთოდაც, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა ძალიან რთული საქმეა, რადგან აქ ევროპის საუკეთესო გუნდები მონაწილეობენ და ტიტულისთვის დამსახურებული პრეტენდენტი ყოველთვისაა. მთავარია, რომ ოთხი წლის შემდეგ კვლავ მოვახერხეთ ფინალში გასვლა, რაც ძალიან მახარებს.

***– „მანჩესტერ იუნაიტედთან" პენალტების სერიაში მარცხმა თქვენზე ძალიან იმოქმედა?***

– იცით, ძალიან არ მიყვარს წარსულის გახსენება. რატომ უნდა გავიხსენო ის, როდესაც მომავალში „ბაიერნთან" გველის ფინალი? მთავარია, ჩვენ ისევ ფინალში ვართ და მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ.

***– უყურეთ გერმანიის თასის ფინალს, სადაც დორტმუნდის „ბორუსიამ" თქვენს მეტოქე 5:2 გაანადგურა?***

– რატომ უნდა მეყურებინა?! ჩვენ მწვრთნელები გვყავს, ისინი ყველაფერს შეხედავენ და კარგად გაანალიზებენ, შემდეგ კი საჭირო ინფორმაციას მოგვაწვდიან.

***– „ბაიერნის" შემადგენლობაში „ჩელსის" ყოფილი ფეხბურთელი არიენ რობენი იასპარეზებს. ელით მისგან სიურპრიზებს?***

– რასაკვირველია, ის ძალიან სახიფათოა. ეს არის ბრწყინვალე ფეხბურთელი, რომელთან ერთად რამოდენიმე ტიტული მოვიგეთ. მისი ახლა დანახვა ძალიან მაგარი იქნება!

***– რეკორდმაისტერისგან განსხვავებით, „ჩელსიმ" თავისი ქვეყნის თასი მოიგო. აძლევს თუ არა ეს თქვენს კლუბს ფინალის წინ დამატებით უპირატესობას?***

– არა, ეს აბსოლუტურად ორი განსხვავებული ტურნირია.

***– ამ სეზონს თავისუფლად შეგვიძლია თქვენთვის წარუმატებელი ვუწოდოთ – „ჩელსიმ" პრემიერლიგის ოთხეულში მოხვედრა ვერ შესძლო, თქვენმა ნაკრებმა კი აფრიკის თასის ფინალი დათმო. მიუნხენის გამარჯვება ამ ყველაფერს გააბათილებს?***

– არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ეს სეზონი ჩემთვის წარუმატებელია. გასულ წელს უამრავი ემოციური და გასახარი მომენტი მქონდა, სულ ცოტა ხნის წინ კი ინგლისის ასოციაციის თასის მფლობელი გავხდი. თუ ბავარიელებს დავამარცხებთ, ეს სეზონი წარუმატებელი კი არა, უდიდესი იქნება ჩვენთვის. ეს არის ისტორიული შანსი, რომელიც არ უნდა გავუშვათ!

# ალესანდრო ნესტა: იტალიის ნაკრები უდიდესი გუნდია

**ალესანდრო ნესტა წერტილს უსვამს თავის მილანურ კარიერას, რაც ღიად გამოხატა ინტერვიუში.**

***– როდის გადაწყვიტეთ, რომ მიდიოდით?***

– ჯერ კიდევ თებერვლის თვეში.

***– ეს გადაწყვეტილება მასიმილიანო ალეგრის (მილანის მწვრთნელი) ხომ არ უკავშირდება?***

– არა, ჩვენ გვქონდა უთანხმოება, მაგრამ არაფერი სერიოზული. მასიმილიანო ძალიან კარგად მივიღეთ და არანაირი კონფლიქტი არ გვქონია.

***– ადრიანო გალიანი თუ ცდილობდა თქვენს შენარჩუნებას?***

– რა თქმა უნდა. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ამას აზრი არ აქვს.

***– აშშ-ში გადახვალთ?***

– ეს ვარიანტიც მომწონს. მაგალითად, დი ვაიომ უკვე გააფორმა კონტრაქტი მლს-ის ერთ-ერთ გუნდთან. ჯანმრთელობა არ მაძლევს საშუალებას რეგულარულად ვითამაშო, სათადარიგოზე კი ნამდვილად არ მსიამოვნებს ჯდომა. მინდა, თავს საჭიროდ ვგრძნობდე. მომავალ კვირას მაიამიში მივემგზავრები, მაგრამ იქ კლუბები არ არის.

***– იტალიაში დარჩენის შესაძლებლობა არის?***

– ვფიქრობდი „ლაციოზე" იმის გამო, რომ სახლში დავბრუნებულიყავი. მაგრამ ამას აზრი არ აქვს. „ლაციოში" მინდა, ძლიერი და ახალგაზრდა დავამახსოვრდე. 21 წლის ნესტა – საუკეთესო ფეხბურთელი, რომელიც ოდესღაც ვიყავი.

***– „იუვენტუსში"?***

– ეს რას ნიშნავს... მეტიც პირლოსთანაც კი არ მილაპარაკია ამ თემაზე არასდროს.

***– და პარიზიდანაც არ დაგკავშირებიათ არავიან?***

– არა, კარიერის გაგრძელებასთან დაკავშირებული მსგავსი არაფერი იყო. ანჩელოტისთან კონტაქტი მაქვს, ის ყველაზე მნიშვნელოვანი მწვრთნელია ჩემს კარიერაში, მასთან ერთად მივაღწიეთ მნიშვნელოვან და ბრწყინვალე გამარჯვებებს.

***– როგორ „მილანს" ტოვებთ?***

– ცოტა იმედგაცრუებული ვარ. ყველას ეგონა, რომ წელს ჩვენ მოვიგებდით ჩემპიონატს.

***– პირლომ შეძლო შეეცვალა სატურნირო ცხრილში კლუბის მდგომარეობა?***

– „იუვენტუსს" ძალიან გაუმართლა – კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტდა. პირლომ ჩემპიონატში ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა თუ არ ჩავთვლით დისკვალიფიკაციას. ყველა ხედავდა როგორც ითამაშა... განსაცვიფრებელი სეზონი ჰქონდა. მართალია, კარგი იქნებოდა თუ პირლო „მილანს" დაუბრუნდება, მაგრამ, ჩემი აზრით, „იუვეში" არ უნდა ეთამაშა...

***– გრძნობთ, რომ სრულდება რაღაც ეტაპი?***

– რა თქმა უნდა, პირლოს და ზეედორფის გარეშე, ჩემპიონატი, მოგება არც ისე მარტივია. ისინი არა მარტო შესანიშნავი ფეხბურთელები არიან, ასევე პროფესიონალებიც, რომელთაც სურთ წარმატების მიღწევა.

***– გამოდის „მილანის" მომავალს პესიმისტურად უყურებთ.***

– არა, „მილანი" ყოველთვის ინარჩუნებს სტაბილურობას, მაშინაც კი, როცა საჭირო ფეხბურთელებს კარგავს. შესაძლოა, 2-3 წელი დასჭირდეს, რომ შეიცვალოს და დაბრუნდეს ლიდერის პოზიციაზე.

***– რა გახსენდებათ ყველაზე კარგად ამ 10 წლის განმავლობაში?***

– მანჩესტერში „იუვენტუსის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მოგება – ეს პირველი იყო და საუკეთესო.

***– ტიაგო სილვა თქვენი მემკვიდრეა?***

– მას ყველა მონაცემი აქვს იმისთვის, რომ გახდეს ჩემზე უკეთესი.

***– ყველაზე ძლიერი მეტოქე ვისთანაც მოგიწიათ თამაში?***

– რონალდო. ბრაზილიელ ფენომენზე ვსაუბრობ და არა კრიშტიანუზე.

***– ყველაზე ძლიერი თანაგუნდელი?***

– მალდინი, პირლო, კაკა, შევჩენკო.

***– რას ეტყვით იტალიურ ფეხბურთს, რომელსაც ემშვიდობებით?***

– ახლა ყველაფერი ისე მიდის, როგორც მსურდა. ყველა 5-6 წელიწადში რაღაც სკანდალი ხდება, მაგრამ ყველაფერს უმკლავდებიან.

***– ნაკრებზე რას იტყოდით?***

– ეჰ, ნუ მანერვიულებთ... იცით მივდივარ „მილანიდან", რომ დავბრუნდე „სკუადრა აძურაში"! ვხუმრობ, რა თქმა უნდა... იტალიის ნაკრები ჩემთვის უდიდესი გუნდია ძალიან კარგი მწვრთნელით. ისინი ყველათვალსაზრისით ძლიერები არიან და ტოლს არავის დაუდებენ.

## 19 მაისი ქუჩის მუსიკის დღეა

ეკა ირემაშვილი

19 მაისი ქუჩის მუსიკის დღეა. მთელი დღის განმავლობაში რუსთაველის გამზირზე, პუშკინის სკვერში და ტაბიძის ქუჩაზე მუსიკის ზეიმი იქნება. ღონისძიების ორგანიზატორია ახალგაზრდული ასოციაცია დრონი, რომელიც ფესტივალს თბილისის მერიისა და მუსიკის სახლის მხარდაჭერით ატარებს. ორგანიზატორებს პარტნიორობას უწევენ ლიტვის საელჩო და ლიტვის ახალგაზრდული ორგანიზაცია საქართველოში. როგორც ამ დღეს დაგეგმილი ღონისძიებების ორგანიზატორი დავით დაიაური აცხადებს, ეს დღე მუსიკის მოყვარულთათვის ზეიმის დღე იქნება.

– გულის სიღრმეში ყველა ადამიანი მუსიკოსია – მიუხედავად მისი წარმომავლობისა თუ მუსიკალური განათლებისა. ქუჩის მუსიკის დღე არის ახალი ფესტივალი პროფესიონალი და არაპროფესიონალი მუსიკოსებისთვის, ბენდებისთვის, რომელთაც შეუძლიათ თბილისის ქუჩებში გამოავლინონ საკუთარი მუსიკალური შესაძლებლობები, – ამბობს დავით დაიაური.

ფესტივალი ლიტვაში 2007 წელს დაარსა ცნობილმა მუსიკოსმა ანდრიუს მამონტოვასმა და ფესტივალმა მთელი ქვეყანა მოიცვა. გასულ წელს ფესტივალი ჩატარდა რიგასა და მინსკში, ხოლო ამჟამად, მას უკვე პეტერბურგი და თბილისიც შეუერთდება.

– უცნობი მომღერლებისთვის ეს დღე საუკეთესო შანსია გახდნენ ცნობილები, ხოლო პროფესიონალი მუსიკოსებისათვის შესაძლებლობა, გამოავლინონ თავიანთი ნიჭი. კრეატიულ მუსიკოსებს მიეცემათ სივრცე, სადაც შეძლებენ სხვებსაც გაუზიარონ საკუთარი იდეები და მუსიკალური შეგრძნებები. ეს ფესტივალი გვაძლევს შესანიშნავ შესაძლებლობას, წარვუდგინოთ ქართველი საზოგადოება სხვადასხვა სუბკულტურებს და ყველამ უფასოდ მოუსმინოს არაჩვეულებრივ მუსიკას. თუ გსურთ, გახდეთ ამ ღონისძიების მონაწილე, გამოავლინოთ საკუთარი შესაძლებლობები, ხელი შეუწყოთ ტოლერანტობას, გაავრცელოთ მშვიდობის იდეა, სიყვარული და ქუჩის კულტურა გახდეს პოპულარული, მოგიწოდებთ ჩაერთოთ ჩვენს ფესტივალში. – ამბობს ფესტივალის ორგანიზატორი დიმიტრი კურტანიძე. იმისათვის, რომ ქუჩის მუსიკის ფესტივალში მიიღოს მონაწილეობა, ნებისმიერ მსურველს წინასწარ დარეგისტრირება შეუძლია ქუჩის მუსიკის დღის ვებგვერდზე, მათ კი ფესტივალის მოხალისეები დაეკონტაქტებიან.

– თუ გიტაცებთ მუსიკა და თბილი ატმოსფერო, მობრძანდით 19 მაისს თბილისის ცენტრალურ ქუჩებში. ჩვენი ღონისძიებები წარმოდგენილი იქნება შოთა რუსთაველის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე, რუსთაველის გამზირზე სხვადასხვა ადგილას, მათ შორის პირველი სკოლის წინ, პარლამენტის წინ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის წინ, მეტრო თავისუფლებასთან, პუშკინის ბაღში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე, 9 აპრილის პარკში. მოგიწოდებთ, ერთად გავატაროთ ეს დღე! – აცხადებს დავით დაიაური.

# აშშ-ს დაზვერვამ ნომერ პირველი ტერორისტის ვინაობა დაასახელა

– მიმდინარე წლის 12 მაისს ამერიკის დაზვერვამ დაასახელა ნომერ პირველი ტერორისტის ვინაობა. ეს პიროვნება დღეს აშშ-სა და მისი დასავლელი მოკავშირეებისათვის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება.

ამ კაცის სახელია იბრაჰიმ ალ-ასირი. ის ოცდაათი წლისაა. დაიბადა საუდის არაბეთში. ერთხანს იქაური უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე სწავლობდა, ხოლო შემდგომში, გაურკვეველი მიზეზების გამო, სწავლა მიატოვა.

– ალ-ასირის უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია, – იტყობინება რადიო „თავისუფლება", – მას უმაღლესი განათლება არ აქვს.

მიუხედავად ამისა, ქიმიის ფაკულტეტზე მიღებული ცოდნა საკმარისი აღმოჩნდა, რათა ალ–ასირის საერთაშორისო ტერორისტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაემკვიდრებინა. ალ-ასირი დაჯერებული ისლამისტია. ამან განსაზღვრა მისი დამოკიდებულება როგორც აშშ-ს, ისე საერთოდ დასავლური სამყაროსადმი.

– ამერიკის შეერთებული შტატები მას სასტიკად სძულს, ამიტომაც მისი ოცნებაა, აშშ-ს ტერიტორიაზე გრანდიოზული აფეთქებების მოწყობა, – თვლის რადიო „თავისუფლება".

მსოფლმხედველობამ მისი არჩევანიც განსაზღვრა და ალ-ასირი ალ-ქაიდას აქტიური წევრი გახდა. „დივერსიების დიდოსტატი", – ეს რეპუტაცია მას მტკიცედ მიეკერა. ქიმიის ფაკულტეტზე მიღებული ცოდნა დაეხმარა ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებაში. ამ მხრივ მან უდიდესი ფანტაზია გამოავლინა. ასაფეთქებელ მოწყობილობებს იმდენად ვირტუოზულად ამზადებდა, რომ მათი აღმოჩენა საკმაოდ ძნელი იყო. ამასთან, ალ-ასირი საოცარი ულმობლობით გამოირჩეოდა. ასაფეთქებელ მოწყობილობებს დებდა მაღაზიებში, სტადიონებზე, აეროპორტებში, ანუ ხალხმრავალ ადგილებში. რამდენჯერმე მის მიერ დამზადებული ბომბები სკოლების მახლობლადაც აფეთქდა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

– ალ-ასირიმ სახელი იმითაც გაითქვა, რომ ადამიან-ბომბებს ინტენსიურად იყენებდა, – წერს „გაზეტა უეი".

როგორც ყველა ფანატიკოსისთვის, ალ-ასირისთვისაც ცნება ახლობელი არ არსებობს. ამიტომ „ადამიან-ბომბის" როლზე თავისი ღვიძლი ძმაც დაამტკიცა და საუდის არაბეთის შინაგან საქმეთა მინისტრ პრინც ნეიფუს მიუგზავნა.

– ალ-ასირის ძმას მონანიე მოჯაჰედინის როლი უნდა გაეთამაშა, – წერს „გაზეტა უეი", – შემდეგ ხელსაყრელი მომენტი შეერჩია და საკუთარ თავთან ერთად პრინციც აეფეთქებინა.

აღნიშნული აქცია ჩაიშალა. ბომბი უფრო ადრე აფეთქდა, ვიდრე გათვალისწინებული იყო და აფეთქებამ მხოლოდ ალ-ასირის ძმა შეიწირა. პრინცი უვნებლად გადარჩა. სამაგიეროდ დამტკიცდა, რომ ტერორისტი პრინცთან ალ-ასირიმ მიავლინა.

– მეორე მსხვილი ტერაქტი, რომელსაც ალ-ასირი გეგმავდა, დეტროიტში ამერიკული სამგზავრო თვითმფრინავის აფეთქება იყო, – წერს „გაზეტა უეი", – აქცია შობისთვის იყო დაგეგმილი. ალ-ასირის სურდა ამერიკელებისათვის დღესასწაული ტერაქტით მიელოცა".

ამჯერადაც „ადამიანი-ბომბი" იქნა გამოყენებული. შაჰიდი ალ-ასირიმ პირადად შეარჩია. ის ეროვნებით ნიგერიელი გახლდათ, აშშ-ში ჩავიდა და ხსენებულ თვითმფრინავზე ბილეთი აიღო. მინი-ბომბი, რომელიც ალ-ასირიმ პირადად დაამზადა, ტრუსებში ჰქონდა დამალული. შაჰიდმაც მისი თვითმფინავში შეტანა შეძლო.

– ყველაფერი ისე იყო გათვლილი, რომ ბომბი ჰაერში უნდა აფეთქებულიყო, – აღნიშნავს „გაზეტა უეი".

მგზავრები მხოლოდ სასწაულმა იხსნა. ბომბი არ აფეთქდა. სამაგიეროდ, ერთ-ერთმა მგზავრმა რაღაც საეჭვო შენიშნა და განგაში ატეხა. მგზავრებიც ნიგერიელს დააცხრნენ. ტერორისტმა მათ გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია.

– ალ-ასირის შაჰიდმა ერთს თავი გაუტეხა, მეორეს კბილებით გაუვსო პირი, მესამეც და მეხუთეც ააბლავლა, – წერს გაზეთი „ფერგანა".

ბრძოლა მართლაც გააფთრებული იყო. მასში თვითმფრინავის ყველა მგზავრი მონაწილეობდა. ბოლოს და ბოლოს ტერორისტი ძირს დასცეს. ერთ-ერთმა მგზავრმა, ვინმე კრაიტონმა, ქამარი მოიხსნა და შაჰიდს ხელფეხი შეუკრა.

– ამ დროს ტერორისტი უკვე ძირს ეგდო. ძიძგილაობისას მას მთელი ტანსაცმელი შემოახიეს. როცა ხელებს ვუკრავდი, – რამდენიმე მამაკაცს ეკავა. ანაზდად ტერორისტი მათ დაუსხლტა და მთელი ძალით სახეში მუშტი ჩამაზილა. ცხვირიდან სისხლი წამსკდა, – იგონებდა კრაიტონი.

ალ-ასირის პერსონა ყველაზე ხშირად აფეთქებების მომზადებისას წამოტივტივდებოდა ხოლმე. 2011 წელს ამერიკულმა და ინგლისურმა სპეცსამსახურებმა დაადგინეს, რომ ალ-ქაიდა ამზადებს მასშტაბურ ტერაქტს, რომ დაგეგმილია აფეთქება სამგზავრი თვითმფრინავის, რომელიც საუდის არაბეთიდან კუვეიტში უნდა გადაფრინდეს. გაზეთ „ფერგანის" ცნობით, ინფორმაცია წამოვიდა ორმაგი აგენტისაგან, რომელიც ინგლისური მი-6-ის დავალებით ალ-ქაიდას რიგებში დამკვიდრდა, შემდეგ კი ინგლისელებს ინფორმაციას სისტემატიურად გადასცემდა:

– აგენტი იტყობინებოდა, რომ ბომბი პირადად ალ-ასირიმ დაამზადა, – წერს „ფერგანა", – რომ შაჰიდსაც, რომელმაც ხსენებულ თვითმფრინავში ბომბი უნდა შეიტანოს, ალ-ასირი პირადად შეარჩევს.

ამის შემდეგ ამ ტერაქტის გაუვნებელყოფის მიზნით დაიწყო ინტენსიური მუშაობა. ჩვეულებისამებრ ალ-ასირი შაჰიდებს ალ-ქაიდას იმ წევრებისაგან არჩევდა, რომელთაც ამერიკული და ინგლისური პასპორტები ჰქონდათ. მიზეზი მარტივია: ამ ქვეყნის მოქალაქენი გადაადგილების ყველაზე მეტი თავისუფლებით სარგებლობენ და, შესაბამისად, ტერაქტის ჩატარებაც ყველაზე უკეთ შეუძლიათ.

– ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მოხდა ისე, რომ შაჰიდის როლზე შეირჩა პიროვნება, რომელიც ინგლისის დაზვერვის აგენტი იყო, – წერს „ფერგანა".

დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო. აგენტმა ბომბი გამოართვა, შემდეგ კი ხელისუფლების წარმომადგენელთ გადასცა. ტერაქტი თავიდან იქნა აცილებული. სპეცსამსახურების თანამშრომლები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ ალ-ასირის პროფესიულ ოსტატობაში. ბომბი იმდენად ოსტატურად იყო დამზადებული, რომ მისი აღმოჩენა პრაქტიკულად შეუძლებელი გახლდათ.

– რომ არა ხსენებული აგენტი, ტერაქტის თავიდან აცილება ვერ მოხერხდებოდა, – წერს „ფერგანა".

ორმაგი აგენტების მეშვეობით ამერიკელებმა არა ერთი ტერაქტის თავიდან აცილება შეძლეს. ასე, მაგალითად, 2011 წელს ამერიკის დაზვერვამ დაადგინა, რომ იემენიდან აშშ-ში მოქმედ ერთ-ერთ ებრაულ ორგანიზაციას ბანდეროლი გაუგზავნეს, რომელშიც სინამდვილეში ბომბია ჩადებული. შემოწმებისას დადასტურდა, რომ ეს სიმართლეა. ბომბიც გაუვნებელყოფილ იქნა.

– გამოძიების შედეგად დამტკიცდა, რომ აღნიშნული ასაფეთქებელი მოწყობილობა ალ-ასირის მიერ იყო დამზადებული, – წერს „ფერგანა."

ამერიკულმა დაზვერვამ სხვა მსხვილი ტერაქტის შესახებაც შეძლო ინფორმაციის მოპოვება. ალ-ქაიდაში დამკვიდრებულმა მსტოვარმა თავის უფროსებს აცნობა, რომ მზადდება ჩიკაგოს სტადიონის აფეთქება. აქცია ბეისბოლის მატჩის დროს უნდა მოეწყოს, როცა განსაკუთრებული ხალხმრავლობა იქნება. აგენტი კარგად იყო ინფორმირებული. მან დაადგინა როგორც ტერაქტის ორგანიზატორის, ასევე უშუალო შემსრულებლის ვინაობა, აგრეთვე ისიც, რომ აქცია 2012 წლის აპრილში იყო დაგეგმილი.

– გატარებული ღონისძიებების შედეგად ტერორისტი დააკავეს. აფეთქებაც არ შედგა, – წერს „ფერგანა", – ის აღმოჩნდა ლიბანის მოქალაქე, რომელიც უკვე რამდენიმე წელია აშშ ცხოვრობდა და მუშაობდა.

ტერორისტს ასაფეთქებელი მოწყობილობა ჩამოერთვა. ამერიკელმა ძალოვნება მას დახედეს თუ არა, ყველაფერს მიხვდნენ. ბომბი მართლაც ვირტუოზულად იყო დამზადებული. ალ-ასირის ხელწერა შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა.

– საფრთხე, რასაც ალ-ასირის პერსონა ამერიკისა და, საერთოდ, დასავლეთის მიმართ წარმოადგენდა, განაპირობებდა იმას, რომ მის წინააღმდეგ რიგი სპეცოპერაციები ჩატარდა, – წერს „ფერგანა".

ამერიკის დაზვერვამ ალ-ქაიდას არა ერთი ლიდერი ფიზიკურად მოსპო, უამრავი დააპატიმრა. თუმცა ალ-ასირის წინააღმდეგ გატარებულმა ღონისძიებებმა ჯერჯერობით შედეგი ვერ გამოიღო. ალ-ასირიმ, რომელსაც მართლაც ნადირის ყნოსვა აქვს, ყველა დაგებულ ხაფანგს თავი დააღწია. ამასთან, ტერორისტს ბედიც სწყალობს: 2011 წელს ამერიკელებმა დაადგინეს, რომ ალ-ქაიდას ლიდერები ერთმანეთს სათათბიროდ უნდა შეხვდნენ. დადგინდა შეხვედრის ადგილი და დრო. ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ტერორისტთა რამდენიმე თავკაცი დაილუპა, ზოგიც ცოცხლად შეიპყრეს. გაქცევა მხოლოდ რამდენიმე კაცმა შეძლო. მათ შორის ალ-ასირიც გახლდათ. ამერიკელები იმედგაცრუებას ვერ მალავდნენ. ოპერაციის ძირითადი მიზანი ხომ ალ-ასირის გაუვნებელყოფა იყო.

– არსებული ინფორმაციის თანახმად, ალ-ასირი ახალ ტერაქტებს გეგმავს. მისი ოცნება აშშ-ს ტერიტორიაზე მსხვილი მასშტაბის ტერაქტების მოწყობაა, – წერს „ფერგანა".

არსებული ინფორმაციის თანახმად ალ-ასირი ახალ ასაფეთქებელ მოწყობილობებს ამზადებს. ამ საკითხში მისი გათვითცნობიერება, აგრეთვე ფანატიზმი და დაუნდობლობა მას საშიშ ფიგურად ხდის. ალ-ასირზე ნადირობა გრძელდება.

ნიკა თევზაძე


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**ც ფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5**

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● სამკურნალო სადიაგნოსტიკო რეაბილიტაციის ცენტრი „მედიგარდი" გთავაზობთ კუჭისა და ნაწლავების ექოსკოპიას, რაც გასტროსკოპიისა და რენტგენოლოგიური კვლევის ალტერნატივაა. ამავე კლინიკაში გთავაზობთ მკურნალობას სამკურნალო მცენარეებით, ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, გასტრიტი, კოლიტი, შარდ-კენჭოვანი დაავადება და სხვა. მისამართი: ფალიაშვილის ქ.№17. ტელ: 225-20-50; მობ: 599-57-25-08.

● ნანა ქიზრონაშვილი, შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ფოტოსურათით მოგიხსნით: პათოლოგიურ სიმთვრალეს, ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებს და ქმედებებს, ეჭვიანობას, ძილში მოუსვენრობას, კოშმარულ სიზმრებს, თვითმკვლელობის სურვილს, დეპრესიას, დაძაბულობას, ოჯახურ კონფლიქტებს. მის: წერეთლის 57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი 7. მიღება 12-დან 15 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

## ორშაბათი 21 მაისი

07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 ვახო სანაიას რეპორტაჟი 13.45, 06.00 დოკ. ფ. "მსოფლიო ოდისეები" 14.15 10 პლუს 10 15.15 ჩვენი ფერმა 17.00, 05.20 დოკ. ფილმი "რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" 18.00 პეპე და მეგობრები 19.00 მოამბე 19.05 სერ. "არც ასე, არც ისე" 21.00 სერ. "დეტექტივი" 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 23.30 მედიამონიტორი 00.30 საფარი 01.00 მოამბე 01.20 მხ. ფ. "კარს მომდგარი მტერი" (15) (დ. ლოუ) 03.35 მხ. ფ. "დამიჭირე თუ შეგიძლია" (ლ. დიკაპრიო)

---

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ან. ფილმი 10.30 საბ. ფ. "წითელქუდა" 12.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.00 მხ. ფილმი "ნაზიკო წინ" 14.30, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 16.45 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 20.00 მხ. ფილმი "პოსეიდონის თავგადასავალი" (ა. ბოლდუინი) 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი "ზარი-2"

---

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.30 ქრონიკა 11.30 სერ. "უკვდავი ამბავი" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ."გოგონა გარეუბნიდან" 16.00 ხანუმა 17.40 სერ. "მეწამული ცა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 რომ გადახვალ, გააჩერე 22.20 მხ. ფილმი "უდიპლომო სასიძო" 23.50 კულინარიული დუელი 01.15 მხ. ფილმი "თაფლობის თვე" (ს. მილერი) 02.55 მხ. ფილმი "ცოდვის ქალაქი" (15) (ტ. სკერიტის)

---

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 06.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მგზნებარე გული" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 22.00 ნიჭიერი 23.30 შერეკილები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

---

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ."მისი სულის მუსიკა" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი 16.00 იცხოვრე ფეხბურთით 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი "თამაში" 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

---

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სკოლის მეგობრები" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35 სერ."დედოფალი და კარდინალი" 13.50 1000 წვრილმანი 15.15, 19.35 სერ. "სკოლის მეგობრები" 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 სახლი ბათუმში 23.30 მხ. ფილმი

---

ერთსულოვნება 0830

განთიადი 10.00, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30 ლექსით ქებათა ქება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი "იყო შაშვი მგალობელი". 13.30 კონცერტი – სოფიკო ჭიაურელის ხსოვნის საღამო. 15.05, 18.53, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი. 15.30 სპექტაკლი "პატარა უფლისწული" 17.15 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.40 დოკ. ფილმი "კადრს მიღმა". 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 გუთნისდედა 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.00 სიახლენი 19.20 მხ. ფილმი "რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება. 21.20 სალვთისმეტყველო საუბრებიც 22.00 სიახლენი 22.25 მოკ. ფილმი "გამსვლელი პაიკი" 23.00 საღამოს ლოცვა. 23.15 დოკ. ფილმი "თბილისის თავგადასავალი" 00.10, 02.30 სიახლენი. 00.35 განთიადის სტუმარი 00.55 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

## სამშაბათი 22 მაისი

07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 საფეხბურთო მიმოხილვა 13.15, 05.50 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 14.00 ქალთბურთი. საქ. ჩემპიონატი მჯამე ფინალური მატჩი. 17.00 მედინფო 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "არც ასე, არც ისე" 21.00 სერ. "დეტექტივი" 22.00 დიალოგი დავით პაიჭაძესთან 23.00 ევროვიზია – 2012. პირველი დღე. 01.10 მოამბე 01.20 მხ. ფ. "შეუსრულებელი მისია-2" (ტ. კრუზი) 03.30 მხ. ფ. "კარს მომდგარი მტერი" (15) (ჯ. ლოუ)

---

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 13.45, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 20.00 მხ. ფილმი "პოსეიდონის თავგადასავალი" (ა. ბოლდუინი) 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფ. "შეუსრულებელი მისია" (ჟ. რენო)

---

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "უკვდავი ამბავი" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ღვინის გზა" 15.40 ღამის შოუ (გან.) 17.40 სერ. "მეწამული ცა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 ნანუკას შოუ 23.40 თბილისი ლაივი 00.50 სპეც რეპორტაჟი (გან.) 01.40 მხ.ფ."კასანდრას ოცნება" (15) (ი. მაკგრეგორი) 03.50 მხ. ფილმი "გამოსასყიდი" (12) (პ. ბროსნენი)

---

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 ვანოს შოუ 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მგზნებარე გული" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 პროკურორი 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

---

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ."მისი სულის მუსიკა" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 იცხოვრე ფეხბურთით 22.50 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

---

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სკოლის მეგობრები" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35 სერ."დედოფალი და კარდინალი" 13.50 სახლი ბათუმში 15.15 სერ."სკოლის მეგობრები" 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 დოკ. ფილმი "ისინი" 23.40 მხ. ფილმი

---

ერთსულოვნება 0830

განთიადი 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 გუთნისდედა 11.15 სალვთისმეტყველო საუბრები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 24.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი. 12.15 მხ. ფილმი "რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". 13.30 კონცერტი – ფრიდრიჰ გულდა. 15.10 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად". 15.55 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.10 მხ. ფილმი "დიდი ვალსი" 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი. 18.53, 21.55 ერთი ნივთის ისტორია. 19.15 დოკ. ფილმი "ქართული მონეტები" 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 22.25 მგზავრების წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი". 23.35 დოკ. ფილმი "შიო მღვიმელი". 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 ერთსულოვნების სალონი. 01.50 კარაბადინი 02.15 კლასიკა.

## ოთხშაბათი 23 მაისი

07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 საფეხბურთო მიმოხილვა 13.50 ვაშინგტონი დღეს 14.15 დოკ. ფ."რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" 15.00 სერ. "დეტექტივი" 17.00 ეკონომ მენიუ 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "არც ასე, არც ისე" 21.00 სერ. "დეტექტივი" 22.00 ევროპული არჩევანი 23.00 ღამის საუბრები 00.00 მხ.ფ."ალფი" (15) (ჯ. ლოუ) 01.25 მოამბე 02.10 მხ. ფ."შეუსრულებელი მისია-2" (ტ. კრუზი) 04.20 მხ. ფილმი "წყალზე ბევრად მეტი" 06.00 დოკ.ფ."მსოფლიო ოდისეები"

---

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 13.45, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 20.00 მხ. ფილმი "იმპერია" 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი "ზირთვი"

---

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "უკვდავი ამბავი" 12.30 დღის შოუ 14.40 რომ გადახვალ, გააჩერე (გან.) 15.20 მან სან კანის ჩემპიონთა (გან.) 17.40 სერ. "მეწამული ცა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 23.00 პოლიციის აკადემია 00.00 რემონტი 01.00 მხ. ფილმი "ზოროტების სავანე-3" (პ. კრუსი) 03.05 მხ. ფილმი "კეთილი მეყვასი" (კ. სლეიტერი)

---

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 თქვენი შოუ 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მგზნებარე გული" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 რა? სად? როდის? 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

---

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ."მისი სულის მუსიკა" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

---

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სკოლის მეგობრები" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35 სერ. 13.50 დოკ. ფილმი "ისინი" 15.15 სერ."სკოლის მეგობრები" 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 სცენა 23.40 მხ. ფილმი

---

ერთსულოვნება 0830

განთიადი 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ. ფილმი "შიო მღვიმელი". 11.00 მოკ. ფილმი "მე მხოლოდ მგზავრი ვარ". 11.05 დოკ. ფილმი "წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი". 11.20 მგზავრები წუთისოფლისა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები. 13.20 კონცერტი – ლილიკო ნემსაძე. 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.30 კვირიაკე 18.10 საქართველო არის ესე. 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი. 18.53, 22.50 ერთი ნივთის ისტორია. 19.20 ეთნოგრაფია. 19.35 მხ. ფილმი "ხსოვნა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "მიხეილ თუმანიშვილი". 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთი დღე მონასტერში 01.20 მხ. ფილმი "ოქროს ციებ-ცხელება"

## ხუთშაბათი 24 მაისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12&45 tdhjgekb fhxtdfyb 13.45 აღმოაჩინე საქართველო 14.15 დოკ. ფილმი "რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" 15.00 სერ. "დეტექტივი" 17.00 პირველი ტელევიზია 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "არც ასე, არც ისე" 21.00 ევროვიზია – 2012. დღიური. 22.00 დიალოგი დავით პაიჭაძესთან 23.00 ევროვიზია – 2012. მეორე დღე. 01.00 სი ბემოლი 02.20 საფარი 02.50 მხ. ფილმი "საზღვრებს მიღმა" (12) (ა. ჯოლი) 05.00 მხ. ფილმი "ღირსების სიტყვა" (12)

---

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 20.00 მხ. ფილმი "იმპერია" 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი "ამერიკელი ჟიგოლო" (12) (რ. გირი)

---

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "უკვდავი ამბავი" 12.30 დღის შოუ 14.40 100 გრადუსი (გან.) 17.40 სერ. "მეწამული ცა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 სერ. "შუა ქალაქში 3" 23.00 "მან სან კანის" ჩემპიონთა ლიგა 00.30 თბილისი ლაივი 01.30 მხ.ფ."დაბრუნება ბრაიდსჰედში" (12) (მ. გუდი) 04.00 მხ. ფილმი "ბრაზის გამართულება" (12) (კ. კოსტნერი)

---

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 კომედი შოუ 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მგზნებარე გული" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 22.00 პროფილი 23.30 შიშის ფაქტორი 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

---

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ."მისი სულის მუსიკა" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი (გან.) 16.00 იცხოვრე ფეხბურთით 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

---

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სკოლის მეგობრები" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35 სერ. 13.50 სცენა 15.15 სერ. "სკოლის მეგობრები" 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

---

ერთსულოვნება 0830

განთიადი 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ. ფილმი "მიხეილ თუმანიშვილი" 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.15 მხ. ფილმი "ხსოვნა" 13.20 კონცერტი – სამი ტენორი. 15.05, 18.53, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.20 მხ. ფილმი "გამლეტი" 18.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. 18.20 აქტუალური თემა. 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.20 მხ. ფილმი "ხსოვნა" 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 ერთსულოვნების სალონი 22.20 ამაღლება. 22.35, 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 მხ. ფილმი "ჩემი მსახურის და"

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

## პარასკევი 25 მაისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 მხ. ფილმი "ხასიათის შეუთავსებლობა" (დ. ბერიმორი) 15.00 დოკ. ფ."რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" 17.00 ავტოპილოტი 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "არც ასე, არც ისე" 21.30 გააგრძელე საქართველოს ისტორია 22.00 მხ. ფილმი "თანამონაწილე" (ტ. კრუზი) 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფილმი "სპორტი, სპორტი, სპორტი" 03.00 მხ. ფილმი "საზღვრებს მიღმა" (12) (ა. ჯოლი) 05.15 მხ. ფილმი "მისის სტოუნის რომაული გაზაფხული" (18)

---

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 20.00 მხ. ფილმი "იმპერია" 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფ. "ინტელექტის კოეფიციენტი" (მ. რაიანი)

---

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "უკვდავი ამბავი" 12.30 დღის შოუ 14.40 ნანუკას შოუ (გან.) 17.40 სერ. "მეწამული ცა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 ქარ. სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.00 100 გრადუსი 00.15 ქალური ლოგიკა 01.55 "ფლეი ბოი" 02.50 მხ. ფილმი "შურისძიება" (15) (მ. სტოუ)

---

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 პროფილი (გან.) 18.45 სერ. "მგზნებარე გული" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.30 კომედი შოუს სკეტჩები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

---

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ."მისი სულის მუსიკა" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 მხ. ფილმი 23.00 105 წუთი (პირდ.) 01.00 მზესუმზირა 03.00 მხ. ფილმი

---

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ."სკოლის მეგობრები" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 13.00 სამედ. გად. "იმპულსი" 13.30 სერ. 15.15 სერ."სკოლის მეგობრები" 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 19.35 სერ. 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

---

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.35 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 მხ. ფილმი "ხსოვნა" 13.35 კონცერტი – ლუჩანო პავაროტის გახსენება. 15.05, 18.53, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი 15.25 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.50 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.15 მხ. ფილმი "არდადეგებზე" 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.30 მხ. ფილმი "სინემა". 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ზიდი" 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კვირიაკე

## შაბათი 26 მაისი

07.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.15 ან. ფილმი 09.30 საბ. ფილმი "პინოქიო" 11.00 ეთნოგრაფიული ნარკვევები 11.15 ვაკა-პედია 11.30 ბავშვობანა 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ქართ. ფილმი "ფესვები" 14.00 მხ. ფ. "მის კონგენიალურობა" 16.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 17.00 დამზადებულია საქართველოში 17.30 მედ-ინფო 18.00 პირველი ტელევიზია 19.00 ეკონომ მენიუ 21.00 ვახო სანაიას რეპორტაჟი 22.00 კონცერტი 23.00 ევროვიზია – 2012 ფინალი. 02.30 ავტოპილოტი 03.50 მხ. ფ. "გარიყული" (ტ. ჰენქსი) 06.20 დოკ. ფ."რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა"

---

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 10.00, 15.00 ბრიფინგის დროით. კვირის დაიჯესტი 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ფეხბურთი. საქ. თასის ფინალი 21.00 ქართ. მხ. ფ. "ფესვები" 22.30 მხ. ფ. "ქუჩა – ქუჩილის დღეები" (12) (ნ. კიდმანი) 23.45 მხ. ფ. "გენერლის ქალიშვილი" (18) (ჯ. ტრავოლტა)

---

08.00 ქრონიკა 08.15, 09.15, 11.15 ან. ფილმი 08.40 საბ. ფილმი "მისის დაუთფაიერი 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.45 სერ. "შუა ქალაქში" 13.10 რემონტი 14.30 ავტობიოგრაფია 15.20 რომ გადახვალ, გააჩერე 16.05 კაცების შოუ (გან.) 17.40 სერ. "მეწამული ცა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 20.30 სპეცრეპორტაჟი 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 ხანუმა 00.10 მხ. ფილმი "სვანი" (15) 01.50 დოკ.ფ."ბიკინის სამყარო" 02.20 "ფლეი ბოი" 03.15 მხ. ფილმი "მეოჯახე" (ნ. კეიჯი) 05.15 მხ. ფილმი "ადრენალინი" (15) (ჯ. სტეტჰემი)

---

08.00 კურიერი 08.30 მხ. ფილმი - ანიმაცია 11.00 ეკო-ვოკი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 რა? სად? როდის? (გან.) 15.30 ეთამაშე ვარსკვლავს 17.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 18.30 სიცილის ზონა 18.45 ანა-ბანა 19.50 სერ."ველური ყვავილი" 21.00 კურიერი 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 თქვენი შოუ. 00.00 სერ. "სამხრეთის დედოფალი" 01.00 მხ. ფილმი (ტიტ.) 03.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

---

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.20 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "მარია ემილია" 11.00 პულსი 11.30 ან. ფილმი 12.00 სერ."მისი სულის მუსიკა" 13.00 სერ. "ქვეყნის კიდეზე" 14.10 სერ. "კონან დოილის ქრონიკები" 15.00 მხ. ფილმი 17.15 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.40 მხ. ფილმი 02.20 მხ. ფილმი

---

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 ანიმაცია 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30 მუსიკა 13.00, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 13.30 1 000 წვრილმანი 15.00 დოკ. სერ. "ბინდი- გოგონა ჯუნგლებიდან" 15.30 სერ. "მკვლელობები მიდსომერში" 17.00 დოკ. ფილმი "მუსიკა – რეტრო" 18.00 დოკ. ფილმი 18.30 მხ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მოგზაურის დღიური 23.30 მხ. ფილმი

---

ერთსულოვნება 0830

ჩვენი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 09.35 მუსიკალური ცისარტყელა 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი – 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 დოკ. ფილმი "ქეჟუცა ჩოლოყაშვილი" 10.40 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.15 მხ. ფილმი "სინემა". 13.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 15.05, 18.50, 23.50 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 ოპერა "დაისი" 16.35 დრო და ადამიანები – ნოე ჟორდანია. 16.50 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.25 წმინდა ათონელი მამები. 18.10 ძველი აფიშა. 18.35 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.40 დრო და ადამიანები – მერაბ კოსტავა. 20.00 ერთსულოვნების სალონი. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 კარაბადინი 22.25 ერთი დღე მონასტერში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ადამიანები – ზვიად გამსახურდია. 23.30 დოკ. ფილმი "გიორგი მაზნიაშვილი". 00.30 მხ. ფილმი "ფესვები"

## კვირა 27 მაისი

07.30, 15.30 დოკ. ფ. "მსოფლიო ოდისეები" 08.00 ან. ფილმი "შრეკი – 3" 09.25 საბ. მხ.ფ. "პინოქიო" 11.00 ეთნოგრაფიული ნარკვევები 11.15 ვაკა – პედია 11.30 ჩვენი ექსპრესი 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ჩვენი ფერმა 13.00 გააგრძელე საქართველოს ისტორია 13.30 დოკ. ფილმი "შერლოკ ჰოლმსი" 14.30 სი – ბემოლი 15.30 ჩემპიონთა ლიგის დღიური. 16.30 ჩვენი ეზო. 17.30 ვაშინგტონი დღეს 18.00 მხ. ფ."ზუნების ძალები" 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 10 პლიუს 10 23.00 აღმოაჩინე საქართველო 23.30 უცნობი მუსიკა 00.30 კონცერტი. პინა რივერი 01.30 მხ. ფილმი "ფორესტ გამპი" (12) (ტ. ჰენქსი) 05.15 მხ. ფ. "გარიყული"

---

08.00 დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის დაიჯესტი 17.00 დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" 18.00 მხ. ფილმი "ლურჯი მაისურები" (ნ. ნოლტი) 19.30 გააგრძელე საქართველოს ისტორია 20.00 მხ. ფილმი "ქალწული დედოფალი" 21.30 ქარ. მხ. ფილმი "ხევსურული ბალადა" 22.55 მხ. ფ. "დესტინი რადიოს რთავს" (დ. ბელუში) 00.15 მხ. ფ."დამიჭირე თუ შეგიძლია" (12) (ტ. ჰენქსი)

---

08.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "თავზეხელაღებული ფრენკი" 09.50 ეტალონი 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.05 ქრონიკა 11.15 ბასტი-ბუბუ 11.45 ქარ.სერ."შუა ქალაქში" 13.00 სერ. "აიძარლი" 14.30, 20.30 სპეც. რეპორტაჟი 15.20 კულინარიული დუელი 16.30 რომ გადახვალ, გააჩერე 17.40 იმედის გმირები 17.55 ცეკვავენ ვარსკვლავები 20.10 ქალური ლოგიკა 21.10 ღამის შოუ 22.00 ქარ.სერ."შუა ქალაქში" 23.00 სერ. "ღვინის გზა" 00.00 კაცების შოუ 00.40 პოლიციის აკადემია 01.40 "ფლეიბოი" 02.35 სერ."ახალი ამსტერდამი" 04.05 მხ. ფილმი "ვარსკვლავის დაბადება"

---

08.00 კურიერი 08.30 მხ. ფილმი – ანიმაცია 11.00 ანა-ბანა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 13.00 ქართ. ფილმი 15.30 ნიჭიერი (გან.) 17.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკო-ვოკი 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 პ.ს. კურიერი 22.00 კომედი შოუ 23.00 შიშის ფაქტორი 00.00 მხ. ფილმი (ტიტ.) 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

---

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.10 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "მარია ემილია" 11.00 პულსი 11.30 ან. ფილმი 12.00 სერ. "მისი სულის მუსიკა" 13.00 სერ. "ქვეყნის კიდეზე" 14.10 სერ. "კონან დოილის ქრონიკები" 15.00 მხ. ფილმი 17.15 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 23.45 მხ. ფილმი 01.20 მხ. ფილმი

---

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 ფერისცვალება (გან.) 10.00 დილის ტალღა 12.00 სერ. "გვენ ჯონსი" 12.30 მოგზაურის დღიური 13.00, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 15.00 დოკ. სერ. "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" 15.30 სერ. "მკვლელობები მიდსომერში" 17.00 დოკ. ფილმი "მუსიკა – რეტრო" 18.00 დოკ. ფილმი 18.30 მხ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

---

ერთსულოვნება 0800

დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 წმინდა ათონელი მამები. 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი 10.05, 18.05. 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ძველი აფიშა. 11.00 ქარ. მულტფილმები 11.35 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10, 18.55, 21.55, 00.05 ერთსულოვნების სალონი 13.10 გუთნისდედა 13.35 მუსიკალური ცისარტყელა 14.00 ერთი დღე მონასტერში 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 15.55 გზა, რომლითაც ვიარე 16.20 ნიამორი 16.40 აქტუალური თემა 16.55 სალვთისმეტყველო საუბრები 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.30 მხ. ფილმი "სამანიშვილის დედინაცვალი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული. 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.35 მხ. ფილმი "საბრინა"

# როგორ აღნიშნავს სახალხო კრება 26 მაისის ტრაგედიას

შორენა გონგლაძე

2012 წლის მაისში „სახალხო კრებას“ დაგეგმილი აქვს ღონისძიებათა ციკლი 2011 წლის 21-26 მაისს განვითარებული მოვლენების წლისთავის აღსანიშნავად. 21 მაისს 14:00 საათზე „მეტეხი შერატონ პალასში“, „სახალხო კრება“ გამართავს გაფართოებულ შეხვედრას, რომელზეც მიწვეულნი არიან 21-26 მაისის მონაწილეები, საზოგადოების, მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

23 მაისს, ბათუმში, „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრები აჭარის საზოგადოებასთან ერთად აღნიშნავენ 2011 წლის 21 მაისის ბათუმში გამართული უპრეცედენტო აქციის წლისთავს. 25 მაისს „სახალხო კრების“ ახალგაზრდული ორგანიზაცია გამართავს შეხვედრას, რომელზეც მოწვეულნი არიან საქართველოში მოქმედი ყველა ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

26 მაისს 12:00 საათზე წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „სახალხო კრება“ გადაიხდის 2011 წლის 26 მაისს დაღუპულთა პანაშვიდს და პარაკლისს დაზარალებულთა და დაპატიმრებულთათვის.

„სახალხო კრება“ კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ დაარსების დღიდან მისი მთავარი ამოცანა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა და ქვეყნის დემოკრატიზაციაა და დასახული მიზნებისათვის არასოდეს უღალატია.

21-26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე „სახალხო კრება“ ეპატიჟება ყველა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერს, ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას, მიუხედავად იდეოლოგიური თუ პოლიტიკური შეხედულებებისა.

# ლიბიაში შეტაკებებს შვიდი ადამიანი ემსხვერპლა

ლიბიაში, ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ გადამესში შეტაკებების შედეგად შვიდი ადამიანი დაიღუპა, ხოლო 20-ზე მეტი დაშავდა, – იუწყება ბიბისი.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, შეტაკება მოხდა ქალაქის ადგილობრივ მცხოვრებლებსა და ტუარეგის მოხეტიალე ტომებს შორის, რომელიც უდაბნოში იმყოფებოდნენ. ლიბიის მთავრობის წარმომადგენელი ნასარ ელ-მანეა ძალადობაში ქალაქის გარეთ მყოფ შეიარაღებულ დაჯგუფებებს ადანაშაულებს.

როგორც მანეამ აღნიშნა, ამ დროისათვის ლიბიის არმია გადამესში იმყოფება და სიტუაციას აკონტროლებს.

შეგახსენებთ, რომ ტუარეგის თვისტომები ერთ-ერთია იმ მრავალრიცხოვან ტომთაგან, რომლებიც გასულ წელს ლიბიის მეთაურს მუამარ კადაფს მხარს უჭერდნენ.

ლიბია უძველესი დროიდან იყო დასახლებული მომთაბარე ტომებით, თანამედროვე ბერბერთა წინაპრებით, რომლებიც ჯერ ნადირობას, ხოლო მოგვიანებით მესაქონლეობას მისდევდნენ.

# ალექსეი ნავალნი და სერგეი უდალცოვი სინდისის პატიმრებად აღიარეს

რუსი ოპოზიციონერები ალექსეი ნავალნი და სერგეი უდალცოვი საერთაშორისო ორგანიზაცია „ემნისტი ინტერნეიშნალმა“ სინდისის პატიმრებად აღიარა. რუსეთის ოპოზიციის ლიდერები საპროტესტო აქციებზე პოლიციის დაუმორჩილებლობის ბრალდებებით დააკავეს.

– მიგვაჩნია, რომ უდალცოვი და ნავალნი სინდისის პატიმრები არიან, – განაცხადა ორგანიზაციის რუსული განყოფილების ხელმძღვანელმა სერგეი ნიკიტინმა.

– იმ ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელიც ორგანიზაცია „ემნისტი ინტერნეიშნალს“ ნავალნისა და უდალცოვის შესახებ აქვს, ჩვენ გვესმის, რომ მათი მოქმედებები ხვდება განსაზღვრებაში „სინდისის პატიმრები“.

ეს ადამიანები, არაძალადობრივი და მშვიდობიანი გზებით ცდილობდნენ რეალიზება მოეხდინათ თავიანთი უფლების დემონსტრაციების, მიტინგებისა და მსვლელობების თავისუფლად ჩატარებაზე და სწორედ ამის გამო ისინი დააკავეს და გისოსებს მიღმა მოაქციეს, – აცხადებს ნიკიტინი.

შეგახსენებთ, რომ ნავალნიც და უდალცოვიც 9 მაისის აქციის შემდეგ დააპატიმრეს და მათ თითოეულს 15 -15 დღეღამით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

რუსული ოპოზიციის აზრით, ამგვარი გადაწყვეტილებით პუტინს სურს, დემონსტრანტებს ლიდერები ჩამოაშოროს.

– ხალხს ახსოვს ფაშისტური ქმედებები, თუ ხელისუფლებას სურს, ისევე შემორჩეს ადამიანების მეხსიერებაში, მაშინ უნდა გააგრძელოს ისეთი ქმედებები, როგორიც ბოლო რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს, – განაცხადა სერგეი უდალცოვმა.

საერთაშორისო მედიამ სასამართლოს განაჩენი ხელისუფლების მხრიდან შურისძიებად შეაფასა. კრემლი ასეთი მეთოდებით ცდილობს „სახალხო სეირნობაში“ მონაწილე აქტივისტების დაშინებას. რუსეთის მოქალაქეები მოსკოვის ქუჩებში „სეირნობით“ მასობრივ საპროტესტო კამპანიაში იღებენ მონაწილეობას.

აქციების განმავლობაში ომონმა მოსკოვის ქუჩებში ასობით ადამიანი დააკავა.

# ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

## გერმანე (ბიჭიკო) ზენაიშვილის გახსენება

22 მაისს 40 დღე შესრულდება შენი გარდაცვალებიდან. ძნელია წარსულში ილაპარაკო ადამიანზე, რომელსაც ძალიან უყვარდა სიცოცხლე...

შენ უბრალოდ არ გიცხოვრია, რადგან ვალმოხდილი ხარ ოჯახის წინაშე და საყვარელ სოფელში უბადლოდ ატარებდი ხალისიანი და სტუმართმოყვარე კაცის სახელს.

იყავი ნათელში. შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ოჯახისაგან

ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7
რდბპბც უფჯლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

# გიორგი ლაღიძე შეშფოთებულია

შორენა გონგლაძე

„დაგვიბრუნეთ დავით გარეჯი“, „დაიცავით ქართული სიწმინდეები“ ამ შინაარსის ტრანსპარანტებით პარტია მომავალმა საქართველომ გუშინ კულტურის სამინისტროსთან დავით გარეჯთან დაკავშირებით კულტურის მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება გააპროტესტა. შეგახსენებთ, რომ 6 მაისს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დაიკავეს დავით გარეჯის მონასტერი და მიმდებარე ტერიტორია. პარტიის ლიდერის, გიორგი ლაღიძის განცხადებით, კულტურის მინისტრის და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე მხოლოდ ორი რამ შეიძლება ითქვას: პირველი, ნინო კალანდაძე და კულტურის მინისტრი ქართული ისტორიის აზრზე არ არიან, ანდა ისინი მიზანმიმართულად მოქმედებენ.



– დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი მეექვსე საუკუნიდან არის საქართველოს საკუთრება, ეს არის ქართველი ხალხისთვის უზარმაზარი სულიერი ფასეულობა, ამ დროს კი გამოდის ნინო კალანდაძე და კულტურის მინისტრი და აკეთებენ ასეთ განცხადებას, რომ თურმე დავით გარეჯის ნაწილი იყო აზერბაიჯანის საკუთრება. ეს ასე ნამდვილად არ არის, როგორც ჩანს, ისინი მწყრალად არიან ისტორიასთან და ვურჩევ ამ ადამიანებს, გადაავლონ თვალი საქართველოს ისტორიას იმისთვის მაინც, რომ თავიანთი დილეტანტური განცხადებებით ზიანი არ მიაყენონ ქართული კულტურის ძეგლებს და, საერთოდ, ქართულ კულტურას. დავით გარეჯი არის ქართული სულიერი ფასეულობა, საქართველოს საკუთრება და ასე იქნება მუდამ. ჩვენ ნამდვილად არ გავჩუმდებით, ვაპირებთ ასევე დავით გარეჯში ჩასვლას და ხელისუფლებას შევუქმნით სერიოზულ დისკომფორტს, ხელს შევუშლით ჩვენი ტერიტორიების გაჩუქებაში, – აცხადებს გიორგი ლაღიძე. მისივე განცხადებით, ქართველი ხალხის ერთიანობაა საჭირო.

– კმარა ამდენის მოთმენა, მაშინ, როდესაც ჩვენს მოძმე აზერბაიჯანელ ხალხს საქართველოში ვაძლევთ მეჩეთების აშენების უფლებას და ვართ რელიგიურად ტოლერანტულები, ამის საპირწონედ ხდება ის, რომ საინგილოში ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ავიწროვებენ და დევნიან მღვდელმსახურებს. ამასთან ერთად, პრობლემები ექმნებათ მომლოცველებსაც. ანალოგიური ქმედებაა დავით გარეჯთან დაკავშირებითაც. ამის მოთმენა ნამდვილად აღარ შეიძლება და ეს ყველაფერი დიდ წილად არის ჩვენი უნიათო ხელისუფლების ბრალი. მივმართავ სრულიად საქართველოს, შემოვკრათ განგაშის ზარები და არ მივცეთ ამ კაცთმოძულე ხელისუფლებას ჩვენი ტერიტორიების და სიწმინდეების გაჩუქებისა და გაყიდვის საშუალება. მას შემდეგ, რაც ქართული მხარისთვის ცნობილი გახდა აზერბაიჯანელი მესაზღვრეების უკანონო ქმედება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აზერბაიჯანის საზღვრის დავით გარეჯის მონასტერთან ქართველი მესაზღვრეების რაოდენობა გაზარდა და არ აძლევენ მომლოცველებს მონასტრის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას, რათა აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა არ დააკავონ, – აცხადებს გიორგი ლაღიძე.

ნათელა მშვენიერაძე, აქციის მონაწილე:

– ჩვენი აქცია არის გამაფრთხილებელი. თუ ხელისუფლება არ მოეგება გონს, არ დაიწყებს ქართული საკუთრებისა და სიწმინდეების დაცვას, ამას მათ მაგივრად ქართველი ხალხი გააკეთებს. ჩვენ ვიცით, რომ ხელისუფლება დიდ ყურადღებას არ აქცევს ქართველი ხალხის საკუთრებას, გაიყიდა მიწები, გაიყიდა ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, ეს ყველაფერი შერჩა, მაგრამ ჩვენ ამ უსინდისო ხელისუფლებას ნამდვილად არ მივცემთ ჩვენი ისტორიული სიწმინდეების გასხვისების უფლებას.

სოსო კორკელია, აქციის მონაწილე:

- ძალიან სამწუხარი ფაქტი მოხდა, საუბედუროდ ეს არ არის პირველი და, ალბათ, არც უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც მავანი ქართული კულტურის ძეგლებს და სიწმინდეებს შეეხო. მე, როგორც რიგითი ქართველი, ჩვენი ხელისუფლებისგან მოვითხოვ პასუხს ამ ქმედებაზე. ხელისუფლება ვალდებულია ყველანაირი საშუალებით დაიცვას ქართული საგანძური, მაგრამ სამწუხაროდ, ამას არ აკეთებს. ეს კარგად ჩანს მათი მხრიდან გაკეთებული განცხადებებიდან. ამ ხელისუფლების უნიათობით ძალიან ბევრი რამ დაკარგა ქართველმა ხალხმა, ძალიან ბევრ რამეში უკან დავიხიეთ, ეს ყველაფერი დღეს თუ არა, სამომავლოდ ნამდვილად ცუდად აისახება. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენს მომავალ თაობას გადავცეთ ის სიმდიდრე, რაც ჩვენმა წინაპრებმა სისხლითა და მახვილით დღემდე მოიტანეს. ისტორია ამ უმოქმედობას ნამდვილად არ გვაპატიებს.

# როდ-აილენდის შტატმა ყარაბაღის დამოუკიდებლობა აღიარა




ამერიკის შტატის როდ-აილენდის წარმომადგენლობითმა პალატამ მიიღო რეზოლუცია, სადაც მთიანი ყარაბაღი აღიარებულია, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

რეზოლუციაში ასევე აღნიშნულია, რომ მთელი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული იქით, რომ მთიანი ყარაბაღი განვითარდეს, როგორც დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო, ამ საქმეში კი მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რათა საბოლოოდ აღმოიფხვრას ის პრობლემები, რაც ამ გაყინული კონფლიქტის დროს არსებობდა ყარაბაღში.

– ახლა, ყველაზე უფრო, ვიდრე ოდესმე, მნიშვნელოვანია აშშ-მ თავისი პრინციპული პოზიცია დააფიქსიროს ამ რეგიონში და მშვიდობის განვითარებას შეუწყოს ხელი. მე დარწმუნებული ვარ, რომ მთიანი ყარაბაღის თვითგამორკვევის საქმეში აღარ იქნება მსხვერპლი, – აღნიშნა აშშ-ს პალატის წარმომადგენელმა ჯეიმს ლანჟევენმა.

ცნობისთვის, როდ-აილენდი (სრული სახელი: როდ-აილენდისა და პროვიდენსის პლანტაციების შტატი), გეოგრაფიულად ყველაზე მცირე შტატია და მდებარეობს ახალი ინგლისის რეგიონში.

როდ-აილენდი 1636 წელს დააარსა როჯერ უილიამსმა, რომელიც გაასახლეს მასაჩუსეტსიდან რელიგიური უთანხმოების გამო; 1790 წლიდან აშშ-ს შტატია.

სახელწოდება როდ-აილენდი ეკუთვნის ნარაგანსეტის უბეში უდიდეს კუნძულს, ასევე ცნობილს, როგორც აქიდნეკის კუნძული, რომელზეც ქალაქი ნიუპორტი მდებარეობს. სახელწოდების წარმომავლობა გაურკვეველია. ზოგიერთი ისტორიკოსის ცნობით იტალიელმა მოგზაურმა ჯიოვანი და ვერაძანომ კუნძულის აღმოჩენისას მას როუდ აილენდი დაარქვა მისი საბერძნეთის კუნძულ როდოსთან მსგავსების გამო.

სხვა ისტორიკოსებს სჯერათ, რომ კუნძულის სახელწოდება მომდინარეობს ჰოლანდიელი მოგზაურის ადრიენ ბლოკის მიერ შერქმეული სახელიდან „რუუდ ეილანდ“, რაც ჰოლანდიურად „წითელ კუნძულს“ ნიშნავს, გამომდინარე კუნძულის სანაპიროს წითელი თიხის ქანების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ შტატის ძირითადი ნაწილი კონტინენტზე მდებარეობს, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე ბევრი შეცდომით მიიჩნევს, რომ მთელი შტატი კუნძულზე მდებარეობს.

## h჻χცϱχ჻ϱბ ,




***შვეულად:*** 1. სამკურნალო დაწესებულება; 2. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 3. პატარა, ვიწრო ქუჩების სახელწოდება ძველ თბილისში; 4. ქართული ნაციონალური კერძი; 5. მონაკოს მთავართა საგვარეულო დინასტია; 7. ფულის ერთეული იაპონიაში; 11. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში 13. პირველი ქართული სახოტბო პოეზიის ჟანრის ნაწარმოების „აბდულმესიანის“ ავტორი; 15. წნული ქოხი სამეგრელოში; 16. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების კონსტრუქტორი ბელგიელი ოსტატი; 18. ფულის ერთეული სომხეთში; 19. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე.

***თარაზულად:*** 6. ქართველი კომპოზიტორი; 8. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 9. სასაუზმე იტალიაში; 10. შტატი აშშ-ში; 12. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 14. პატარა ფლეიტა; 17. დაბანდებული კაპიტალიდან მიღებული თანხა; 20. ძვირფასი ქვების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 21. ქალაქური სიმღერების შემსრულებელი ქართველი მომღერალი ქალი; 22. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 23. ისტორიული ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

**ობყფ ყჯვტ჻იბ უფვჯმϱტ.ყტ,ეჯბ h჻χცϱχ჻ϱტ,ბც გფცეჸტ,ბ5**

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. არკადია; 2. მაჯამა; 3. ლანდშაფტი; 4. ჯოყოლა; 5. ბილბორდი; 7. მილი; 11. ლეგენდა; 13. თეორემა; 15. ჟოკეი; 16. ჰეიგი; 18. იონჯა; 19. ბრიჯი.

**თარაზულად**: 6. რეიმსი; 8. წახნაგი; 9. მაყვალი; 10. დარიალი; 12. ჰალვა; 14. ბაკარა; 17. ტროპიკები; 20. ტანდემი; 21. ჭედილა; 22. ჯორჯია; 23. კინოცენტრი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ბორტი; 2. კოპრა; 3. ჭიანური; 4. ჯემი; 5. რიწა; 6. არითმია; 9. ამპელოლოგია; 10. ამაშუკელი; 11. მიკოლოგია; 14. გურჯი; 16. აჯიკა; 18. რეტორტა; 20. რეცეპტი; 23. ლოტი; 24. ნეზვი; 25. „სოტბი“; 26. ვანი.

**თარაზულად**: 7. პირომეტრი; 8. სპრინტერი; 12. ხურმა; 13. „გიუმი“; 15. „ოტელო“; 17. რესტორანი; 19. ბრომი; 21. ატილა; 22. დიაცი; 27. სტრიპტიზი; 28. სტანდარტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

9 maisi

აშშ დოლარი — 1,639

ევრო —2,1551

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6114

რუსული რუბლი — 0,0549

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9

ამინდის პროგნოზი 19 მაისისთვის





# 8 მაისიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“ მეოთხე ტომი

**მასონები**



გამოსულია:

პირველი ტომი ტირანები



მეორე ტომი 100 გამოჩენილი მხედართმთავარი



მესამე ტომი კანიბალიზმის ისტორია



გამოსაცემად მზადდება:

- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები - იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



# 4 მაისიდან

ახალ თაობასთან“ ერთად

ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი

პირველი ტომი

ფასი 6 ლარი


.დტჯფვ უფბსლფჯაბცობყტს=

fcnhjghjuyjpb

19 მაისი _ წარმატებული დღეა

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **კირჩხიბი** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **ლომი** — მშვენიერი დღეა, ყველაფერი კარგად იქნება. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ღრიანკალი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა კარგია, გამოგადგებათ. **თხის რქა** — საქმიანი შეხვედრის შემდეგ კარგ ხასიათზე დადგებით. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით.

20 მაისი _ ეს დღე მშვიდად ჩაივლის

**ვერძი** — მშვენიერი დღეა, გახარებული ხართ. **კურო** — ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ! **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — სახლში სასიამოვნო შეხვედრა გელით, დიდი ხნის უნახავი ადამიანი გეწვევათ. **სასწორი** — თავს კარგად გრძნობთ, ყურადღების ცენტრში ხართ. **ღრიანკალი** — წარმატებული დღეა, ყველაფერი კარგად მიდის. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **თხის რქა** — დაისვენეთ და გაერთეთ, დასვენება გჭირდებათ. **მერწყული** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **თევზები** — არ აჩქარდეთ, მაინც ყველაფერს მოასწრებთ.

უბცევდტ,ს ,ტლყბტვ ლქტს=



hვჯცეჯვლბ ფ

შვეულად: 1. მდინარე ბერლინში; 2. დარიშხანის საბადო რაჭაში; 3. მაღალხარისხოვანი არომატული სპირტიანი სასმელი; 4. უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები ამზადებენ პასექისათვის; 5. მომკილი პურის თავთავების სალეწი მოედანი; 6. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 9. ნახევარკუნძული ევროპაში; 10. ადამიანი, რომელმაც მიიღო ახალი სარწმუნოება; 11. ქალაქი იმერეთში; 14. შხამიანი გველი; 16. მოკლე კინო-სარეკლამო რგოლი; 18. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 20. ცნობილი ქართველი რაგბისტი; 23. ქუდების მკერავის ძველი ქართული სახელწოდება; 24. საშობაო სიმღერა; 25. მინერალური წყალი სამეგრელოში; 26. კუთხე საქართველოში.

თარაზულად: 7. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. კანონებში არსებული წინააღმდეგობა; 12. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 13. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 15. პოპულარული ინგლისური იუმორისტული ჟურნალი; 17. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 19. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 21. ინდოეთის ოკეანისპირა ნავსადგური ავსტრალიაში; 22. საიდუმლო წერისათვის საჭირო პირობითი ნიშნების სისტემა; 27. ყოველთვიური ფულადი დახმარება სტუდენტთათვის; 28. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბანი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

# ლევან კობიაშვილს ბრალდება წაუყენეს

17 მაისს გერმანიის საფეხბურთო კავშირმა დიუსელდორფის „ფორტუნას“ და ბერლინის „ჰერტას“ სკანდალური მატჩის განხილვა დაიწყო. შეგახსენებთ, რომ პლეი აუტის საპასუხო მატჩი 2:2 დამთავრდა, რის შედეგადაც „ჰერტა“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა, ხოლო „ფორტუნა“ ელიტაში აღზევდა, ორჯერ შეწყდა და გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური შეხვედრა გამოდგა.



როგორც უკვე ვწერდით, გერმანული მედიის ცნობით, საფინალო სასტვენის შემდეგ ლევან კობიაშვილმა მთავარ მსაჯ ვოლფგანგ შტარკს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, სადისციპლინო კომისიამ კობიაშვილის საკითხის განხილვა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ლევანთან ერთად, კიდევ ოთხი ფეხბურთელის საქმეც განიხილება — თომას კრაფტის, კრისტიან ლელის ანდრე მიატოვიჩის (სამივე ჰერტა) და ანდრეას ლამბერტცის (ფორტუნა).

ვებგვერდზე გარკვევით არის აღნიშნული, რომ 34 წლის კობიაშვილს მართლაც ედება ბრალი შტარკისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში — ოღონდ არა სახეში, არამედ კისერში ჩაარტყაო. „ფორტუნას“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გერმანულ მედიასთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ ფაქტის შემდეგ შტარკს დიუსელდორფული კლუბის ექიმებმა პირველადი დახმარება აღმოუჩინეს.

სხვა ფეხბურთელებს კი შედარებით მსუბუქი ბრალდებები წაუყენეს — ლელს, კრაფტსა და მიატოვიჩს შტარკისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებიათ, ხოლო „ფორტუნას“ კაპიტანი ლამბერტცი კი მოედანზე ანთებული პეტარდით დარბოდა.

მოამზადა
მიხეილ ჟორჟოლიანმა